გივი აბაშიძე

პროკურორი გამოძიების სტადიაზე

343.163+
ა-14

გივი აბაშიძე

წიგნს ვუძღვნი ტრაგიკულად დაღუპული ძმისშვილის, ახალგაზრდა იურისტის არჩილ (აჩიკო) აბაშიძის ნათელ ხსოვნას

სსიპ-ვიოლა ჯანსუღაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
№ 6060

პროკურორი გამოძიების სტადიაზე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

F 343· 139

ნაშრომი ეხება სისხლის საპროცესო სამართლის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხისადმი ავტორის სამეცნიერო დაინტერესება. 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული, მისი დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

ნაშრომში ავტორის მიერ დეტალურად არის წარმოდგენილი და მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები გამოძიების სტადიაზე, დისკრეციული დევნის პრინციპები, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ამოცანები და ფუნქციები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმები და მეთოდები. აღნიშნულზე ავტორს შესწავლილი აქვს ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები.

ნაშრომი პირველ რიგში განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის, ასევე სამეცნიერო და სამართალდამცავ სფეროში მომუშავე პირების და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, ის დახმარებას გაუწევს აგრეთვე აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: **ჯემალ გახოკიძე** — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი

რეცენზენტები: **მიხეილ მამნიაშვილი** — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

დავით კარიაული — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი

ადამ მახარაძე — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

© გივი აბაშიძე, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-784-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოყენებული აბრევიატურები და შემოკლებები 5

შესავალი 7

თავი I. პროკურორი გამოძიების სტადიაზე (თანამედროვე რეალობა).....19

§-1. პროკურატურის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, მისი სტრუქტურა, საქმიანობის პრინციპები და ამოცანები 19

§-2. გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა.....41

§-3. პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე 45

თავი II. სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, დისკრეციული დევნის პრინციპები.....55

§-1. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა 55

§-2. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე 83

§-3. პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში.....102

თავი III. პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე 108

§- 1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 108

§-2. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება გამოძიების სტადიაზე 127

თავი IV. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნება, არსი, მნიშვნელობა, ბოცანები, მისი განხორციელების ფორმები და მეთოდები 130

§-1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი, მისი როლი და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე 130

§2. პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები 145

თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი) 211

დასკვნა 239
რეზიუმე ქართულ ენაზე 246
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 249
რეზიუმე რუსულ ენაზე 252
ბიბლიოგრაფია 255

გამოყენებული აბრევიატურები და შემოკლებები

1. სსკ —სისხლის სამართლის კოდექსი
2. სსსკ —სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
3. ა. შ. — ასე შემდეგ
4. ე. წ. — ეგრეთ წოდებული
5. ე. ი. — ესე იგი
6. გვ. — გვერდი
7. იხ. — იხილეთ
8. მაგ. — მაგალითად
9. წ. — წელი
10. სხვ. - სხვა
11. დასახ ნაშრ. — დასახელებული ნაშრომი
12. Г — Год
13. М. — Москва
14. Стр. — Страница
15. თბ. — თბილისი
16. აშშ. — ამერიკის შეერთებული შტატები

შესავალი

საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის განმავლობაში, სისხლის სამართალწარმოებაში პროცესის ცალკეული სუბიექტების, მათ შორის, პროკურორის საქმიანობა მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. პროკურორი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებდა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

პროკურორს, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირს, სხვადასხვა დროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები ჰქონდა, რასაც განაპირობებდა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, ზნეობრივი, კულტურული, რელიგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პერიოდულად განხორციელებული ცვლილებები. ამის მიუხედავად, პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში ცენტრალური ფიგურა იყო.

სისხლის სამართალწარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროკურორის საქმიანობას გამოძიების სტადიაზე, რადგან მასზე ბევრად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერების მოთხოვნათა დაცვით, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარება, რასაც საფუძვლად უდევს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პროკურორისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები და მისი საპროცესო მდგომარეობა.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა პროკურორის უფლებამოსილებანი, რაც განსაკუთრებულად შეინიშნება გამოძიების სტადიაზე, სადაც პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით ახორციელებს მნიშვნელოვან საპროცესო საქმიანობას. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე რეალობაში პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამ ეტაპზე საკმაოდ აქტუალურია მისი როლი, რომელიც, როგორც

ზემოთ აღინიშნა, ძირითადად განპირობებულია საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული ფართო საპროცესო უფლებამოსილებებით და მისი საპროცესო მდგომარეობით.

გამოძიება არის სისხლის სამართალწარმოების საწყისი სტადია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამოძიება — ეს არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მეტად რთულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. გამოძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად იქნას შესწავლილი და გამოძიებული.

გამოძიების წარმოება, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა- ძალიან მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და რთული საქმიანობაა, რომლის დროსაც, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ხორციელდება სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

იმისათვის, რომ დაიცვას საზოგადოება დანაშაულებრივი ქმედებისაგან, უზრუნველყოფილი იქნას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილება, თითოეულ სახელმწიფოში და, მათ შორის, საქართველოშიც შექმნილია სამართალდამცავი ორგანოების სისტემა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროკურატურა, რომლის ფუნქციები და ამოცანები, 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულმა საქართველოს კანონმა „პროკურატურის შესახებ," ახლებურად წარმოაჩინა.

პროკურატურის ამოცანებს შორის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელება.

განსაკუთრებულია პროკურორის როლი და საქმიანობა სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა. მათი რეალიზაცია საშუალებას აძლევს პროკურორს დაიცვას საზოგადოება იმ დანაშაულებრივი ქმედებისაგან, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

სწორედ სისხლისსამართლებრივ დევნას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელებას, მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს ეხება ჩვენი სამეცნიერო ნაშრომი.

ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხისადმი ჩვენი სამეცნიერო დაინტერესება. 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ახლებურად მოწესრიგება, დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით აღარ არის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებად დაყოფა, ის შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო, მისი დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე, ერთმანეთის თანმიმდევრულად განვიხილავთ პროკურატურის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიას, საქმიანობის პრინციპებს, ფუნქციებს და ამოცანებს, ასევე, გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსს და მნიშვნელობას, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე პროკურორის საქმიანობას და საპროცესო მდგომარეობას გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალურ საფუძვლებს, დისკრეციული

დევნის პრინციპებს, პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას და მის როლს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნებას, ამოცანებს, მის მნიშვნელობას, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციებს, მათი განხორციელების ფორმებს და მეთოდებს, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ინსტიტუტს საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი).

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე — საკმაოდ აქტუალური და საპრობლემო საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ამ სტადიაზე, მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე, უმთავრეს საპროცესო ფუნქციას წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას.

სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ატარებენ ბრალდებულის გამოსააშკარავებლად.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს ამ სტადიაზე ჩატარებულ ყველა ძირითად საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის საქმის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რომელსაც ახორციელებს ბრალდების მხარე, პროკურორი, გამომძიებელი და ის შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ არის შესაძლებლობა პირის დადანაშაულებისა დანაშაულის ჩადენაში.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ამოცანაა, აგრეთვე, პროკურორის მიერ ყველა მისი უფლებამოსილების ეფექტური გამოყენება ბრალის დამტკიცებისათვის.

სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთ პირს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, არ ასცდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სისხლისსამართლებრივ დევნას აქვს როგორც იურიდიული, ასევე ფილოსოფიური მსოფლმხედველობითი მნიშვნელობა, რადგან ის დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორიც არის სიმართლე, მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტია და სხვა.

როგორც წესი, დანაშაულის ჩადენას თან უნდა მოჰყვეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის ქვეშ უპირველესად მოიაზრება ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს პროკურორი და გამომძიებელი.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორის საქმიანობის სფერო, სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, შემოიფარგლებოდა საჯარო, კერძო-საჯარო, სუბსიდიური და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით. ახალი საპროცესო კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული და არ არის გათვალისწინებული მისი სახეებად დაყოფა. კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ანუ პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო დანაშაულის ყველა ფაქტზე, რაც თავისთავად მოიცავს პროკურორის უფლებას- მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში დაიწყოს და განახორციე-

ლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ე. ი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის შეხედულებაზეა დამოკიდებული და არავითარი კავშირი არ აქვს დაზარალებულთან და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, რაც ცნობილია, როგორც დევნის დისკრეციულობის პრინციპი. ე.ი. დევნის დაწყება, ახალი კანონის თანახმად, მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა, მაგრამ აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა რეგულირებული იქნება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულონ სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე, მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან, ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე და სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როდის ითვლება დამთავრებულად სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე. როგორც წესი, გამოძიების დამთავრება - ეს არის გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართალწარმოების დასრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიება მთავრდება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის გამოტანით ან საქმის სასამართლოში წარმართვით.

გამოძიების სტადიაზე, გამოძიების დამთავრება მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრებასაც. ე. ი. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან/და დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის მიღებით და საქმის სასამართლოში წარმართვით, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნულიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორი გამოძიების სტადიაზე უშუალოდ ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სახელმწიფო-სამართლებრივ ფუნქციას.

საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა მოიცავს პროკურორის მიერ სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების განხორციელებას, რისთვისაც მას საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. პროკურორი გამოძიების სტადიაზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით ახორციელებს მიზანმიმართულ და ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც წარმოაჩენს მისი მოღვაწეობის აქტიურ მხარეს.

სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო ხელმძღვანელობა — ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს პროკურატურის ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში. პროკურატურის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი ისაა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა და პირებმა ზუსტად შეასრულონ

მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მიღებულ იქნეს ზომები კანონიერების აღსადგენად, დამნაშავეები კი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის კანონით პროკურატურას მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ფაქტობრივად, პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მიმართულია იმისკენ, რომ სამართალწარმოების მთელ ეტაპზე მასში მონაწილე ორგანოებმა და პირებმა უზრუნველყონ კანონის დაცვა, ასევე, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, კანონის დარღვევის შემთხვევაში კი მოხდეს მისი დროული აღკვეთა.

გამოძიებასა და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც გამოძიების სტადიაზე, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, დაწყებული საქმის გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით. იგი ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია, რასაც აღწევს როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, ასევე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

გამომძიებლის მთელი საქმიანობა გამოძიების სტადიაზე იმყოფება პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ, ვისზედაც დაკისრებულია კანონთა დაცვა გამოძიების დროს. ეს ფაქტი თავისთავად ხაზს უსვამს პროკურორის საპროცესო სტატუსს.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, შემოღებულ იქნა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. მიგვაჩნია, რომ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე ზედამხედველობის წარმოება საპროცესო ხელმძღვანელობის მეშვეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული დებულებაა, რაც რეალიზებულია საქართველოს ახალ სსს კოდექსში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (33-ე მუხლი) და „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი (მე-3, მე-14 მუხლები) გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობას მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებად (ფორმად), რომელმაც საპროცესო კანონმდებლობაში დაიკავა მანამდე კარგად ცნობილი და იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული – გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ადგილი.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის არა ადმინისტრაციული, არამედ განსაკუთრებული – საპროცესო ფუნქცია. ე.ი. საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში დომინანტობს კანონიერების პრინციპი. პრაქტიკულად, გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად კანონიერების რეჟიმში მიმდინარეობს. პროკურორის ამგვარი საქმიანობა ერთ ძირითად მიზანს ემსახურება – სისხლის საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მიღწეული იქნას სისხლის სამართალწარმოების მიზნების ეფექტიანად განხორციელება.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზიდან, პროკურორის საქმიანობიდან და მისი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, გამოძიების სტადიაზე პროკურორი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და მისი მეშვეობით ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორის ამგვარ საქმიანობას, საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით თავისი საპროცესო ფუნქციის განხოციელების დროს, საკმაოდ დადებითი, ეფექტური შედეგები მოსდევს.

გამოძიების სტადიაზე პროკურორის, როგორც კანონიერების დამცველის, ფუნქცია ვლინდება გამოძიების ხელმძღვანელობაში და თავისი საპროცესო მდგომარეობით პროკურორი გამოდის, როგორც გამოძიების ხელმძღვანელი და არა როგორც სხვა ვინმე.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის პროკურორის საპროცესო ფუნქციის რეალიზაციის მეთოდი, ფორმა. პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელ-

მძღვანელობა თანაბრად და ერთიან სამართლებრივ ფორმებში ვრცელდება გამოძიების ყველა ორგანოზე და არ არის დამოკიდებული მათ უწყებრივ კუთვნილებაზე.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პროკურორის უფლებამოსილება მიმართულია სწორედ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისაკენ, რომლის მიზანი და ამოცანები ასევე განსაზღვრულია საქართველოს სსს კოდექსით. პროკურორის უფლება - მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე გამოძიების დაწყების, ერთი გამომძიებლიდან მეორეზე საქმის გადაცემის, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების, გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების, გამოძიებისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელზე ან/და ქვემდგომ პროკურორზე სავალდებულო მითითების მიცემის, სისხლის სამართლის საქმის ან ცალკეული მასალების მოთხოვნის, გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილების გაუქმების და სხვა მოქმედებების შესახებ - ნიშნავს, რომ სწორედ ის არის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი.

სწორედ ამ სტადიაზე ვლინდება პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, როლი და მნიშვნელობა, სადაც ფართო გასაქანი ეძლევა პროკურორის საპროცესო ფუნქციის განხორციელებას და მისი უფლებების სრულ რეალიზაციას.

პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზანია პროკურორის უფლებამოსილების რეალიზაცია, რაც ემსახურება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით სისხლის სამართალწარმოების ეფექტიანად განხორციელებას, რისთვისაც პროკურატურას გააჩნია მრავალი სამართლებრივი ბერკეტი, რაც დეტალურად არის გადმოცემული სსს კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში, რომლებზედაც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთადერთი ეფექტური საშუალება არის პროკურორის მიერ გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების სტადიაზე საჭირო და აუცილებელია პროკურორის საპროცესო უფლებამოსილების გაზრდა და გაფართოება, რაც გარკვეულ დადებით გავლენას იქონიებს პროკურორის ყოველდღიურ საპროცესო საქმიანობაზე.

ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი თავის, რომელიც აერთიანებს ათ პარაგრაფს, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი რეზიუმეს, დასკვნისა და ნაშრომის კვლევის დროს გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, რომელიც შეიცავს 172 წყაროს.

ცალკეულ თავებში და პარაგრაფებში თანმიმდევრულად განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

— პროკურატურის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, მისი სტრუქტურა, საქმიანობის პრინციპები და ამოცანები;

— გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა;

— პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე

— სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, დისკრეციული დევნის პრინციპები;

— პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე;

— პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში;

— პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე;

— სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება;

— სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება გამოძიების სტადიაზე;

— გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი, მისი როლი

და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე;

- 6060 -

სსიპ-ვროშა ...
სახელმწიფო ...
ბიბლიოთეკა
№ ...

— პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები;

— სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ნალიზი).

როგორც აღინიშნა, ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას - პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელებას გამოძიების სტადიაზე. მასში შეძლებისდაგვარად განხილული და გაანალიზებულია პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, გადმოცემულია მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, ჩვენი შეხედულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია ამ თემასთან, მაგრამ საკუთრივ თემა ძალიან დიდი და მოცულობითია, რის გამოც ერთ ნაშრომში ყველა პრობლემის განხილვა შეუძლებელია. ამიტომ, მასში გადმოვეცით ძირითადი და პრაქტიკულად უფრო ხშირად გამოსაყენებელი საკითხები.

რა თქმა უნდა, ნაშრომი დაზღვეული ვერ იქნება გარკვეული ხარვეზებისა და უზუსტობებისაგან. ავტორი გულისყურით მიიღებს მკითხველის ყველა სამართლიან და ობიექტურ შენიშვნას, რასაც უთუოდ გაითვალისწინებს და გამოიყენებს შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

თავი I

პროკურორი გამოძიების სტადიაზე (თანამედროვე რეალობა)

§-1. პროკურატურის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, მისი სტრუქტურა, საქმიანობის პრინციპები და ამოცანები

საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, სისხლის სამართალწარმოებაში პროკურატურის საქმიანობა ყოველთვის აქტუალური იყო. მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროცესის თითოეულ, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პროკურატურის უფლებამოსილება გამოძიების სტადიაზე კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება.

წარმოდგენილი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თავდაპირველად მოკლედ, ერთმანეთის თანმიმდევრულად განვიხილოთ პროკურატურის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, საქმიანობის პრინციპები, ფუნქციები და ამოცანები, ასევე, გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა, პროკურორის საქმიანობა და საპროცესო მდგომარეობა გამოძიების სტადიაზე.

საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების დემოკრატიული ბუნების გამოვლენა, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოვებს თვით სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ამსახველ ორგანულ კანონებში, დებულებებში, რომელთა შინაარსიდანაც

ნათლად ჩანს საზოგადოების სამართლებრივი კულტურა, მათი სურვილი დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის, ჰუმანიზმის, ხალხთა თანასწორობის დამკვიდრებისათვის.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილება, თითოეულ სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც შექმნილია სამართალდამცავი ორგანოების სისტემა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროკურატურა, რომლის ფუნქციები და ამოცანები ახლებურად წარმოაჩინა 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულმა საქართველოს კანონმა „პროკურატურის შესახებ."

პროკურატურა, რომლის საწყისებს ჯერ კიდევ რომის იმპერიაში პოულობენ, ხოლო მის ჭეშმარიტ სამშობლოში - საფრანგეთში იგი უკვე შვიდ ასწლეულზე მეტს ითვლის, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ინსტიტუტია, თუმცა ცხადია, ხშირად ფრიად არსებითად განსხვავებული სამართლებრივი სტატუსით და მოდიფიკაციით.[1]

კანონის უზენაესობის და მართლწესრიგის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლების, პატივისა და ღირსების დაცვის ამოცანათა შესასრულებლად საქართველოს კონსტიტუციამ, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია სწორედ პროკურატურის ორგანოებს მიანიჭა.

ტერმინი „პროკურატურა" წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან „procurateur" და ზრუნვას, მართვას ნიშნავს[2]. პროკურატურა შესაბამისი ინსტიტუტის სახით საფრანგეთიდან, ფრანგულიდან გავრცელდა[3].

პროკურატურას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ წარმონაქმნს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ის სახელმწიფო ორგანოთა შორის ერთ-ერთი უძველესია. რიგ ევროპულ სახელმწიფოებში პროკურატურა ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს მე-14 საუკუნიდან. მაგალითად, საფრანგეთში, პროკურატურა ჩამოყალიბდა მე-14 საუკუნეში და წარმოდგენილია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან არსებული გენერალური პროკურორის სახით. ინგლისში, სადაც პროკურატურის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნეში, პროკურატურის ორგანოების ფუნქციებს ნაწილობრივ ახორციელებს საჯარო დევნის დირექტორი, მისი მოადგილეები და თანაშემწეები. გერმანიაში პროკურატურა წარმოდგენილია მოკვლევის ფორმით და ფუნქციონირებს ფრანგული პროკურატურის პრინციპით. იაპონიაში პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროში. რუსეთში პროკურატურა დაარსდა 1722 წლის 12 აპრილს პეტრე პირველის ბრძანებით.

ძველი ქართული სამართალი „პროკურატურას", როგორც სახელმწიფო ინსტიტუტს, არ იცნობს. ასევე არ არის მოხსენიებული პროკურატურა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში[1].

საქართველოში პროკურატურა შეიქმნა 1922 წლის 11 ნოემბერს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებით „პროკურატურის შემოღების შესახებ" და დამტკიცდა დებულება „პროკურატურის შესახებ". მას რესპუბლიკის პროკურორის სახით ხელმძღვანელობდა იუსტიციის სახალხო კომისარი.

აღნიშნული დებულება წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის მარეგულირებელ პირველ საკანონმდებლო აქტს, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს პროკურატურა, რომელიც შევიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. ამავე დებულებით, საქართველოს პროკურატურას დაევალა სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებაზე, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სა-

---

[1] ი. გაბისონია. პროკურატურის თეორიის მეთოდოლოგიური, ტერმინოლოგიურ-ცნებითი და კლასიფიკაციის პრობლემები. ჟურნალი „სამართალი", 1-2, 1998 წ. გვ. 18.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. 1984 წ.მე-8 ტომი, გვ. 201.

[3] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. ქ. თბილისი. 1999 წ. გვ. 28.

[1] საქართველოს გენერალური პროკურატურა. „პროკურატურის ისტორია". ინტერნეტ ვებ-გვერდის მისამართი: htt // www.pog.gov.ge/.

მართლის დევნის დაწყება. დაევალა, ასევე, ყველა საგამოძიებო ორგანოზე უშუალო მეთვალყურეობა, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა და მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე.

ამდენად, პროკურატურის დაარსებით შეიქმნა სპეციალური დაწესებულება, რომელიც ახორციელებდა კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობას, უზრუნველყოფდა ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ასევე თანამდებობის და კერძო პირების მოქმედების კანონიერებაზე, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე, სასამართლო კანონთა დაცვაზე და დაპატიმრების კანონიერებაზე ზედამხედველობას.

საქართველოში პროკურატურის ორგანოთა სტრუქტურა წლების მანძილზე იცვლებოდა. თუმცა უცვლელი რჩებოდა ის ძირითადი პრინციპები, რაც საფუძვლად დაედო მის შექმნას. 1927 წლის 31 ოქტომბრიდან შეიქმნა სამაზრო პროკურატურები. 1929 წლიდან სასამართლო ორგანოებს გამოეყო გამოძიება და უშუალოდ პროკურატურაში ჩამოყალიბდა საგამოძიებო აპარატი.

1930 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული იქნა დებულება საქართველოს სახელმწიფო პროკურატურის შესახებ. აღნიშნული დებულების მიხედვით, პროკურატურა აღარ შედიოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში.

1936 წლის 9 აგვისტოს მიღებული დადგენილებით „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარის სისტემიდან საპროკურორო და საგამოძიებო ორგანოების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს პროკურატურა დაექვემდებარა სსრკ-ის პროკურატურას.

1936 წელს განხორციელდა პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზებული აგება და პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურა თითქმის უცვლელად იქნა შენარჩუნებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წლის ბოლომდე.

საქართველოს პროკურატურა საბჭოთა პროკურატურის განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ მათი შემდგომი სტრუქტურული განვითარება სსრ კავშირის პროკურატურის განვითარების შესაბამისად ხორციელდებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისას პროკურატურა უძლიერესი სახელმწიფო ორგანო იყო. მას სახელმწიფოს თვალს უწოდებდნენ.

წარსულში პროკურატურის ორგანოები სრულიად დამოუკიდებელ, ერთიან-ცენტრალიზებულ სახელმწიფო ორგანოდ აღიქმებოდა, წარმოჩენილი იყო, როგორც მძლავრი მონსტრი, ფართო იყო მისი უფლებამოსილება და ფუნქციები. მას უფლება ჰქონდა განეხორციელებინა საერთო ზედამხედველობა კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე. ბევრ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში პროკურატურის ორგანოები კვლავ ინარჩუნებენ ფართო უფლებამოსილებას.

1992 წლის 17 ივნისს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“. აღნიშნულ დებულებაში შეტანილი ცვლილებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროკურატურის უფლებები. პროკურატურას ჩამოერთვა საერთო ზედამხედველობის ფუნქცია, ანუ სხვადასხვა სამინისტროში და მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში კანონიერებისადმი ზედამხედველობის ფუნქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ზედამხედველობის ფუნქცია ამჟამად ძირითადად განაწილებულია საკონსტიტუციო სასამართლოს, კონტროლის პალატასა და სახალხო დამცველს შორის. თუმცა ვფიქრობთ, რომ პროკურატურის საერთო ზედამხედველობითი ფუნქციის მთლიანი გაუქმება არამართებულია.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით, პროკურატურა წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებას. 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით კონსტიტუციიდან ამოღებული იქნა ზემოთ აღნიშნული მუხლი და პროკურატურა აღარ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა ცვლილებები პროკურატურის ორგანიზაციასა და უფლებამოსილებაში.

1997 წლის 21 ნოემბერს მიღებული იქნა ორგანული კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, ხოლო 2008 წლის 21

ოქტომბერს კი საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა პროკურატურის ამოცანები, ფუნქციები, სისტემა და სხვა ძირითადი მიმართულებები.

დღეისათვის საქართველოში პროკურატურის სისტემას ქმნიან საქართველოს მთავარი პროკურატურა, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, საოლქო და რაიონული პროკურატურები[1].

საქართველოს პროკურატურა, მის წინაშე დასმული ამოცანების ცხოვრებაში გატარებისას, ეფუძნება ევროპის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და პროკურატურის საქმიანობის პრინციპებს. ეს პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;

გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

დ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

ე) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორის და პროკურატურის სხვა მუშაკის საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი დაქვემდებარება;

ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

საქართველოს პროკურატურის ფუნქციები, საპროცესო უფლებამოსილება და პროკურატურის სამართლებრივი სტატუსი რეგულირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პროკურატურის ამოცანები თავმოყრილია 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ საქართველოს კანონში „პროკურატურის შესახებ“, რომლის მიხედვით, პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

[1] საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ თბ. 2008 წელი.

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას;

დ) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;

ე) ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების ადგილებსა და პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;

ვ) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე, და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

ზ) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას;

თ) სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

პროკურატურის ეს ამოცანები ამომწურავია და ამიტომ პროკურატურას არ შეიძლება დაევალოს ისეთი ფუნქციის შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციით და კანონით „პროკურატურის შესახებ“.[1]

[1] რ. გოგშელიძე. პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“ 9-10. 2002 წ.

პროკურატურის ამოცანებს შორის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება.

ადრე მოქმედი სსსკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტებულია, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა. მაგრამ, ამჟამად მოქმედი სსს კოდექსის მე-3 მუხლში, სადაც მოცემულია ამ კოდექსის მიზნებისათვის ძირითად ტერმინთა განმარტება, სისხლისსამართლებრივი დევნა საერთოდ არ არის მოხსენიებული და განმარტებული, რაც ამ მუხლის ხარვეზად მიგვაჩნია.

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე - საკმაოდ აქტუალური და საპრობლემო საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე უმთავრეს საპროცესო ფუნქციას წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას.

გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე პროცესის მონაწილეთა უფლებების

დაცვას. პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საკმაოდ შრომატევადი, რთული და პასუხსაგები საქმიანობაა. მას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი უფლებები, რომელთა რეალიზაციასაც ახდენს, ერთ შემთხვევაში, გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით და გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებით, ხოლო მეორე შემთხვევაში- გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით.

პროკურატურის საქმიანობის ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და იგი დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა თავის თავში მოიცავს პროკურატურის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, რისთვისაც პროკურატურას საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. პროკურატურა გამოძიების სტადიაზე, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით, ეწევა მიზანმიმართულ და ორგანიზებულ საქმიანობას, რაც წარმოაჩენს მისი მოღვაწეობის აქტიურ მხარეს.

სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო ხელმძღვანელობა — ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს პროკურატურის ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში. პროკურატურის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი ისაა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა და პირებმა ზუსტად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მიღებულ იქნეს ზომები კანონიერების აღსადგენად, დამნაშავეები კი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისათ-

ვის კანონით პროკურატურას მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ფაქტობრივად, პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მიმართულია იმისკენ, რომ სამართალწარმოების მთელ ეტაპზე მასში მონაწილე ორგანოებმა და პირებმა უზრუნველყონ კანონის დაცვა, ასევე, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, კანონის დარღვევის შემთხვევაში კი მოხდეს მისი დროული აღკვეთა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, როგორც საპროკურორო ფუნქცია, შემოღებული იქნა საქართველოს კანონით „პროკურატურის შესახებ," რომელიც შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც.

პროკურატურა, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, გამოძიების სტადიაზე კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, დაწყებული საქმის გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით. ის ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია, რასაც აღწევს როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, ასევე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა თანაბრად და ერთიან სამართლებრივ ფორმებში ვრცელდება გამოძიების ყველა ორგანოზე და არ არის დამოკიდებული მათ უწყებრივ კუთვნილებაზე. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმით არის განმარტებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად გამოძიების სტადიაზე, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება არ არის ადმინისტრაციული, არამედ ის არის განსაკუთრებული საპროცესო ფორმა.[1] ე. ი. პროკურატურის ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში და მისი დაყვანა ადმინისტრაციულ—სამართლებრივ, სამსახურებრივ და სხვა ურთიერთობებამდე დაუშვებელია. თვით საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში ასახულია კანონიერების პრინციპი, რომ ეს საქმიანობა, ანუ პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად მიმდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

[1] В .М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 217.

პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზანია პროკურორის უფლებამოსილების რეალიზაცია, რაც ემსახურება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით სისხლის სამართალწარმოების ეფექტიანად განხორციელებას, რისთვისაც პროკურატურას გააჩნია მრავალი სამართლებრივი ბერკეტი, რაც დეტალურად არის გადმოცემული სსს კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში.

გამოძიების სტადიაზე, ფართო უფლებამოსილების გარეშე, თავისთავად ცხადია პროკურატურა ვერ შეძლებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელებას.

საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, გამოძიების სტადიაზე, კანონით პროკურატურაზე მინიჭებულ უფლებამოსილებებს თუ განვიხილავთ მთლიანობაში, დავრწმუნდებით, რომ ფაქტობრივად, წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მიმართულია იმისკენ, რომ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს არ დაირღვეს, დაცული იქნას პროცესის მონაწილეთა და მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, არ მოხდეს კანონის დარღვევით მტკიცებულებების მიღება და ყველა კონკრეტულ საქმეზე დადგენილი იქნას ობიექტური ჭეშმარიტება.

მიგვაჩნია, რომ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე ზედამხედველობის წარმოება საპროცესო ხელმძღვანელობის მეშვეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული დებულებაა, რაც რეალიზებულია საქართველოს ახალ სსს კოდექსში.

როგორც აღვნიშნეთ, პროკურატურა გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის საშუალებით. „გამოძიებისას, პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამარ-

თლებრივი დევნის განხორციელების მეთოდია, ხერხია, იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.“[1]

კონკრეტულად კი ამ საშუალებათა ჩამოთვლა მოცემულია სსს კოდექსის 83-ე მუხლში, რაც მოიცავს გამოძიების დაწყებას, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად ერთი საგამოძიებო ორგანოდან საქმის ამოღებას და გამოსაძიებლად სხვა საგამოძიებო ორგანოზე გადაცემას, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ქვემდგომი პროკურორის ჩამოშორებას და მისი ფუნქციების სხვა პროკურორზე დაკისრებას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობას, პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებას, მითითების მიცემას, სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალების ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვას, შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვას, გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილების გაუქმებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტას ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას, საჩივრის გადაწყვეტას, ბრალდების შეცვლას, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებას, სასამართლოში მტკიცებულების წარდგენას და მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას, სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტის თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულების მოთხოვნას და დაუბრკოლებლად მიღებას, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანას, პირის დაზარალებულად ცნობას და მისი უფლება-მოვალეობების განმარტებას და სხვ.

ეს მოქმედებები როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ინსტიტუციური, საკვანძო ელემენტებია, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ცალკეულ საპროცესო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის შემოღებამ მრავალი არსებითი

[1] გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართლებრივი დევნა ციატნოტში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997 წლის 31 ოქტომბერი.

ცვლილებები შეიტანა გამოძიების სტადიაზე პროკურატურის უფლებამოსილებათა ნუსხაში*.

პროკურატურა, დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიული სამძებრო საქმიანობა.

პროკურატურა, მისი ძირითადი საპროცესო ფუნქციის - გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების გარდა, პირადად სრული მოცულობით ატარებს საქმეზე გამოძიებას. ამ უკანასკნელი ფუნქციის განხორციელების დროს პროკურორი მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლით გამომძიებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

მიგვაჩნია, რომ პროკურატურის ამგვარი საქმიანობა, რაც გამოიხატება სრული მოცულობით გამოძიების ჩატარებაში, უფრო ეფექტურს და მნიშვნელოვანს ხდის მის როლს გამოძიების სტადიაზე. ამ მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ვ. მ. სავიცკი, რომლის აზრით, „პროკურორის როლი გამოძიებაში უშუალო მონაწილეობისას გამოიხატება იმაში, რომ უზრუნველყოს საგამოძიებო მოქმედებები კანონის სრული დაცვით და სწრაფად მიაღწიოს დანაშაულის გახსნას. მონაწილეობს რა გამოძიებაში, პროკურორი თვალყურს ადევნებს, რომ არ დაირღვეს პროცესის არც ერთი მონაწილის უფლებები“.[1] თუმცა, პროკურორის აღნიშნული საქმიანობის თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, რუსი მეცნიერე-

* საერთოდ, პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების, სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის ცნების, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის, ასევე პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციის - გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ ვრცლად და დეტალურად გადმოცემული იქნება წინამდებარე ნაშრომის შემდეგ თავებში.

[1] В .М. Савицкии. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 162.

ბის მხრიდან, სხვადასხვა მოსაზრება იქნა გამოთქმული. ისინი მიუთითებდნენ და ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ პროკურორის მიერ თავის საქმიანობაში ამ ფორმის გამოყენება ხომ არ წარმოადგენდა გამომძიებლის საქმიანობაში შეჭრას, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვას. ვფიქრობთ, ეს საკითხი არ იწვევს დავას, რადგან ის საპროცესო კანონმდებლობით არის განმტკიცებული და პროკურატურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

გამოძიების სტადიაზე, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებასთან ერთად, შესაძლებელია ჩატარდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებიც, კერძოდ:

ა) პირის გამოკითხვა;

ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი;

გ) საკონტროლო შესყიდვა;

დ) კონტროლირებადი მიწოდება;

ე) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;

ვ) პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება);

ზ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;

თ) მოსამართლის ბრძანებით, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო- სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა);

ი) მოსამართლის ბრძანებით, ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

კ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;

ლ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა;

ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ წერილობითი დავალების საფუძველზე, ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განმახორციელებელი ორგანოები.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, მათი ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელება პროკურატურის ერთერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც მინიჭებული აქვს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით. წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განმახორციელებელი ორგანოებისა და პირების საქმიანობაზე პროკურორის მიერ ზედამხედველობის განხორციელების მიზანია ზემოაღნიშნული ორგანოებისა და პირების მიერ სხვადასხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებისას, ასევე, მათი ჩატარების პროცესში გადაწყვეტილებათა მიღებისას, უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერების სრული დაცვა და არ განხორციელდეს ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას, იურიდიული პირის უფლებებს, ასევე, რომლებიც დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს, მის მოადგილეებს, მთავარი პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების უფრო-

სებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, საოლქო პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, ქ. თბილისის პროკურორს, მის მოადგილეებსა და რაიონულ პროკურორებს თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის, მთავარი პროკურორის და მისი მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, საოლქო პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორისა და რაიონული პროკურორების მიერ განსაზღვრულ სხვა პროკურორებს უფლება აქვთ გაეცნონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განმახორციელებელი ორგანოების მიერ შექმნილ ოპერატიული დამუშავების საქმეებს და ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო მასალებს.

ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობაზე პროკურატურის მიერ ზედამხედველობის ფუნქციის შესრულების დროს, მნიშვნელოვანია საკითხი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე პროკურატურის ზედამხედველობის ეფექტურობა.

საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, დაწესებულია მთელი რიგი სამართლებრივი გარანტიები ამ სფეროში კანონიერების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების დროს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვის მიზნით. ჩვენი აზრით, ამ სფეროში კანონიერების დაცვის მნიშვნელოვან გარანტად უნდა მივიჩნიოთ საპროცესო იძულებითი ღონისძიების გამოყენების დროს სასამართლოს წინასწარი კონტროლის, გადაუდებელ შემთხვევებში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას კი – სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ამ მოქმედების კანონიერების შემდგომი შემოწმებისა და შეფასების საპროცესო წესების შემოღება.

რა თქმა უნდა, ეს საკანონმდებლო ღონისძიება ბოლომდე ვერ ანეიტრალებს ამ სფეროში პრობლემის სიმძაფრეს, მაგრამ გარკვეულად ხელი უწყობა ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს კანონის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, იურიდიული პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები, კერძოდ:

1. აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

2. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს (საჯარო მოსამსახურეებს) ეკრძალებათ ფარული მონაწილეობა საქართველოს საკანონმდებლო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში. აკრძალულია ფარული მონაწილეობა ოფიციალურად რეგისტრირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ ეს საქმიანობა მიზნად არ ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ან/და თუ ეს ორგანიზაციები არ ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას არ აღვივებენ ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობა.

4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახულ იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შე-

სახებაც ეცნობება საქართველოს იუსტიციის მინისტრს ან საქართველოს მთავარ პროკურორს, აგრეთვე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს.

5. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს (საჯარო მოსამსახურის) მიერ ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორც წესი, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემი შეიძლება გახდეს მტკიცებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ღონისძიება ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამ მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობა კი პროკურატურის კონსტიტუციური უფლება და მოვალეობაა.

პროკურატურის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ზედამხედველობა კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში, აგრეთვე სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიების აღსრულებისას. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურორი ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს.

პროკურორს, ზედამხედველობს რა პირთა უფლებების დაცვას და საპროცესო მოვალეობათა განხორციელებას დაკავებულთა მოთავსების ადგილებსა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, აგრეთვე აღნიშნულ დაწესებულებებში კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას, „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, უფლება აქვს:

ა) კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ჩაატაროს შემოწმებები დაკავებულთა მოთავსების ადგილებსა და პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებში შევიდეს ნებისმიერ დროს;

გ) გამოკითხოს დაკავებული, დაპატიმრებული, მსჯავრდებული და სხვა პირები, რომლებსაც შეფარდებული აქვთ იძულებითი ღონისძიებები;

დ) გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც პირები დაკავებული, დაპატიმრებული არიან, იხდიან სასჯელს ან შეფარდებული აქვთ იძულებითი ღონისძიებები;

ე) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებით ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად.

პროკურორის მოთხოვნა დაკავებულთა მოთავსების ადგილებსა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პირთა მოთავსების, ყოფნის, სხვა იძულებით ღონისძიებათა აღსრულების კანონიერებასთან დაკავშირებით, სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციისათვის.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ პროკურატურის ფუნქცია სასამართლოში განსაზღვრა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით, რაც შემდგომში შესაბამისად რეგლამენტირებული იქნა ამჟამად მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამ მიმართულებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა პროკურატურის მოღვაწეობის მთავარი პრიორიტეტია, რისთვისაც მას მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლება-მოვალეობანი.

საქართველოს სსს კოდექსისა და „პროკურატურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროკურატურა, კა-

ნონით დადგენილი წესით, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბრალმდებელი — ეს არის პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რომელსაც ევალება ბრალდების მტკიცების მოვალეობა.

პროკურორს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებს ბრალდებას, ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში; სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების, სასამართლოში საქმის წარმართვის და სხვა საკითხების განხილვაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. მას უფლება აქვს: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე; მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, განსასჯელის შერაცხადობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს, როგორც მხარე, იმ

საჩივრებზე, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი პროკურატურას სისხლის სამართალწარმოების პროცესში ანიჭებს ფართო უფლებამოსილებებს და პროკურორი არის განსაკუთრებული კატეგორიის თანამდებობის პირი, მას არ გააჩნია არავითარი უპირატესობა პროცესის სხვა მონაწილეებთან მიმართებაში, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობს, როგორც მხარე და აქვს თანაბარი საპროცესო უფლებები, რაც აბსოლუტურად მართებულია.

როგორც აღინიშნა, უდავოა, რომ პროკურატურა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, დაცვასთან ერთად მონაწილეობს, როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, რაც სასამართლოში შეჯიბრებითობის პრინციპის სრული დაცვით ხორციელდება. ამასთან, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, მტკიცებულებების გამოკვლევაში თანაბრად მონაწილეობენ მხარეები, მოსამართლე ვერ ერევა პროცესის მსვლელობასა და მტკიცებულებების გამოკვლევაში. ფაქტობრივად ჩვენმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა ინკვიზიციურ სასამართლო პროცესზე და უფლება მისცა პროკურატურას წარმართოს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მთლიანი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ მკვეთრად გაიზარდა პროკურატურის ფუნქცია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის საქმეში.

სახელმწიფო ბრალდების ეფექტური მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერის, აქტიური პოზიცია ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ განხილვა-გადაწყვეტას. სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის პროცესში პროკურატურა დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის საპროკურორო ფუნქცია, როგორც ცნობილია, ადრე კონცეფტუა-

ლურად გაგებული და პრაქტიკაში წარმოდგენილი იყო გაცილებით ფართოდ, როგორც პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია დამნაშავეობასთან და კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის საქმეში.

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის ძირითად ფორმებს მიეკუთვნებოდა ერთობლივ ღონისძიებათა გატარება, დამნაშავეობის ანალიზი, ცალკეულ დანაშაულთა შესწავლა და განზოგადება, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავება და სხვა, რასაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია გულისხმობს არა პროკურატურის მიერ დამნაშავეობასთან მებრძოლი სხვა ორგანოების მართვას, არამედ, ფაქტობრივად, ამ ორგანოთა ძალისხმევის გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად.[1] ეს მიზანი კი გახლავთ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა, რომლის ორგანიზაციული მხარის მოგვარება პროკურატურას აკისრია. სწორედ ამიტომ განსაზღვრა კანონმა პროკურატურის ერთ-ერთ ამოცანად დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია. პროკურატურის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის განხორციელება ხელს უწყობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სისტემის შექმნას.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროკურატურა კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის დროულად გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით. მას ეკისრება მოვალეობა, ანალიზი გაუკეთოს დანაშაულის წინააღმდეგ

[1] ა. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა საბჭოთა კავშირში (სახელმძღვანელო), თბ.1970 წ. გვ. 347-354.

ბრძოლას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი საგამოძიებო ორგანო აწარმოებს გამოძიებას და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი უფლებამოსილია უზრუნველყოს სტატისტიკური ანგარიშების შედგენა, საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადება და სრულყოფა, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების პრაქტიკაში დანერგვა.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

პროკურატურის ამოცანებსა და საქმიანობის მიმართულებებს შორის, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, პროკურორის სარჩელი უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

პროკურორი, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, აღძრავს სარჩელს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

§-2. გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა

ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მოიცავს ცალკეულ, მნიშვნელოვან სტადიებს. ერთ-ერთი ასეთი სტადია, რომელიც დამოუკიდებელ როლს ასრულებს სისხლის სამართლის პროცესში, არის გამოძიების სტადია, სადაც პროკურორი ახორციელებს

საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობების ძირითად ნაწილს.

გამოძიება არის სისხლის სამართალწარმოების საწყისი სტადია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, გამოძიება — ეს არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მეტად რთულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. იგი მოქცეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებში და მის ფარგლებში მოძრაობს.[1]

გამომძიებელი, პროკურორი, როგორც კი მიიღებენ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებელი დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს გამოძიების დაწყების თაობაზე.

გამოძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად იქნას შესწავლილი და გამოძიებული.

გამოძიება ქმნის აუცილებელ პირობებს მართლმსაჯულების კანონიერად განხორციელებისათვის. მისი ამოცანაა: გამოძიების წარმოებით შეაგროვოს დანაშაულის გასახსნელად საჭირო მასალები, ე. ი. დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დანაშაულის ჩამდენი პირი, ჩამოაყალიბოს ბრალდება, უზრუნველყოს დაცვის პირობების შექმნა და პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას წინაპირობა დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, უზრუნველყოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება, გამოავლინოს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი და მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთად, მოამზადოს სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლო

[1] სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 2008 წ. გვ. 64.

განხილვისათვის ეს საქმიანობა თვით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტითაც კი შეიძლება დამთავრდეს.[1]

სისხლის სამართალწარმოებაში პროცესის თითოეული სტადია გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. რაც შეეხება გამოძიებას, როგორც პროცესის პირველ, საწყის სტადიას, მას წინასწარი ხასიათი აქვს, იმ გაგებით, რომ გამოძიება წარმოებს სასამართლო განხილვის ჩატარებამდე და საქმეზე მასალების შეკრება და შემოწმება სასამართლოსთვის იმ მიზნით ხდება, რომ სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდეს, ამ მასალების ერთობლივად განხილვა-შემოწმების შედეგად გამოიტანოს დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი მოცემულ საქმეზე.[2]

როგორც სისხლის სამართლის პროცესის ყველა, ასევე გამოძიების სტადიაზე, სამართალწარმოების დროს გამოძიების წინაშე დგას ზემოთ აღნიშნული კონკრეტული ამოცანები, რაც ორგანულად არის დაკავშირებული სამართალწარმოების საერთო ამოცანებთან.

გამოძიების წარმოება, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა ძალიან მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და რთული საქმიანობაა, რომლის დროსაც, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ხორციელდება სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მოითხოვს გამომძიებლის უზარმაზარ ენერგიას, დაძაბულ მუშაობას და შემოქმედებით მოღვაწეობას, მის უშუალო და მუდმივ მართვას. მასში მონაწილეობენ: პროკურორი, გამომძიებელი, დაზარალებული - ბრალდების მხრიდან, ბრალდებული, დამცველი, — დაცვის მხრიდან, ასევე სამართალწარმოების სხვა მონაწილეები — მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, დამსწრე.

გამოძიებას აწარმოებენ პროკურორი და გამომძიებელი. პროკურორს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, ასევე, თვითონ აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორ-

[1] Уголовно-процессуальное право Российской Федерации. Под. Ред. И. Л. Петрухина. М. 2006 г. стр. 328.

[2] საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. ა.ფალიაშვილის და ლ. თალაკვაძის რედაქციით. თბილისი. 1988 წელი. გვ. 215.

ციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით. გამომძიებელი უფლებამოსილია თავისი კომპენტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამომძიებელს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს და მათ მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა. ამასთან, გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, უფლება აქვს, პროკურორის დავალებით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩაატაროს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება.

გამოძიებას, მისთვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებთან ერთად, ასევე ახასიათებს განსაკუთრებული ნიშნები, როგორიც არის საქმის ერთპიროვნული გამოძიება და გამოძიების დროს წყვეტილობის არარსებობა.

გამოძიების დროულად და სრულად ჩატარება უზრუნველყოფს გამოძიების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ სამართლიანი და კანონიერი განაჩენის დადგენას, რადგან გამოძიება გარკვეულ სამზადისს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განსახილველად.

გამოძიებასა და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც გამოძიების სტადიაზე, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, დაწყებული საქმის გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით. იგი ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია, რასაც აღწევს როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, ასევე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

სწორედ ამ სტადიაზე ვლინდება პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, როლი და მნიშვნელობა, სადაც ფართო გასაქანი ეძლევა პროკურორის საპროცესო ფუნქციის განხორციელებას და მისი უფლებების სრულ რეალიზაციას.

§-3. პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე

სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორი იყო და არის პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობებისა და საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროცესის თითოეულ, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე. პროკურორი თავის უფლება- მოვალეობებს ახორციელებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით. მისი საპროცესო მდგომარეობა სპეციფიკურია პროცესის თითოეულ სტადიაზე.

სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ეტაპობრივად განიცდიდა ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობა ყოველთვის აქტუალური იყო. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პროკურორის უფლებამოსილება გამოძიების სტადიაზე კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება.

ტერმინი „პროკურორი“ ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს, რომლის ძირითადი ამოცანაა იზრუნოს კანონიე-

რების განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის, მიღებული კანონების მტკიცე და განუხრელი შესრულებისთვის.[1]

ტერმინი „პროკურორი“, დღევანდელი მნიშვნელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა პროკურატურის სამშობლოშივე - საფრანგეთში (დაახლოებით მე-17 საუკუნის დამდეგისათვის), საიდანაც საკმაოდ სწრაფად და ფართოდ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის პეტრე პირველის დროინდელ რუსეთში[2].

საქართველოში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებიდან დღემდე, სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორს სხვადასხვა უფლებამოვალეობა ჰქონდა მინიჭებული. საწყის ეტაპზე, პროკურორი ახორციელებდა საპროკურორო ზედამხედველობას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე და იყო გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რის უზრუნველსაყოფადაც ის გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურორი თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, კანონიერების სრული დაცვით.

საქართველოში პროკურორის ფუნქციას ახორციელებენ: საქართველოს მთავარი პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, საოლქო და რაიონული პროკურორები, მათი მოადგილეები და ზემოაღნიშნული პროკურატურის პროკურორები.

პროკურორი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით. ის თავის ფუნქციას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით და ასრულებს იმ ამოცანებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს საკანონმდებლო აქტებში.

---

[1] სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 2008 წელი, გვ. 55.

[2] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. ქ. თბილისი. 1999 წ. გვ. 29.

რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საპროცესო მდგომარეობას და უფლება-მოვალეობებს, ისინი განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით, რომელთაც შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან და საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, პროკურორი არის კანონის უზენაესობის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი. მას კანონით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო საქმიანობაში უკავია განმსაზღვრელი ადგილი.

პროკურორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში ეყრდნობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, რაც გამყარებულია კანონით.

გამოძიების სტადიაზე, პროკურორი მთლიანად აკონტროლებს გამოძიების პროცესს და გამოძიების ყველა პრინციპულ საკითხს. ის უფლებამოსილია გამოძიების წარმოებისას გაეცნოს საქმეებს, შეაფასოს მოპოვებული მტკიცებულებები. სისხლის სამართლის პროცესში, პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს საპროცესო იძულების ფორმები საქმის დროული და სწორი გამოძიებისათვის, ვინაიდან მისი მოვალეობაა, არც ერთი დანაშაული არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. იგი ასევე აკონტროლებს იმას, რომ პროცესის მონაწილეებმა არ დაარღვიონ კანონი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურორი არის კანონის უზენაესობის გარანტი. მას შეუძლია დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ან თავისუფლებააღკვეთილი პირი, მისცეს გამოძიებას სწორი მიმართულება, შეცვალოს გამომძიებელი, საქმე გადასცეს სხვა გამომძიებელს და ა. შ.

პროკურორის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის საპროცესო მდგომარეობა, რომელიც მას უკავია სისხლის სამართალწარმოებაში, ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სტატუსი, რომელიც პროკურორს, როგორც პროცესის მონაწილე პირს აქვს მინიჭებული.

სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის საპროცესო მდგომარეობა განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით. ამასთან დაკავშირებით პროფესორი ბ.მ. სავიცკი განმარტავს: „იმისათვის, რომ პროკურორმა მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართალწარმოებაში, მან უნდა დაიკავოს განსაზღვრული საპროცესო მდგომარეობა, რომლის საშუალებითაც ის შეძლებს შედარებით ეფექტურად შეასრულოს თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფუნქცია კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ.[1] აბსოლუტურად მართებულად მიგვაჩნია აღნიშნული მოსაზრება იქიდან გამომდინარეც, რომ სისხლის სამართალწარმოებაში, როგორც პროცესის სხვა მონაწილეთა, ასევე, მათ შორის, პროკურორის მონაწილეობა დამოკიდებულია იმ საპროცესო მდგომარეობაზე, რითაც ისინი ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, პროკურორი ვერ შეძლებს კანონიერების დაცვისათვის სახელმწიფო სამართლებრივი ფუნქციის შესრულებას.

პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში- ფართო ცნებაა. არ შეიძლება, სწორად იქნას გაგებული პროკურორის მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, თუ მისი საქმიანობა დაყვანილი იქნება მხოლოდ ზოგად დებულებებზე, რომ იგი გამოძიების პროცესში ხელმძღვანელობს კანონთა შესრულებას. ასეთი მოსაზრება ხელს ვერ შეუწყობს პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის პრობლემის, როგორც მის ერთ-ერთ ძირითად საპროცესო ფუნქციის განმარტებას. ასეთი ვიწრო გაგებით პროკურორის საპროცესო ფუნქციის განმარტება, ჯერ ერთი, შლის ყოველ-

[1] Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводствею издателство « Наука ». Москва 1975 год. стр.27.

გვარ ზღვარს მის საპროცესო და არასაპროცესო ფუნქციას შორის, რადგან პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება ყველგან, როგორც პროცესზე, ასევე პროცესის გარეთ და მეორეც, გარკვეულად კნინდება პროკურორის როლი სისხლის სამართალწარმოების ამ მეტად მნიშვნელოვან სტადიაზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა ზოგადმეცნიერული გაგებაა, რომელიც აფიქსირებს პროკურორის უფლებებისა და მოვალეობების ამოცანებს და მხოლოდ ამით შეიძლება უშეცდომოდ შეფასდეს, თუ რა არის კონკრეტულ სიტუაციაში განმსაზღვრელი და რა არის განსასაზღვრავი.

პროკურორის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში და მათ შორის, გამოძიების სტადიაზე, შეიძლება გაგებული იქნას, როგორც მისი მოღვაწეობის შინაგანი ორგანული კავშირის არსისა და მისი საქმიანობის საპროცესო ფორმა, რითაც იგი აღიჭურვება პროცესის ამ მეტად მნიშვნელოვან სტადიაზე. ძირითად შემთხვევაში, პროკურორის საპროცესო ფორმა დამოკიდებულია იმ უფლებამოსილებაზე, რომელიც მას ეძლევა მოცემულ სტადიაზე, რაც განსაზღვრავს პროკურორის საპროცესო ფუნქციის ხასიათს. პროკურორის საპროცესო ფუნქცია - ეს არის მისი საქმიანობის მიმართულების განსაზღვრა.

გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის პირველი სტადიაა. სწორედ ამ სტადიიდან იწყებს პროკურორი თავის საპროცესო საქმიანობას.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. ამ მომენტისათვის ყველა საქმიანობა მიდის ერთი საკითხის გარკვევამდე - ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის ნიშნებს. დადებით შემთხვევაში, საქმეზე დაიწყება გამოძიება და ამით იქმნება წინაპირობა პროკურორის სისხლის საპროცესო ფუნქციის განხორციელების, მისი საპროცესო საქმიანობისა.

გამომძიებლის მთელი საქმიანობა გამოძიების სტადიაზე იმყოფება პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ, ვისზედაც დაკისრებულია კანონთა დაცვა გამოძიების დროს.

ეს ფაქტი თავისთავად ხაზს უსვამს პროკურორის საპროცესო სტატუსს.

პროკურორის უფლებამოსილების, მისი საპროცესო მდგომარეობის ანალიზი გამოძიების სტადიაზე, გვარწმუნებს, რომ პროკურორის საპროცესო სტატუსის, მისი უფლებამოსილების გამოყენება წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამოძიების სრულყოფილი და ობიექტური ჩატარება, გამოძიების მწარმოებელი ორგანოს და კონკრეტული პირის მხრიდან კანონიერების სრული დაცვა.

გამოძიების სტადიაზე პროკურორის როლისა და მისი თანამედროვე რეალობის საკითხის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორის სახელმწიფოებრივ - სამართლებრივი (კონსტიტუციური) და საპროცესო ფუნქციის განხილვას, რაც, რა თქმა უნდა, სამართლის თეორიაში და იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერებს შორის სადავო საკითხს წარმოადგენს.

სამართლის თეორიაში გავრცელებული მოსაზრებით, პროკურორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ფუნქცია გულისხმობს მისი მოღვაწეობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და მის მკაცრ სამართლებრივ რეგლამენტაციას კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, გარკვეული მოწინააღმდეგენი გააჩნია.

რაც შეეხება პროკურორის საპროცესო ფუნქციას, ეს არის სამართალწარმოების მიმართულება საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით და მას მიეკუთვნება ბრალდება, დაცვა და საქმის გადაწყვეტა.

პროკურორი არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, თუმცა უფლებამოსილება, ფუნქციები და ამოცანები სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებულია და ერთი და იგივე არ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

გამოძიების სტადიაზე პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ასევე ასრულებს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციასაც. აქედან გამომდინარე, სასამართლომდე სტადიაზე, ანუ გამოძიების ეტაპზე,

პროკურორის უფლებამოსილება შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის გამოძიებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორის უფლებამოსილებანი, ხოლო მეორე ჯგუფში საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი.[1]

პროკურორი, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი, გამოძიების სტადიაზე ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება განსაზღვრავს მისი მოქმედების საბოლოო მიზანს— უზრუნველყოს სისხლის სამართლის წარმოება, დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი პირი, მისცეს იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიება სასჯელის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორი გამოძიების სტადიაზე უშუალოდ ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ფუნქციას.

გამოძიების სტადიაზე გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფორმები ხასიათდება პროკურორის საპროცესო მდგომარეობით და ზუსტად გამოხატავს მისი საქმიანობის არსს ამ სტადიაზე. საპროცესო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, რომ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია არა მის მიერ გამოყენებული მეთოდების ხასიათზე, არამედ, პირიქით, ეს მეთოდებია დამოკიდებული პროკურორის სამართლებრივ მდგომარეობაზე[2], არასწორად მიგვაჩნია, რადგან სწორედ პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობაა დამოკიდებული მის მიერ გამოყენებულ მეთოდების ხასიათზე, ვინაიდან ეს მეთოდებია ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის გამოყენებით შეიძლება სწორად, ადეკვატურად განი-

---

[1] სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი, 2008 წ.გვ. 201.

[2] Жогин Р. В. Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. Юридическая литература. 1968 г. стр. 145.

საზღვროს პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში და მათ შორის, გამოძიების დროს.

გამოძიების სტადიაზე, პროკურორს მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ ფართო და ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლო უფლება-მოვალეობები აქვს, რითაც ის საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან აქტიურად ერთვება პროცესში და ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს. სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს;

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე;

ე) ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ

სხვა შემთხვევებში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს;

ვ) გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

ზ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

თ) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

ი) შეცვალოს ბრალდება;

კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

ლ) სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში;

მ) სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;

ნ) მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება;

ო) გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ;

პ) პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები;

ჟ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მართალია, პროკურორი გამოძიებაზე საპროკურორო ხელმძღვანელობას ახორციელებს და არა ზედამხედველობას, მაგრამ გარკვეულად ამ ფუნქციის განხორციელებისას აქაც

ვლინდება ერთგვარი სახელისუფლებო- განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები.[1] მაგრამ, პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სასამართლო განხილვის სტადიაზე არსებითად განსხვავდება წინასწარ გამოძიებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ გამოძიების სტადიისაგან განსხვავებით, სასამართლოში პროკურორის სახელისუფლებო-განმკარგულებელი უფლებამოსილების ელემენტები არ შეინიშნება, რადგან პროკურორი სასამართლოში მხარეა, სარგებლობს დაცვის მხარის თანაბარი საპროცესო უფლებით და მას რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია არ გააჩნია.

უდავოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ამ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით მკვეთრად გაიზარდა პროკურორის როლი, მისი საპროცესო სტატუსი, განსაკუთრებით კი გამოძიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით.

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, გამოძიების ეტაპზე პროკურორის საქმიანობის როლი და მნიშვნელობა ის არის, რომ სამართალწარმოების ამ სტადიაზე გამოძიების მწარმოებელ ცალკეულ ორგანოთა და გამომძიებელთა საქმიანობაზე პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობით მიღწეულია ზოგადად კანონიერების დაცვა, დანაშაულის გახსნა, დამნაშავე პირის დადგენა, მისი პასუხისგებაში მიცემა, კანონის დარღვევის აღკვეთა და პროცესის მონაწილე პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამას პროკურორი აღწევს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებით. გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის როლი და მნიშვნელობა დადასტურებული და განმტკიცებულია საქართველოში საპროკურორო საქმიანობის მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზით.

[1] . სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი, 2008 წ. გვ. 202.

თავი II

სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები. დისკრეციული დევნის პრინციპები

§-1. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე, პროკურორს აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და საპროცესო ფუნქციები, რომელთაც სისხლის სამართლის პროცესში მისი საპროცესო მდგომარეობა განაპირობებს. პროკურორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე—საკმაოდ აქტუალური და საპრობლემო საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე უმთავრეს საპროცესო ფუნქციას წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას.

სისხლისსამართლებრივი დევნის გაგება ყალიბდება საგამოძიებო სფეროში, სადაც ეს ნიშნავს სახელმწიფოს უფლე-

ბას—კანონის შესაბამისად დასაჯოს დამნაშავე პირი ჩადენილი დანაშაულის გამო. სახელმწიფო მიიიჩნევს, რომ ამ უფლებას ერქვას სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება.

პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს კანონს, ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, კანონის შესაბამისად მისი დასჯის უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს და წარმოადგენს მის განსაკუთრებულ უფლებას.[1]

სისხლისსამართლებრივი დევნა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან, რაშიც იგულისხმება სახელმწიფოს უფლებამოსილება ჩადენილ დანაშაულში დამნაშავე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რაც წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის დროს, რეალიზაციას უკეთებს თავის უფლებებს და ასრულებს თავის ვალდებულებებს სისხლისსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, რადგან სახელმწიფოს უფლებამოსილებას სისხლისსამართლებრივ დევნაზე აქვს არა მარტო ნაციონალური, არამედ საერთაშორისო სამართლის ასპექტი.[2]

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების მეშვეობით, მათი უფლებამოსილების ფარგლებში. ხშირად, სახელმწიფოს ნაცვლად, ბრალდებულთა სამართლებრივ ურთიერთობაში ერთვება მისი წარმომადგენელი, ხდება მისი გაიგივება, როგორც სამართალწარმოების სუბიექტთან, სამართალწარმოების ერთი სუბიექტისა მეორე სუბიექტთან, რაც იწვევს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.[3]

სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება—სახელმწიფოს სახელით ჩაერთონ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ბრალდებულთან და პროცესის სხვა მონაწილეებთან, არიან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები.

---

[1] Яковенко В. В. Уголовное преследование и роль прокурора в его осуществлений . Дис.канд. юрид. наук. М. 2006 г.

[2] იხ. დასახელებული ნაშრომი.

[3] Божев В. П. Уголовно-процессуальные правоотношения. М. 1975. стр. 152.

სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ატარებენ ბრალდებულის გამოსააშკარავებლად.

სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის პროცესის აღიარებული სპეციალისტის, პროფესორ მ. ს. სტროგოვიჩის განმარტებით, არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა[1]. ი. გაბისონიას აზრით, სტროგოვიჩი თავის შრომებში სისხლისსამართლებრივი დევნის განმარტებისას ამ საპროცესო მოქმედებებში მოიაზრებდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მამხილებელი საბუთების (მტკიცებულებების) შეკრებას, აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდებას, დაკითხვას, ჩხრეკას და სხვა. ე. ი. ფაქტობრივად ყველაზე მნიშვნელოვან „აქტიურ“ საგამოძიებო მოქმედებათა მთელ არსენალს — არსებითად წინასწარ გამოძიებას (გარდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა) და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას.[2]

მ.ს. სტროგოვიჩი სისხლისსამართლებრივ დევნას განიხილავდა, როგორც საბრალდებო საქმიანობას. ეს საქმიანობა, მისი აზრით, გამოიხატებოდა მტკიცებულებათა შეგროვებაში, რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე იმ მოქმედებების განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია სასამართლოს წინაშე ბრალდების დასაბუთებაში და სათანადო სასჯელის მოთხოვნაში.[3] ის აღნიშნავდა, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას მიეკუთვნება პროკურატურის საქმიანობა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ დაასაბუთოს სასამართლოს წინაშე წარდგენილი ბრალდება, დაარწმუნოს სასამარ-

---

[1] Строгович М. С. Курс советского уголовного процесса. Т. 1. М. 1968 г. стр. 190—192.

[2] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი. 1999 წელი. გვ. 255.

[3] Строгович М. С. Курс советского Уголовного процесса. М. 1968 г. Т.1. стр. 190.

თლო ბრალდებულის ბრალეულობაში და შეეფარდოს დამსახურებული სასჯელი.[1]

აღნიშნული განსაზღვრება, როგორც ჩანს, ხაზს უსვამს პროკურორისა და გამომძიებლის ფართო საპროცესო უფლებამოსილებას, მათი საქმიანობის მრავალფეროვნებას მტკიცებულებათა შეგროვების საქმეში. ამასთან, მ.ს. სტროგოვიჩი აღნიშნულ საქმიანობას შეუსაბამებს მხოლოდ ბრალდებულის საპროცესო ფიგურასთან.

ჩვენი აზრით, როცა აქ ავტორი საუბრობს მტკიცებულებათა შეგროვებაზე, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მომენტისათვის შეგროვებული უნდა იყოს საკმარისი მტკიცებულება, რაც ამტკიცებს პირის ბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში.

ფ. ნ. ფატკულინის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა ნიშნავს თანდათანობით და მიზანდასახულ მოძრაობას სავარაუდო საზოგადოებრივად საშიში ქმედების კვალდაკვალ დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისაკენ, დანაშაულის სრულ გახსნამდე. მას იგი, ბრალდებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ ფუნქციად არ მიაჩნია. ფ. ნ. ფატკულინის თქმით, სისხლისსამართლებრივი დევნა დამახასიათებელია ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებისათვის, რომელიც მიმართულია დანაშაულის „კვალის“ გამოვლენისაკენ.[2]

სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, თავის მოსაზრებებს გამოთქვამდნენ აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის სხვა სპეციალისტები და მეცნიერები. მაგ, პროფესორ ზ. ფ. კოვრიგას აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ უნდა მოვიაზროთ საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პროკურორის, გამომძიებლის მიერ, რომელიც მიმართულია იქითკენ,

[1] Строгович М.С. Уголовное преследование в советском уголовном процессе. - М., 1951. - С. 57.

[2] Фаткуллин Ф. Н. Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе. Автореферат кандидатской диссертации. М. 1959 г. стр. 5—8.

რომ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება, დამნაშავე პირის გასამართლება და დასჯა შეუქცევადი იყოს.[1]

სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ რამდენადმე განსხვავებულ, მაგრამ მ.ს. სტროგოვიჩის კონცეფციასთან ძალზე დაახლოებულ თვალსაზრისს გვთავაზობს პროფესორი ა. ბ. სოლოვიევი, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა შედგება სპეციალური კანონით აღჭურვილი უფლებამოსილი თანამდებობის პირების საქმიანობისაგან, მიმართული ჩადენილი დანაშაულისათვის მათი კომპეტენციის ფარგლებში პირის აუცილებელი დასჯისაკენ, რომლის რეალიზაცია ხდება გამოძიების სტადიაზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებით, ასევე, შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებით და მართლმსაჯულების განსახორციელებლად საქმის სასამართლოში გადაცემით.[2]

„პროკურორის სამაგიდო წიგნის“ ავტორების აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაცია ხდება კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, ბრალდების წაყენებამდე დაკავებით, შემდეგ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებით, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით, რაც ზღუდავს ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებებს, საქმის სასამართლოში გადაგზავნით და მართლმსაჯულების განხორციელებით.[3]

სისხლისსამართლებრივი დევნა არის საპროცესო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ბრალდების მხარის მიერ, რათა გამოაშკარავდეს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც ბრალი უნდა დაედოს დანაშაულის ჩადენაში.[4]

[1] Коврига З. Ф. процессуальные проблемы Уголовного преследования и защиты. Правовая конфликтология. Воронеж. 2000 г. стр. 52.

[2] Соловьев А. Б. Функция Уголовного преследования в досудебных стадиях процесса. Прокуратура и правосудие в условиях судебно- правовой реформы. М. 1997 г. стр. 144.

[3] Настольная книга Прокурора. Под. ред. С. И. Герасимова. М. 2002 г. стр. 122.

[4] Александров А.С. Субсидиарное обвинение // Государство и право.-2000.-№ 3. Ст. 25.

განიხილავს რა სისხლისსამართლებრივ დევნას, პროფესორი ა.პ. ლობანოვი განსაზღვრავს მას, როგორც გამომძიებლის, პროკურორის საქმიანობას, რომლებიც აგროვებენ ფაქტობრივ მასალებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ადგენენ ბრალის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, აგრეთვე საპროცესო იძულებით ზომების (აღკვეთის ღონისძიების) გამოყენებას ბრალდებულის მიმართ და სასამართლოში ახორციელებენ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას[1]. ავტორი აქვე მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსში შედის მტკიცებულებათა შეგროვება, რომელიც ამტკიცებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას.

პროფესორი ვ. ვ. გავრილოვი სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსში მოიაზრებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას, ბრალდებულის დაკავებას, აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას, ბრალდების წაყენებას, გამოძიების დამთავრებას, საქმის განსახილველად სასამართლოში გაგზავნას და ბოლოს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის მწვერვალს — ბრალდების მხარდაჭერას სასამართლოში.[2]

პროფესორი ნ. ი. გულიევა სისხლისსამართლებრივ დევნას განსაზღვრავს, როგორც საპროცესო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის გამოსააშკარავებლად, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, მტკიცებულებათა შეგროვების გზით დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალეულობის დასადგენად, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნას მისი სამართლიანი დასჯის მიზნით[3].

სისხლისსამართლებრივი დევნის მსგავს განმარტებას იძლევიან სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა, განხორციელებული

[1] Лобанов А.П. Функции уголовного преследования и защиты в российском судопроизводстве: Автореф. дис. : докт. юрид. наук. - М., 1996. - С. 12.

[2] Гаврилов В.В. Слово государственному обвинителю. Поддержание государственного обвинения в суде. - Саратов, 1998. - С. 18.

[3] Гулиева Н. И. Проблемы реализации принципа дискреционного уголовного преследования в российском и зарубежном уголовном судопроизводстве. . Дис.канд. юрид. наук. Ростов- на-Дону. 2004 г стр. 76.

სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირისა და ორგანოს მიერ და მიმართული მტკიცებულებათა დადგენისაკენ, რათა გამოააშკარავონ პირი დანაშაულის ჩადენაში[1].

პროკურორის საქმიანობასთან მიმართებაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას საკმაოდ სრულად განსაზღვრავს თავის სადისერტაციო ნაშრომში ე. დ. ბოლტოშევი. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რომელსაც ახორციელებს პროკურორი სასამართლომდე სტადიაზე, წარმოადგენს სისხლის საპროცესო კანონით რეგულირებად საქმიანობას, მიმართულს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, გამოძიების ორგანოების მიერ საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებაზე, რომელიც გამოააშკარავებს ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში, ბრალდებულის სახით მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე, მათ შორის, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე, სხვა ღონისძიებების გატარებაზე, რათა აღკვეთილი იქნას გამოძიების ნორმალურ მსვლელობაზე ნეგატიური გავლენა, იმისათვის, რომ საქმეზე დამთავრდეს გამოძიება და საქმე წარიმართოს სასამართლოში.[2]

ზემოთ აღნიშნულ ავტორთა მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის არსია სისხლის სამართალწარმოების შესაბამისად დამნაშავე პირზე ბრალდებულის სტატუსის წარდგენა, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, რომლის შედეგად მიღებული იქნება ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები, პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, საქმეზე გამოძიების დამთავრება და საქმის სასამართლოში გადაგზავნა.

[1] Коленцова В. В. Реализация принципа обеспечения законных интересов личности в досудебном производстве. Дис.канд. юрид. наук.Челябинск. 2002 г. стр. 21 ; Тишковец Е. И. Следователь, как субьект Уголовного преследования. Дис.канд. юрид. наук. Воронеж 2003 г. стр. 12; Лифанова Л. Г. Прекращение уголовного преследования за непричастностью подозреваемого или обвиняемого к совершению преступления. Дис.канд. юрид. наук. М. 2005 г. стр. 12.

[2] Болтошев Е.Д. Функции прокурора в досудебных стадиях уголовного процесса. - М., 2002. - С. 14.

რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის ამგვარი ფორმულირება იწვევს გარკვეულ შენიშვნებს სისხლისსამართლებრივი დევნის საკანონმდებლო განსაზღვრების კუთხით, მაგრამ მთლიანობაში ისინი მიმართულია კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებისაკენ და მათი დასჯის შეუქცევადობისაკენ, რაც ძირითადად პასუხობს სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანებს.

მთლიანობაში, სისხლისსამართლებრივი დევნის არსის განსაზღვრებისა და აღნიშნულ მოსაზრებათა ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება კონკრეტულ პირზე — დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულზე, იგი მიმართულია კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებისაკენ, დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯისაკენ. სისხლისსამართლებრივი დევნის განსაზღვრება, თავის თავში შეიცავს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალს, რაც მისი საქმიანობის სტრუქტურას წარმოადგენს.

შეჯიბრებით სასამართლო პროცესზე, სისხლისსამართლებრივი დევნა გარდაიქმნება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერად იმ ბრალდების გარშემო, რაც წარუდგინა პროკურორმა სასამართლოს, რომლის მიზანია კონკრეტული დამნაშავე პირის დასჯა[1]

იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ—იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე. ნაწილი მათგანი ეთანხმება იმ შეხედულებას, რომ ბრალდების მხარის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე, სისხლისსამართლებრივ დევნად არ ითვლება.

ავტორთა ნაწილი, აყალიბებს რა სისხლისსამართლებრივი დევნის დებულებას, აკეთებს ერთობ პარადოქსულ დასკვნას, რომ თუ ბრალდებულის ხარისხში ფიგურირებს პირი,

[1] Кокорев Л.Д. Участники правосудия по уголовным делам. - Во-ронеж, 1971. - С. 92.

რომელიც არ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, მაშინ საქმიანობა, რომელიც მიმართულია მისი გამოაშკარავებისაკენ, არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ დევნად.[1]

მეორე ნაწილი მეცნიერებისა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, მის გარშემო გამოთქვამს გაკვირვებას და სვამს კითხვას: თუ არა დევნა, მაშინ რა არის ასეთი საქმიანობა. ამის არგუმენტად მათ მოყავთ ის გარემოება, რომ უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად ხდება პირის რეაბილიტაცია და მასზე მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.[2]

ვფიქრობთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, რომელიც, როგორც შემდგომ დადგინდება, არ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, რა თქმა უნდა, შეიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის ელემენტებს და ბრალდებულის გამოჩენამდე მის მიმართ ჩატარებული დევნის საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი დევნად.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა, რომელსაც ასრულებს ბრალდების მხარე პირის დანაშაულში მხილების მიზნით. „ამ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ უნდა გავიგოთ საპროცესო საქმიანობა, რადგან საპროცესო თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს ბრალდების მხრიდან სისხლის სამართალწარმოების მონაწილეების მიერ კანონზე დაფუძნებულ საპროცესო საქმიანობას ბრალდებულის გამოსააშკარავებლად მის მიერ ჩადენილ დანაშაულში, მათ შორის, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ჩათვლით.[3]

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა წინ უსწრებს სისხლის საპროცესო საქმიანობას,

[1] Уголовнныи процесс России. Учеб. пособие. Под. ред. З. Ф. Ковриги и Н. П. Кузнецова. Воронеж. 2003 г. стр. 52.

[2] Баев О. Я. Прокурор как субьект Уголовного преследования. Научно практическое пособие. М. 2006 г. стр. 29.

[3] Сухарева. Н. Д. Прекрашение уголовного преследования в стадии предварительного расследования. Автореф. дис. канд. юрид. наук. Иркутск. 2002 г. стр. 13.

რომელიც მდგომარეობს ჩადენილ დანაშაულში კონკრეტული პირის საფუძვლიანად დასაბუთების ფორმულირებაში.[1]

საერთოდ, იმ საქმიანობაზე, რაც ქმნის სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შინაარსს, არ შეიძლება არ აისახოს ამა თუ იმ სტადიის სპეციფიკა, სადაც ეს საქმიანობა ხორციელდება. ანალოგიურად, გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაცია ხდება გამომძიებლის, პროკურორის საქმიანობით, რაც გამოიხატება იმ პირის გამოაშკარავებით, ვინც ჩაიდინა დანაშაული. მას შემდეგ, რაც საქმეზე გამოძიება დამთავრდება და საქმე წარიმართება სასამართლოში განსახილველად, ეს საქმიანობა იღებს სახელმწიფო ბრალდების ფორმას.[2]

მიგვაჩნია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული და ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც საპროცესო საქმიანობის, ამოცანა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის დასჯის შეუქცევადობისაკენ, არცთუ მთლად გამართლებულია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არცთუ ხშირად, ის პირი, რომელიც საფუძვლიანად და კანონიერად იქნა გამოაშკარავებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად დანაშაულის ჩადენაში, შემდეგ არ ისჯება. ამის საფუძველი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი საფუძვლები.

პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ნიშნავს, რომ ის მიიღებს რა შეტყობინებას დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ, იღებს ზომებს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა გამოაშკარავებისათვის, ხოლო შემდგომში სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.[3]

---

[1] Ларин А. М. Расследование по уголовному делу. процессуальные Функции. М. 1986 г. стр.38.

[2] Зеленецкий В. С. Функциональная структура прокурорской деятельности. Харьков. 1978 г. стр. 26.

[3] ი. აბაშიძე. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი თუ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველი. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 3, 2007 წელი, გვ. 149.

სისხლისსამართლებრივი დევნის ზემოთ აღნიშნულ ფორმულირებათა საფუძველზე, იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია მისი დამახასიათებელი ნიშნები:

ა. სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა;

ბ. სისხლისამართლებრივი დევნის სუბიექტები არიან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, რომლებსაც კანონი მიაკუთვნებს ბრალდების მხარეს;

გ. სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანია პირის დანაშაულში მხილება.[1]

ნიშნები, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, ნიშნავს ყოველგვარ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსში იგულისხმება მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რასაც ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი, და არა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოთქმული მოსაზრება, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა ხასიათის ზომები, გარკვეული ფორმით მიმართული გამოააშკარავოს დამნაშავე ჩადენილ დანაშაულში.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას ჰყავს გარკვეული მხარდამჭერები[3], რომლებიც ამტკიცებენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მოკვლევის ორგანოების მიერ მიღებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების მომენტიდან და ამ დროს წარმოიქმნება გარკვეული მსგავსება სისხლის სამართლის საპროცესო და დანაშაულის გასახსნელად მიმართულ ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობას შორის,

---

[1] შ. ფაფიაშვილი, ა. თევზაძე. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა. თბ. 2002 წ, გვ. 57.

[2] Уголовнныи процесс России. Учебник. Под.Науч. ред.В. Т. Томина. М. 2003 г. стр. 34-36; Ковтун Н. Н. Кузнецов А. П. Сущность и содержание Функций Уголовного преследования в Уголовном процессе России . Российский Судья. 2004 г. № 6.

[3] Основы оперативно-розыскной деятельности. Учебник для юридических вузов. Под. ред. В. Б. Рушаило. 2002 г. стр.25-27.

კატეგორიულად მიგვაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის არსის ასეთი გაგება პრინციპულად მცდარია, რადგან, ჯერ ერთი, ოპერატიულ-სამძებრო და სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებას აქვს სხვადასხვა სამართლის ბუნება, სხვადასხვაა მეთოდიც მათ განსახორციელებლად და ისინი არანაირად არ შედის სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობაში, მეორეც, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, როგორც წესი, ხორციელდება ფარულად იმ პირის მიმართ, რომელიც გახდა მისი ობიექტი და ამას საერთო არ აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ საპროცესო მოქმედებებთან, რაც მიმართულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაკენ.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება გაზიარებული იქნას ზოგიერთი ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა თავის თავში მოიცავს პროკურორის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციას და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას.[1]

ვთვლით, რომ სისხლის სამართალწარმოების ჩარჩოებში სისხლისსამართლებრივი დევნის ჩართვა არასწორია, რადგან დანაშაულის გახსნა იმ ორგანოების ამოცანაა, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, ხოლო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ამოცანას წარმოადგენს. ორივე ამოცანა კი, როგორც წესი, ხორციელდება არასაპროცესო მეთოდებით და საშუალებებით. ამ საკითხის ამგვარი გაგება, იურიდიულ ლიტერატურაში მრავალი ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ემთხვევა.[2]

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების ზემოთ აღნიშნული განმარტების მიხედვით, დევნა მოიცავს გამოძიების სტადიაზე ჩატარებულ ყველა ძირითად საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რაზედაც, თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, ე. ი. სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამორიცხავს პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, პირიქით, „სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა გამოძიებისას პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია“.[1]

სისხლისსამართლებრივი დევნის არსი მდგომარეობს პროკურორის მოვალეობაში—გამოიყენოს კანონით გათავლისწინებული საშუალებები პირის გამოაშკარავებისათვის, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, მისცეს ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გამოიყენოს მის მიმართ ყველა აუცილებელი საპროცესო იძულების ღონისძიებანი.[2]

უკანასკნელ პერიოდში, სისხლის საპროცესო ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი დევნის გაგება გადმოცემულია, როგორც საპროცესო ფუნქცია, რომელიც წარმოიშობა სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის წარმოშობასთან ერთად და სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება, მიმართულია კონკრეტული დამნაშავე პირის გამოსააშკარავებლად.[3] ამ თეორიას, ჩვენი აზრით, აქვს საფუძველი, რადგან იგი ეთანხმება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის თეორიას, რომლის მთავარი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება და რომელიც არის ბრალეული კონკრეტულ ჩადენილ დანაშაულში, ხდება იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან ჩნდება სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება. აქ, რა თქმა

---

[1] . Федулов А. В. Реализация принципа публичности в современном уголовном судопроизводстве . Дис.канд. юрид. наук. Нижний Новгород. 2002 г. стр. 20.

[2] Еникеев З. Д. уголовное преследование. Уфа. 2000 г. стр. 277.

[1] გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართლებრივი დევნა ცაიტნოტში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997 წლის 31 ოქტომბერი.

[2] Тушев А. А. прокурор в у головном процесс Россиискоя федерации. Санкт-Петербург. 2005 г. стр.49.

[3] Михайловская И. Б Цели, функции и принципы Уголовного судопроизводства. М. 2003 г. стр.83.

უნდა, ლაპარაკია იმ პირზე, რომლის შესახებ ცნობილია სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რადგან სისხლის სამართალწარმოებაში დაუდგენილი სუბიექტები სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობის მონაწილეებად არ გამოდიან.[1] აღნიშნული მასაზრება ლოგიკურია, რადგან ამ თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი დევნა უცნობი პირის მიმართ კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ვერ დავეთანხმებით აგრეთვე იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ და ზოგიერთი ავტორის მტკიცებას, რომ იმ პირის მიმართ გატარებული სამედიცინო ხასიათის მოქმედებები, რომელიც დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, არის სისხლისსამართლებრივი დევნა.[2]

მიგვაჩნია, რომ ასეთი პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული და სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის არარსებობისას, აბსურდულია. შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი პირი, როგორც წესი, ვერ აგებს პასუხს თავის მოქმედებაზე და ასეთი პირის სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შედარებული იქნას უდანაშაულო ადამიანის სისხლისსამართლებრივ დევნასთან.

თუმცა, ყურადსაღებია სხვა სპეციალისტების მოსაზრებაც პირის შერაცხადობის საკითხის დადგენამდე ჩატარებული მოქმედებების სისხლისსამართლებრივ დევნად მიჩნევის შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად აუცილებლად უნდა ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულება კი დაწყებულია ბრალდებულის საქმეში გამოჩენის შემდეგ და მისი რეალიზაცია ხდება პირის შეურაცხადობის ფაქტის დადგენამდე, ხოლო მისი დადგენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია აღარ ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში, ისინი გვთავაზობენ შუალედურ გამოსავალს ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის არსებობის შესაფასებლად და თვლიან, რომ მხოლოდ პირის შეურაცხადობის საკითხის გარკვევამდე განხორციელებული მოქმედებები შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ დევნად. ვთლით, რომ ამ მოსაზრებას გარკვეულად გააჩნია არსებობის საფუძველი.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს ამ სტადიაზე ჩატარებულ ყველა ძირითად საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის საქმის პასუხისგებაში მიცემისაკენ, რომელსაც ახორციელებს ბრალდების მხარე, პროკურორი, გამომძიებელი და ის შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ არის შესაძლებლობა პირის დადანაშაულებისა დანაშაულის ჩადენაში.

სახელმწიფო ორგანოები, მოხელეები, კონკრეტულ შემთხვევაში— გამომძიებელი, პროკურორი, რომლებიც ბრალდების მხარეს წარმოადგენენ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში შედიან საპროცესო სამართალურთიერთობაში იმ პირთან, რომლის მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც მიმართულია პირის გამოსააშკარავებლად დანაშაულის ჩადენაში. თავისთავად, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიცავს გარკვეულ საპროცესო მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მტკიცებულების შეგროვებას დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. რა თქმა უნდა, ყველა ეს საპროცესო მოქმედება, გამოყენებული დამნაშავის გამოსააშკარავებლად, მჭიდრო კავშირშია საბრალდებო ვერსიასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო პოზიცია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაში, რომელიც მიმართული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაკენ, არ მოიაზრებოდა აღკვეთის ღონისძიებები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ „სადავოა აღკვეთის ღონისძიების მიკუთვნება სისხლისსამართლებრივ დევნასთან, რადგან ამ ზომებს თანაბრად იყენებს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტები — პროკურორი, გამომძიებელი, ასევე სასამართლო, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია არ გაჩნია“.[1]

---

[1] Жук О. Д. О понятии и содержании Функции уголовного преследования. Законодательство. 2004 г. №2.

[2] Лобанов А. П. Теория уголовного преследования и защиты в Россииском Уголовном судопроизводстве. Тверь. 1999 г. стр. 28.

[1] Ларин А. М. Расследование по уголовному делу. процессуальные Функции. М. 1986 г. стр. 18.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება აშკარად უსაფუძვლოა, რადგან საქართველოს სსს კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად შემდგომ ჩატარებულ, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაში მოიაზრება აგრეთვე აღკვეთის ღონისძიებანი, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს იკვლევდნენ საკითხს, თუ, რომელი საპროცესო მოქმედებები ატარებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხასიათს გამოძიების სტადიაზე. მ.ს. სტროგოვიჩი მას მიაკუთვნებს მტკიცებულებათა შეგროვებას, რომელიც ამხელს ბრალდებულს, ამძიმებს მის ბრალს, ასევე ბრალდებულის მიმართ სხვადასხვა იძულებითი ღონისძიების გატარებას: აღმკვეთ ღონისძიებებს, ჩხრეკას, ამოღებას და ა.შ.[1]

იმ საგამოძიებო მოქმედებათა რიცხვს, რომელიც მიმართულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაკენ, პროფესორი ა.მ. ლარინი მიაკუთვნებს აგრეთვე პირის დაკავებას და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.[2]

ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად გამიზნულ მოქმდებათა რიცხვში მოიაზრებენ პირის დაკავებას და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.[3]

პროკურორის სამაგიდო წიგნი"-ს ავტორები მიიჩნევენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსში ასევე ჩართულია პირის დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.[4]

---

[1] Строгович М. С. Курс советского Уголовного процесса. М. 1970 г. Т.1. стр. 196.

[2] Ларин А. М. Расследование по уголовному делу. Процессуальные Функции. М. 1986 г. стр. 38-39.

[3] Халиулин А. Г. Уголовное преследование как функция прокуратуры Р Ф. Дис. д-ра юрид. наук. М. 1997 г. стр. 39. 119.

[4] Настольная книга Прокурора. Под. ред. С. И. Герасимова. М. 2002 г. стр. 323.

როგორც აღინიშნა, პროკურორი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო ხელმძღვანელობის გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელიც, ვფიქრობ, პროკურორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია იმ საპროცესო მოქმედებების ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც სისხლის სამართლის საქმეზე დგინდება ჭეშმარიტება. მეცნიერ-იურისტთა დიდი ნაწილი ამ საპროცესო მოქმედებებში მოიაზრებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მამხილებელი საბუთების (მტკიცებულებების) შეკრებას, აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდებას, დაკითხვას, ჩხრეკას და სხვა. ე. ი. ფაქტობრივად, ყველაზე მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებათა მთელ არსენალს — არსებითად წინასწარ გამოძიებას და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას.[1]

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად იძულებითი ხასიათის მქონე ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორიც არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, თავის ფუნქციას იძენს მხოლოდ ბრადებულის გამოჩენით.

საერთოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად გასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად. პირველი, ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა დახმარებით გროვდება მტკიცებულებები, რაც ააშკარავებს ბრალდებულს ჩადენილ დანაშაულში და მეორე, მოქმედებები, რომელშიც შედის ბრალდებულის დაკავება, აღკვეთის ღონისძიებანი, იძულების სხვა საპროცესო ზომები.

სისხლისსამართლებრივი დევნის გაგება აუცილებლად დაკავშირებულია ბრალდების გაგებასთან. სისხლისსამართლებრივი დევნა არის ბრალდების ფუნქციის რეალიზაცია. მხოლოდ ბრალდების მხარე ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამიტომ, აუცილებელია ბრალდების გაგების ფართო გან-

---

[1] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი. 1999 წელი. გვ. 255.

ხილვა. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ სისხლისსამართლებრივი დევნის არსი.[1]

პრაქტიკულად, გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნა, პირის ბრალდება ყალიბდება ორი აქტით. პირველი—გამოძიების სახით, რომელიც მოიცავს თავის თავში ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანას და მისი ბრალდებულისათვის წარდგენას, ხოლო მეორე— საქმეზე გამოძიების დამთავრებას და საქმის სასამართლოში გადაგზავნას.

პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა და მისი ბრალდებულისათვის წარდგენა არ წარმოადგენს სასამართლო კონტროლის საგანს. ის პროკურორის საქმიანობას ან მის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის სფეროს განეკუთვნება, რადგან თვით დადგენილება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ არ შეიძლება გასაჩივრებული იქნას დაცვის მხარის მიერ სასამართლოში. [2]

სისხლის საპროცესო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, აგრეთვე თვით სისხლისსამართლებრივი დევნის საპროცესო განმარტებიდან და მისი არსიდან გამომდინარე, თითქოს წარმოგვიდგება, რომ ბრალდების ფუნქცია და სისხლისსამართლებრივი დევნა გაიგივებულია.

გასული წლების იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ტერმინები „ბრალდების ფუნქცია“ და „სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია“ სინონიმის სახით ერთ ხარისხში იხმარებოდა. აქედან გამომდინარე, წარმოედგინათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდება იდენტური კატეგორიები იყო. ამ პოზიციას ადრე მხარს უჭერდნენ მეცნიერების მრავალი მოღვაწე.[3]

[1] Александров А.С., Гущев В.Е. Народное обвинение в уголовном суде. - Н.Новгород: НЮИ МВД РФ, 1998. - С. 103.

[2] Савицкий В.М. Стержневая функция прокуратуры – осуществление уголовного преследования // Российская юстиция. 1994. № 10. С. 38.

[3] Фойницкий И.Я. Курс уголовного судопроизводства. - Спб., 1912. - Т. 2. - С. 3 - 7; Строгович М.С. Уголовное преследование в советском уголовном процессе. - М., 1951. - С. 15).

პროფესორი ი. ფოინიცკი ვერ ხედავდა განსხვავებას ტერმინებს— „სისხლისსამართლებრივი დევნასა“ და „ბრალდებას“ შორის. ის განიხილავდა მათ, როგორც სინონიმებს.[1]

მ. სტროგოვიჩი თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა გამოდის როგორც ბრალდება, როგორც სისხლის საპროცესო ფუნქცია, ანუ საბრალდებო საქმიანობა.[2]

სხვა ავტორები თვლიან, რომ ბრალდება გამოდის, როგორც ერთ-ერთი ფორმა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა.[3]

როგორც ჩანს, ისინი თვლიან, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა—ესაა როგორც საპროცესო, ისე საბრალდებო საქმიანობა, თუმცა აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამებოდა იმ დროის რეალობას, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის სასამართლომდე განხილვის სტადიამდე, ხოლო შემდგომ—ბრალდების წარდგენის სტადიამდე, სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატი არ დაიშვებოდა. ამიტომ, ტერმინით „ბრალდება“ მოიაზრებოდა პრაქტიკულად მთელი სასამართლომდე საქმიანობა, დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, მკვეთრად არის გამიჯნული ბრალდებულის, პროცესის სხვა მონაწილეთა სტატუსი. ამჟამად ტერმინებმა „სისხლისსამართლებრივი დევნა“ და „ბრალდება“ მიიღო სრულიად სხვაგვარი ჟღერადობა და ის გახდა ერთობ აქტუალური.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბრალდების კატეგორია გამოიყენება იმ პირებთან ურთიერთობაში, რომლებმაც მიიღეს ბრალდებულის საპროცესო სტატუსი, მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივ დევნას შეიძლება დაექვემდებაროს ისინიც, რომელთა მიმართ არ ყოფილა გამოტანილი

[1] Фойницкий И.Я. Курс уголовного судопроизводства. - Спб., 1912. - Т. 2. - С. 3.

[2] Строгович М. С. Курс советского Уголовного процесса. М. 1968 г. Т.1. стр. 194.

[3] Якубович Н. А. процессуальные функции следователя. Проблемы предварительного следствия в уголовном судопроизводстве. М. 1980 г. стр. 25.

გადაწყვეტილება ბრალდებულის სახით მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბრალდების ფუნქცია წარმოადგენს პირველ რიგში პროკურორის, გამომძიებლის საქმიანობას, რომლებიც ბრალდების მხარეს მიეკუთვნებიან. ბრალდების ფუნქციის გაგება განუყრელად არის დაკავშირებული პროკურორის სახელისუფლებო უფლებამოსილებაზე, ანუ ეხება პროკურორის საქმიანობის მიმართულებებს. ე.ი. ტერმინს—„ბრალდების ფუნქცია“ აქვს საკუთარი არსი, რომელიც განსხვავდება სისხლისსამართლებრივი დევნის გაგებისაგან. სისხლისსამართლებრივი დევნა არის ბრალდების ფუნქციის რეალიზაციის ფორმა. ანუ პროკურორ აქვს ბრალდების ფუნქცია და ახორციელებს მას იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნით, რომლებიც იმხილებიან დანაშაულის ჩადენაში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არის პროკურორის საპროცესო საქმიანობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის გამოაშკარავების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მტკიცებულებათა შეგროვებისა და დამნაშავე პირის დასჯისაკენ.

მეტად აქტუალურია საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსის პრობლემის და წინასწარი გამოძიების შესაბამისობის შესახებ.

ზოგიერთმა ავტორმა დანაშაულის გამოძიების ფუნქცია შემოფარგლა სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეფუნქციად.[1] მათ ნაწილს კი მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია არ ემთხვევა წინასწარ გამოძიებას.[2]

საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების შემოღებისთანავე დამკვიდრდა კონცეფცია, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართოდაც კი ესმოდათ, ვიდრე მ.ს. სტროგოვიჩს. როგორც ცნობილია, მ.ს. სტროგოვიჩი სისხლისსამართლებრივი

[1] Никитин Е.Л. Актуальные проблемы прокурорской деятельности при осуществлении уголовного преследования: Дис. : канд. юрид. наук. - СПб., 2000. С. 56.

[2] Халиулин А.Г. Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. - Кемерово, 1997. - С. 48 - 49.

დევნის ცნებიდან გამოთიშავდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას (რომელსაც იგი სისხლისსამართლებრივი დევნის მომზადებას უწოდებს) და საგამოძიებო მოქმედებებს. პოსტსოციალისტურ რუსეთში სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ გულისხმობენ როგორც მთელ წინსაწარ გამოძიებას — სისხლის სამართლის აღძვრითურთ, ისე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერასაც. ამდენად, ამგვარი ინტერპრეტაციით სისხლისსამართლებრივი დევნა მთლიანად მოიცავს გამომძიებლისა და პროკურორის საპროცესო საქმიანობას. ამასთან, პროკურორი ამ ფუნქციის ნაწილს ასრულებს თვითონ, ან მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ასრულებენ სხვა სუბიექტები.

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების ამგვარი, მეტად ფართო გაგების გამოყენებამ და კერძოდ, მასში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტის აუცილებელ ელემენტად შეტანამ ზოგიერთი ავტორი ლოგიკურად მიიყვანა იმ ყოვლად მიუღებელი თეზის აღიარებამდე, რომ თითქოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შეუძლია სასამართლოსაც.[1]

სხვა ავტორები, რომლებიც იძლევიან სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების მათეულ განმარტებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასთან დაკავშირებით გვთავაზობენ განსხვავებულ განმარტებას. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების შეფასებისას მათ ძირითადი აქცენტები გადატანილი აქვთ საპროცესო იძულების ღონისძიებაზე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს კი სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებიდან გამორიცხავენ. ასევე, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ გამომძიებლის ძირითადი საპროცესო ფუნქცია არის დანაშაულთა გამოძიება და არა სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან გამოძიება ტარდება დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენამდეც.

ამდენად, აქ გამიჯნულია გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ, როცა სხვა ავტორები, როგორც წესი, გამოძიებას მთლიანად სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებაში

[1] ი. გაბისონია. „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. ქ. თბილისი. 1999 წ, გვ. 258.

მოიაზრებდნენ.[1] ლიტერატურაში არცთუ უსაფუძვლოდ მიუთითებენ იმაზეც, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას და გამოძიებას შორის ტოლობის ნიშნის დასმა საბრალდებო გადახრის საფრთხეს შეიცავს.[2] თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათივე აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ფუნქციათა მკვეთრად, რეალურად გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ამგვარი გამიჯვნის პრინციპიც კი ისევე პირობითია, როგორც თვითონ სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა არსებითად ვერ შეცვალა ის თეორიული კონსტრუქცია, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება ერთი და იგივე არ არის და მათ შორის დიდი განსხვავებაა. მიმაჩნია, რომ გამოძიება არ შეიძლება აღრეული იყოს სისხლისსამართლებრივ დევნასთან, რადგან გამოძიების მიზანია გარემოებათა დადგენა—გამოკვლევა, ანუ ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნისა - დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის— „ბრალდებულის“ მხილება.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია ჩნდება კონკრეტული პირისათვის ბრალდების სტატუსის მინიჭების შემდეგ.[3] ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ავტორთა მეორე ნაწილი, რომლებიც მიუთითებენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ჩნდება მაშინ, როცა პირს დააკავებენ და მის მიმართ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულში მისი გამოაშკარავების მიზნით.[4] მათივე აზრით, დაკავებული პირის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მეტყველებს მის მიმართ ეჭვის არსებობაზე.

პირველი აზრის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ გამომძიებელი და პროკურორი ამოწმებენ ვერსიებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, შესაძლებელია, მათ აღნიშნულის გამო რამდენიმე პირის მიმართ ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები მათი გამოაშკარავების მიზნით. თუმცა, მათი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პირების მიმართ ბრალდებულის სტატუსის მინიჭებამდე ოფიციალურად დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზება, რაც არასწორად მიგვაჩნია, რადგან ამ მომენტიდან კონკრეტულ პირს, ვის მიმართაც ტარდება ზემოთ აღნიშნული მოქმედებები, უჩნდება უფლება დევნისაგან დაცვაზე, ანუ ერთი მხრივ პროკურორს და გამომძიებელს და მეორე მხრივ კონკრეტულ პირს შორის, ვის მიმართაც ტარდება ეს მოქმედებები, წარმოიშობა სისხლის საპროცესო ურთიერთობა, რაც გამოიხატება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე დაცვის ფუნქციის განხორციელებაში. ამასთან, მოქმედებები, რომლებიც ტარდება კონკრეტული პირის მიმართ, რომელსაც დაკავების შემდეგ ჯერ კიდევ არ წარდგენია ბრალდება, შედის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შინაარსში.

საქართველოს ახალი სსს კოდექსით, ეს საკითხი არსებითად არის გადაწყვეტილი. ამავე კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

ზოგიერთი მეცნიერი სვამს კითხვას — შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ანუ ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით საქმეზე გამოძიების დაწყების სტადიაზე. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრებაც არამართებულია და ვერანაირად ვერ ჯდება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების ფარგლებში, რადგან გამოძიების დაწყება არ ნიშნავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, სანამ არ გაჩნდება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული ან სავარაუდო პირი და როგორც ზემოთ აღინიშნა, არ მოხდება მისი დაკავება ან ბრალდებულად ცნობა, თუ ის არ დაუკავებიათ.

---

[1] Соловьев А. Б. Функция Уголовного преследования в досудебных стадиях процесса. Прокуратура и правосудие в условиях судебно- правовой реформы. М. 1997 г. стр. 144.

[2] Сухарев А. Я. Российская прокуратура: история и реалтности преобразования. Проблемы совершенствования прокурорского надзора. стр. 9.

[3] Халиулин А.Г. Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. - Кемерово, 1997. С. 130.

[4] Сухарева. Н. Д Прекрашение уголовного преследования в стадии предварительного расследования. Автореф. дис. канд. юрид. наук. Иркутск. 2002 г. стр. 7. Михайловская И. Б Цели, функции и принципы Уголовного судопроизводства. М. 2003 г. стр. 78. 99.

პროფესორი მ.ა. ჩელცოვი თვლიდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის საწყის მომენტს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა, გარკვეული პირის ან სხვა ნებისმიერი, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის მიმართ.[1]

სხვა მეცნიერები კი უფრო შორს მიდიან და მათი აზრით სისხლისსამართლებრივი დევნის საწყის მომენტს წარმოადგენს საქმეზე გამოძიების დაწყება მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ.[2]

საერთოდ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა პრობლემურ საკითხთა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო და არის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებათა ურთიერთგამიჯვნის საკითხი.

ზოგიერთი ავტორი ვერავითარ სხვაობას ვერ ხედავს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას შორის და ამ ორ მნიშვნელოვან სხვადასხვა ცნებას ერთიმეორესთან აიგივებს. ამ ცნებათა შესახებ, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში არასწორ მოსაზრებას ავითარებდნენ ცნობილი მეცნიერ-იურისტები — მ. გროდზინსკი, ს. გოლუნსკი, მ. ჩელცოვი და სხვები.

მ. გროდზინსკი თავის ნაშრომებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ანუ საქმეზე გამოძიების დაწყების მაგიერ ყველგან ხმარობს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა სავალდებულოა დაწყებული იქნას ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის ცნობილი გახდა დანაშაულის ჩადენის შესახებ და ამასთან, სახეზეა საჭირო საკმაო ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი.[3]

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ თავის სტატიაში ს. გოლუნსკი ავითარებდა აზრს, რომლითაც ერთმანეთთან იყო გაიგივებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

[1] Чельцов М. А. Уголовный процесс. М. 1948 г. стр. 348.

[2] Лифанова Л. Г. Прекращение уголовного преследования за непричастностью подозреваемого или обвиниаемого к совершению преступления. Дис.канд. юрид. наук. М. 2005 г. стр. 15.

[3] Гродзинский М. Начало целесообразности в обвинении. „ВСЮ“. 1925 г. №6. стр. 233-237.

და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა. მეცნიერი ამ ორ სხვადასხვა ცნებას შორის ვერავითარ სხვაობას ვერ ხედავდა.[1]

ანალიგიურ შეხედულებას ავითარებდნენ სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების ის პირველი აქტია, რომლითაც გამომძიებელი უფლებამოსილი ხდება ჩაატაროს სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები. ამიტომ, საქმეზე გამოძიების დაწყების ნაცვლად ყველგან ხმარობენ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას.

ზემოთ აღნიშნული შეხედულების საპირისპირო პოზიციაზე დგანან სხვა ავტორები, რომელთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი მეცნიერები — მ.ს. სტროგოვიჩი, რ. რახუნოვი, ნ. ფატკულინი, ქართველი მეცნიერები ა. ფალიაშვილი, შ. ფაფიაშვილი და სხვები, რომლებიც ერთმანეთისაგან მიჯნავენ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას და სისხლისსამართლებრივი დევნას.[2]

უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის დროს საერთოდ უცნობია დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა. ასეთ შემთხვევაში საქმეზე გამოძიება იწყება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ხოლო სათანადო მტკიცებულებათა შეკრების შემდეგ დევნის განხორციელება იწყება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული ან სავარაუდო პირის დაკავების ან ბრალდებულად ცნობის შემდეგ, თუ ის არ დაუკავებიათ.

ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება ყოველთვის წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ისინი სრულიად სხვადასხვა ცნებებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება.

[1] Голунский С.О возбуждении уголовного преследования. „Социалистическая законность“. 1936. №26.стр. 38.

[2] Строгович М. С. Уголовный процесс. М. 1946 г. стр. 253. Рахунов Р. Д. Предварительное расследование в советском уголовном процессе. Автореферат докторской диссертации М. 1953 г. стр. 13. Фаткуллин Ф. Н. Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе. Автореферат кандидатской диссертации. М. 1959 г.стр. 5. ფაფიაშვილი შ. თევზაძე ა. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის და დევნის აღძვრა. თბილისი, 2002 წ, გვ. 94.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ გამოძიება არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შემადგენელი ნაწილი. გამოძიების სტადიას ამ შემთხვევაში უნდა შევხედოთ, როგორც სისხლის სამართალწარმოების პროცესის იმ სტადიას, სადაც რეალიზება უკეთდება სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც პროკურორის ფუნქციას.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ამოცანაა აგრეთვე პროკურორის მიერ ყველა მისი უფლებამოსილების ეფექტური გამოყენება ბრალის დამტკიცებისათვის.

სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთ პირს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, არ ასცდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სისხლისსამართლებრივ დევნას აქვს როგორც იურიდიული, ასევე ფილოსოფიური მსოფმხედველობითი მნიშვნელობა, რადგან ის დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორიც არის სიმართლე, მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტია და სხვა.

სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის პროცესში ის წარმოადგენს ძირითად საშუალებას საჯარო ინტერესების დაცვის საქმეში.

საჯარო ინტერესი — ესაა კანონით დაცული ინტერესი, რომლის უკან დგას საზოგადოება და სახელმწიფო. სისხლის სამართალწარმოებაში საჯარო ინტერესი გამოიხატება ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შეუქცევადი გარემოს შექმნაში.

საჯარო ინტერესი გამოიხატება, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადამიანის და მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაში.

იცავს რა საჯარო ინტერესებს, უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს, ცალკეული ორგანოებისა და მოქალაქის ნების მიუხედავად.

როგორც წესი, დანაშაულის ჩადენას თან უნდა მოჰყვეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს პროკურორი და გამომძიებელი.

სასამართლო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, გამორიცხულია იმ ორგანოთა სიიდან, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნა საჯარო ურთიერთობათა სფეროში ვარაუდობს სახელმწიფო ფუნქციას, კერძოდ, დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და მათ დასჯას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება ახალია. ამ ქვეყნებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია, ერთ-ერთმა პირველმა დააწესა ლიტვის რესპუბლიკამ 1990 წლის კანონით „ლიტვის რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“, რომლის პირველი მუხლი ადგენდა, რომ პროკურატურის მოვალეობაში შედის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.[1]

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის ეს ცნება პირველად გამოჩნდა 1992 წლის 17 თებერვლის კანონში (მუხლი 1, 31).[2]

თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დევნა“, როგორც პროკურატურის ძირითადი ფუნქციის აღმნიშვნელი, საკანონმდებლო აქტებში ფართოდ გამოიყენება. ზოგი ქვეყანა ამ ტერმინს კონსტიტუციებსა და ორგანულ კანონებში იყენებს (იტალია, ავსტრია და სხვა), ზო-

---

[1] Законы о прокуратуре стран СНГ и Балтии. М. 1995 г. стр. 221.

[2] იქვე. გვ. 117, 129.

გი კი — მხოლოდ ორგანულ კანონებში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და სხვა).[1]

სისხლისსამართლებრივ დევნას ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანოები და უფლებამოსილი პირები ახორციელებენ. მაგ.: საფრანგეთში დევნის უმთავრეს ორგანოდ მიჩნეულია საჯარო ბრალმდებელი — რესპუბლიკის პროკურორი, რომელიც ახორციელებს „საჯარო აქციას“ და ითხოვს კანონის გამოყენებას. დანიაში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პოლიციის უფროსი, რომელსაც მინიჭებული აქვს ყოველგვარი საქმის გამოძიების უფლება. ირლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ხალხის სახელით, გენერალური პროკურორის საჩივრის საფუძველზე. საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი. ლუქსემბურგის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ: დაზარალებული — კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საამისოდ უფლებამოსილი პირი. საჯარო სამინისტროს შეუძლია აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ იგი უფლებამოსილი არ არის, საჭიროების შემთხვევაში უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე. შოტლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნა საჯარო ფუნქციაა და სახელმწიფოს სახელით ხორციელდება.

შედარებითი ანალიზისათვის, სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხს საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ცალკე, ჩვენი ნაშრომის მეოთხე თავში განვიხილავთ.

[1] გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“. 1. 1996 წელი. გვ. 23.

§-2. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

„დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულებისამებრ[1]. ქართულ საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში იგი დიდი ხანი არაა, რაც დამკვიდრდა.

დისკრეციის პრინციპს საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა დიდი ხანია რაც იცნობს. შესაბამისად, არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ეხება პროკურორის დამოკიდებულებას ბრალდების მოცულობასა და ბრალდების ბედზე. პირველი უფრო კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს მას სასამართლოში. აქ პროკურორის მიხედულობა მინიმალურია და იგი, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი.

მეორე - საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და სწორედ ის განსაზღვრავს, საკუთარი

[1] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბილისი 2004. გვ. 483.

მიხედულების საფუძველზე დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუ უარი თქვას სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და აქ ამ დროს სასამართლო კონტროლი მასზე არ ხორციელდება[1].

სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლით და "პროკურატურის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით.[2]

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, თეორიულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ ვის მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ, რაც ვფიქრობ, ბევრ გაუგებრობას იწვევდა. მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ-იურისტების მხრიდან იყო დავა, თუ როდის იწყებოდა დევნა ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ. ეს გაუგებრობა კი, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა ეჭვმიტანილის ინსტიტუტს. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააუქმა ეს ინსტიტუტი და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს მხოლოდ ბრალდებული პირის მიმართ მისი დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით კონკრეტულად არის განმარტებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ.

[1] გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.2010 წ.

[2] საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ", თბილისი, 2008 წ.

საპროცესო აქტების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაკავებასა და ბრალდების წაყენებას. სწორედ ამ მომენტიდან იწყება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ ეტაპზე დევნა გამოიხატება მტკიცებულებების შეგროვებაში, ბრალდების დამტკიცებაში.

როგორც აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე. პირის დაკავება სავალდებულოა არა მარტო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების გამო, არამედ სისხლის სამართალწარმოების საერთო მიზნებისათვის, კერძოდ, დანაშაულის გახსნის, დამნაშავის გამოაშკარავების, მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, საქმის წარმატებული სასამართლო განხილვისათვის და განაჩენის აღსრულებისათვის. ეს პოზიცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი საქართველოს სსს კოდექსის 171-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, მისი დაკავება აუცილებელია, რათა ის არ დაემალოს სასამართლოს, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და სხვა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ანუ პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო დანაშაულის ყველა ფაქტზე, რაც თავისთავად მოიცავს პროკურორის უფლებას— მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ე. ი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის შეხედულებაზეა დამოკიდებული და არავითარი კავშირი არ აქვს დაზარალებულთან და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, რაც ცნობილია, როგორც დევნის დისკრეციულობის პრინციპი. ე.ი. დევნის დაწყება ახალი კანონის თანახმად მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა და დაზარალებულს მხოლოდ იმის უფლება რჩება, რომ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან (სსსკ-ის 168-ე მუხლი).

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორის საქმიანობის სფერო სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, შემოიფარგლებოდა საჯარო, კერძო-საჯარო, სუბსიდიური და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით. ახალი საპროცესო კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული და არ არის გათვალისწინებული მისი სახეებად დაყოფა. კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო. ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა რეგულირებული იქნება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ამ ბრძანების თანახმად, მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მოიცავს: დამნაშავეთა წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე, დანაშაულის შემცირებასა და საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ შიშის აღმოფხვრას, დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური დანაკარგებისა და ეკონომიკური ხარჯების შემცირებას, საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას.

თავის საქმიანობაში პროკურატურა უნდა იყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რომლისთვისაც დაუშვებელია პირადი შეხედულებით გადაწყვეტილების მიღება.

სწორედ პროკურორმა უნდა დაადგინოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს მართებულად, რომ დანაშაული ნამდვილად სახეზეა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების წარსადგენად.

პროკურორმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებისა და დევნის პროცესის სწორად მართვა გამომძიებლისათვის შესაბამისი მითითებების გაცემის გზით. აღნიშნული ასევე მოიცავს დამატებით მტკიცებულებების მოძიებასა და გამოძიებისათვის საჭირო მიმართულებების განსაზღვრას. პროკურორმა დროულად უნდა განსაზღვროს, თუ რომელ საქმეზე უნდა იქნეს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული და რომელზე უნდა შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

პროკურორის ვალდებულებაა გამოძიების სტადიაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, რათა გადამოწმდეს, რომ შერჩეულია სწორი კვალიფიკაცია, ხდება სასამართლოსათვის წარსადგენი ყველა საჭირო მტკიცებულების შეკრება და პროცესი მიმდინარეობს კანონის შესაბამისად.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის როლი მნიშვნელოვანია. პროკურატურა არის ორგანო, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არამარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ სრულიად საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებელი, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე, მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას

ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან, ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

რა თქმა უნდა, პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს მოქმედებს მისი საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

როგორც უკვე იყო საუბარი, პროკურატურას თავის საქმიანობაში ფართო უფლებამოსილებანი გააჩნია. სსს კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

საქართველოს მთავარი პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას და სისხლისსამართლებრივ დევნას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას.

პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის მიერ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რა მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებისა და გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ საუბარი გვექნება ნაშრომის შემდეგ თავში.

პროკურორს სისხლის სამართლის პროცესში გააჩნია აგრეთვე სხვა ფუნქცია, რაც განსაზღვრულია სსს კოდექსით და კანონით „პროკურატურის შესახებ“. გამოძიების სტადიაზე ბრალდების ფუნქცია არ არის პროკურორის საქმიანობის ერთადერთი მიმართულება, ის აუცილებლად შეხამებული უნდა იყოს დაცვისა და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულის საპირისპიროდ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი „ბრალდების მხარე“ — ეს არის სასამართლო სტადიის პროცესი და არა სასამართლომდელი,[1] რაც არასწორად მიგვაჩნია. ამას ადასტურებს აღნიშნული საკითხისადმი სხვა სპეციალისტების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და შეფასება.

საქართველოს სსს კოდექსის 3-ე მუხლის თანახმად, ბრალდების მხარე არის გამომძიებელი, პროკურორი.

გამომძიებლის სტატუსის დარეგულირებას, საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიენიჭა უაღრესად დიდი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისთანავე, გამომძიებელი მოიაზრებოდა ბრალდების მხარედ. ამავე კოდექსის 2004 წლის 15 მაისის რედაქციის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდების ფუნქცია პროკურორთან ერთად ეკისრებოდა გამომძიებელს, ხოლო 24-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას

[1] Савицкий В.М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 53.

პროკურორთან ერთად ახორციელებდა გამომძიებელი, რომელიც უფლებამოსილი იყო პირისათვის წარედგინა ბრალდება, შეედგინა საბრალდებო დასკვნა, რაც დასამტკიცებლად უნდა წარედგინა პროკურორისათვის.

ადრე მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებებით, მე-15 მუხლიდან ამოღებულია გამომძიებლის, როგორც ბრალდების მხარის, უფლებამოსილება, ამავე დროს, მას შეუნარჩუნდა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სტატუსი. ამასთანავე, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს ჰქონდა ბრალდების წარდგენის უფლება. რაც შეეხება საბრალდებო დასკვნას, მას ადგენდა მხოლოდ პროკურორი, რის შემდეგაც საქმეს არსებითად განსახილველად წარმართავდა სასამართლოში.

გამომძიებლის სტატუსთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება იყო გამოთქმული. ჯერ კიდევ 1997 წელს შედგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტით, რომელიც საზოგადოების სამსჯავროზე იყო გამოტანილი, გამომძიებელი აღარ მოიაზრებოდა არც ბრალდების მხარედ და არც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტად. ის, კლასიკური ფორმით, ნამდვილად ნეიტრალური ფიგურა იყო. სწორედ ამ დროიდან ხსენებულ პროექტს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც უკიდურესად უარყოფითად აფასებდნენ წარმოდგენილ საპროცესო კოდექსში გამომძიებლის სტატუსს და მიაჩნდათ, რომ გამომძიებელი უნდა დარჩენილიყო ბრალდების მხარედ და მისცემოდა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.[1]

პროფ. ი. გაბისონია, თეორიული თვალსაზრისით, მართალია, დადებითად აფასებდა სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების პრაქტიკულ გამიჯვნას და თავისუფალი, ნეიტრალური (მიუკერძოებელი) გამომძიებლის კონცეფციას, მაგრამ პრაქტიკული ასპექტით ის მაინც უარყოფითად მიაჩნდა.[1]

[1] გ. ქარქაშაძე. ასეთი გამომძიებელი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ., 11 ნოემბერი, 282.

ავტორთა მეორე ჯგუფს მისაღებად მიაჩნდა ხსენებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი და მიიჩნევდნენ, რომ გამომძიებელს არ უნდა ჰქონოდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და არ უნდა ყოფილიყო ბრალდების მხარე. მათი აზრით, გამომძიებელს უნდა მისცემოდა მხოლოდ გამოძიების ჩატარების ფუნქცია. გამომძიებელი გარკვეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, თუკი შეიკრიბებოდა გამამტყუნებელი მტკიცებულებები, საქმეს გადასცემდა პროკურორს, რომელიც შეკრებდა სხვა მტკიცებულებებს, შეადგენდა საბრალდებო დასკვნას და საქმეს არსებითად განსახილველად წარმართავდა სასამართლოში, რითაც რეალურად განხორციელდებოდა პროკურორისათვის მინიჭებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია.[2]

ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. რ. გოგშელიძეც, რომელსაც მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულიყო გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია. გამომძიებლის ფუნქციაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ გამოძიების ფუნქცია, ხოლო პროკურორს უნდა ჰქონოდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, როგორც ეს კლასიკური ფორმით მრავალ ქვეყანაშია.[3]

ავტორთა ნაწილს მიაჩნდა, რომ გამომძიებლის სტატუსს უნდა ჩამოსცილებოდა ბრალდების ფუნქცია, რადგანაც ასეთ პირობებში გამომძიებლის საქმიანობის ძირითადი აქცენტი უფრო მეტად გადატანილი იქნებოდა გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შეკრებისაკენ იმისათვის, რომ კანონით დადგენილ

[1] ი. გაბისონია. პროკურორის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბ., 1999, გვ. 259-260; მისივე სტატია „სისხლისსამართალწარმოებიის გამარტივების თანამედროვე პრობლემები" (კომპაქტური სქემატური ფორმატი) წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003, გვ. 461.

[2] ვ. იოსავა, მ. მამნიაშვილი. უფლებების ჩამოგვართვეს, მაინც ჩვენ გვედავებიან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 282.

[3] რ. გოგშელიძე. როგორი უნდა იყოს გამომძიებლის ხვალინდელი დღე? წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003, გვ. 447-449.

მცირე დროში მოესწრო ეჭვმიტანილისათვის ბრალდების წარდგენა.[1]

პროფ. შ. ფაფიაშვილის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ პროკურატურას და ამ უფლების სხვადასხვა თანამდებობის პირებსა და ორგანიზაციებზე გადანაწილება დაუშვებელია.[2]

პროფესორ მ. მამნიაშვილს მიაჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში მხოლოდ პროკურორს უნდა ჰქონდეს უფლება განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო გამომძიებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნეიტრალური ფიგურა, რომლის ფუნქციებში უნდა შედიოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების წარმოება[3].

მის მიერ არაერთხელაა გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამომძიებლის სტატუსს უნდა ჩამოსცილებოდა ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რაც უნდა დაკისრებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროკურორს, ხოლო გამომძიებელი უნდა გამხდარიყო ნეიტრალური, მიუკერძოებელი თანამდებობის პირი, რომელსაც უნდა დაკისრებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ობიექტური გამოძიება, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა დაედგინა ბრალდების როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.[4]

[1] კ. კერესელიძე. საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები". თსუ. 2003, გვ. 239, 529.

[2] შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი 1999, გვ. 18.

[3] მ. მამნიაშვილი, გამომძიებლის სტატუსის სრულყოფის ცალკეული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული „მარჯი", 2008, 2, გვ. 71-72.

[4] მ. მამნიაშვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ჟურნ. „მარჯი", 2008, 1, გვ. 178-191; მ. მამნიაშვილი. გამოძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ტ.1, 2007, გვ. 355-356.

პროფესორი ვ. მ. სავიცკი აღიარებდა, რომ გამომძიებელს აქვს უფლება განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, თუმცა აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან დამთავრების შემდეგ ის თავის ფუნქციას ამთავრებს და ადგილს უთმობს პროკურორს, რომელიც ახორციელებს საბრალდებო ფუნქციას.[1]

ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის, ისინი გამომძიებელს აკისრებენ გამოძიების საპროცესო და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციის შესრულებას[2].

გამომძიებლის საპროცესო სტატუსთან დაკავშირებული მრავალი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრების მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორთან ერთად, ბრალდების მხარეა, ხოლო პროკურორი სარგებლობს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებით.

თუ გავითვალისწინებთ გამომძიებლის ფუნქციებს გამოძიებაში - სრული დაცვით განახორციელოს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ფაქტობრივად გამომძიებელი ბრალდების მხარეს წარმოადგენს. რაც შეეხება პროკურორს, იგი სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა თავისთავად ბრალდების ფუნქციასთან არის დაკავშირებული.

მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე აბსოლუტურად სწორად და დროულად გადაწყდა ამ ფორმით გამომძიებლის სტატუსი, რადგან სხვანაირად პროცესში გამომძიებლის სამარ-

[1] Савицкий В.М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 49.

[2] Елкинд П. С. Сущность советского Уголовно-процессуального права. Л. 1963 г. стр. 61; Рахунов Р. Д. Участники уголовно-процессуальной деятельности. М. 1961 г. стр. 47-48; Безлебкин Б. Т. Уголовный процесс России. Учебник. М. 2004 г. стр. 114.

თლებრივი მდგომარეობა წარმოუდგენელიც არის. ძნელია იმ ავტორებმა, რომლებსაც გამომძიებლის ფუნქცია სხვანაირად წარმოუდგენიათ, კანონმდებლის ამ გადაწყვეტილებას რაიმე მყარი არგუმენტი დაუპირისპირონ. ვფიქრობთ, აქ სადავო არც არაფერია, რადგან გამომძიებელი, არის რა სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, პროკურორთან ერთად არის ბრალდების მხარე.

საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას პროკურორის გარდა ახორციელებს გამომძიებელიც, თუმცა მთავარი ფიგურა მაინც პროკურორია, ვინაიდან ამ პროცესს ის ხელმძღვანელობს და უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება და მიიღოს გადაწყვეტილება.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სწორად გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ამით გარკვეულად ამაღლდება პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის, პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან, როცა პროკურორს გამოაქვს და უდგენს კონკრეტულ პიროვნებას დადგენილებას ბრალდების შესახებ, თავისთავად, ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. მას, მოსამართლის მსგავსად, არ მოეთხოვება გაურბოდეს საკუთარი აზრების გამოთქმას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. მთავარია, რომ ბრალდების თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმის დროს პროკურორი ხელმძღვანელობდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.

პროკურორი, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, თავისი უფლების რეალიზაციას ახდენს მისი კომპეტენციის ფარგლებში, რათა საჯაროდ გამოააშკარაოს დანაშაულის ჩამდენი პირი. როცა პროკურორი წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს ან სისხლისსამართლებრივი დევნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით, ეს არ ნიშნავს, რომ ის ასრულებს დაცვის ფუნქციას და ხელი აიღო დევნაზე, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში მას არ გააჩნია საფუძველი სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად.[1]

საქართველოს სსს კოდექსის 105-ე მუხლით დაწესებულია გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები.

გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს:

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;

თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

---

[1] Баев О. Я. Прокурор как субъект Уголовного преследования. Научно практическое пособие. М. 2006 г. стр.23.

ლ) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლები და იმავე კოდექსის 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევები);

მ) თუ ვითარება შეიცვალა.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

გ) ბრალდებული გარდაიცვალა.

გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით. ეს დადგენილება სასამართლოში არ საჩივრდება. იგი დაზარალებულმა შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება, ან სასამართლომ გააუქმა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საკმაოდ შრომატევადი, რთული და პასუხსაგები საქმიანობაა. მას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი უფლებები, რომელთა რეალიზაციასაც ახდენს, ერთ შემთხვევაში, გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით და გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურორი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. ორივე საპროცესო ფუნქცია გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნებების განმარტებებიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს გამოძიების სტადიაზე ჩატარებულ ყველა ძირითად საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მიმართულია დამნაშავის მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ. აღნიშნულზე კი, თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი. ე.ი სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამორიცხავს პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, პირიქით, "სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა წინასწარი გამოძიებისას პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდია, ხერხია, იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება".[1]

პროკურორი, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, დაკავების თუ დაკავების გარეშე პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან დაწყებული საქმეზე გამოძიების დამთავრებამდე, ატარებს სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, კერძოდ: გამოძიების ჩატარებას ავალებს გამოძიების ორგანოებს ან გამომძიებელს, უშუალოდ მონაწილეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში, გამომძიებელს აძლევს გარკვეულ მითითებებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას და წინასწარი გამოძიების წარმოე-

[1] გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 31 ოქტომბერი, 1977 წელი.

ბისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე, ითხოვს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ან მთლიანად საქმეს, ასევე, მონაცემებს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ. მას შემდეგ, რაც პროკურორი დარწმუნდება, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებების ჩატარების შედეგად საქმეზე შეკრებილ იქნა საკმარისი მტკიცებულებები პირისთვის ბრალდების წასაყენებლად და ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად, გამოძიების დამთავრების შემდეგ კი საქმეს აგზავნის სასამართლოში განსახილველად.

ჩვენი აზრით, როგორც საქართველოში მოქმედი საპროცესო ნორმებიდან, ისე პრაქტიკული საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, რომ პროკურორის საქმიანობის მიმართულება და დანიშნულება არ იცვლება იმის მიხედვით, თუ როდის წარმოებს სისხლისსამართლებრივი დევნა — ბრალდების წაყენებამდე თუ მის შემდეგ.

პროკურორის მიერ განხორციელებული დევნის ფორმები სისხლის სამართლის პროცესში განსხვავდება შესაბამისი სტადიებიდან გამომდინარე. გამოძიებაში სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანები პროკურორისათვის შემდეგია: უზრუნველყოს დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, უზრუნველყოს საქმის ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, გამოავლინოს ის გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, ასევე უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა.

პროკურორს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანის გადაწყვეტად სხვადასხვა საპროცესო საშუალების გამოყენება შეუძლია.

საქართველოს სსს კოდექსის 167 მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და შეჩერება, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:

ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ანდა 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამ მუხლში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.

თუ ამ მუხლში აღნიშნული შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს.

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო დამცველის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტი-

ტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სსს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

საყურადღებოა საკითხი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის მნიშვნელობის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. როგორც სსს კოდექსშია განმარტებული, იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან.

სავსებით მართებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესებით, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ სასურველი იქნებოდა დისკრეციული დევნის პირობებში უფრო მეტად გათვალისწინებულიყო დაზარალებულის ინტერესი, რომელსაც კანონით სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლება გააჩნია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოში არ საჩივრდება ასევე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგი შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს მხოლოდ დაზარალებულმა, მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან.

როგორც ჩანს, პრაქტიკულად აღარ არსებობს როგორც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის, ასევე პროკურორის მიერ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. როგორც აღინიშნა, დაზარალებულს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს მხოლოდ ზემდგომ პროკურორს.

ამ მხრივ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას - სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დაცვა. თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ დაზარალებული უკვე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღარ წარმოადგენს მხარეს და იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მოწმეს, ძნელი არ იქნება შესაბამისი დასკვნის გაკეთება, რომ უფლებრივი დაცულობის საკითხი დაზარალებულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა. გარდა ამისა, სასამართლოსთვის მიმართვის არდაშვება პროცესის მონაწილეების მხრიდან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან[1].

როგორც ევროპელი, ასევე ამერიკელი იურისტები ერთადერთ სწორ გზად, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერ და რაც შეიძლება გამჭვირვალედ განსახორციელებლად, მიიჩნევენ სასამართლო კონტროლის შემოღებას. დაზარალებულს და საქმის შედეგებით დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს პროკურორის მიერ მითებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც უნდა აიძულოს პროკურატურა ჩაჯდეს კანონის მოთხოვნებში და მიუკერძოებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას[2].

ამდენად, პროკურორს სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტებს შორის უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და გააჩნია ფართო უფლებამოსილება, ამასთან, გარკვეული ვალდებულებები, რათა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს სახელით.

---

[1] გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

[2] "Rechtswoerterbuch", begruendet von Dr. Carl Creifelds; herausgegeben von Dr. Klaus Weber; Ver:ag C. H. Muenchen. 2007. S. 20.

ამრიგად, პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის, რომელიც გამოძიების სტადიაზე ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, მთავარი ამოცანაა, საქმეზე საჭირო ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებით შეკრიბოს საკმარისი მტკიცებულებები და მათზე დაყრდნობით დამნაშავე ბრალდებულის სახით მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, საბოლოო ჯამში, საქმეზე დაადგინოს სრული და ობიექტური ჭეშმარიტება, და საქმე წარმართოს სასამართლოში, რაც ამ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ძირითადი მიზანია.

§-3. პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში

პროკურატურა არის ორგანო, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. პროკურატურის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის, მათ შორის, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა. სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაცია საშუალებას აძლევს პროკურორს დაიცვას საზოგადოება იმ დანაშაულებრივი ქმედებისაგან, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

პროკურორს სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტებს შორის უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და გააჩნია ფართო უფლებამოსილება, ამასთან, გარკვეული ვალდებულებები, რათა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს სახელით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის როლი არსებითია. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ სრულიად საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებელი, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

პროკურორის მიერ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. ეს პრინციპები დაცულია მაშინ, როცა თითოეულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს საქმის სრულყოფილი და გონივრული გამოძიება, რომელიც უზრუნველყოფილია პროკურორის პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მაღალი ხარისხით.

პროკურორი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაციას ახდენს როგორც არაპირდაპირ, მითითების, თანხმობის მიცემის ან გარკვეული სახის საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობით, ასევე საქმეზე უშუალოდ გამოძიების ჩატარებით.

ვსაუბრობთ რა სისხლისსამართლებრივი დევნის როლზე სამართლებრივ სახელმწიფოში, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ „სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც ხორციელდება კანონით დადგენილ საპროცესო ჩარჩოებში, აშიშვლებს ადამიანს საზოგადოების წინაშე, უკარგავს ყველა ზოგადსაკაცობრიო სიკეთეს“.[1]

სისხლისსამართლებრივი დევნისა და მასში პროკურორის საპროცესო საქმიანობის როლი პიროვნების, მისი უფლებების და თავისუფლებების, სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების დაცვის საქმეში, რომლებიც აღმოჩნდებიან ხოლმე დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტები, ძალიან დიდია.

სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი მნიშვნელობა და პროკურორის როლი მის განხორციელებაში, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს პროკურორის საპროცესო უფლებე-

[1] Володина Л. М. Механизм обеспечение прав личности в российском уголовном процессе. . Дис.канд. юрид. наук. Екатеринбург. 1999 г. стр. 1.

ბის, მისი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შემდგომ სრულყოფაზე, საპროცესო გარანტიების გაძლიერებაზე, კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის დაცვასა და მათი საქმიანობის ეფექტურობაზე.

აღნიშნულ საკითხებს აქვს არა მარტო მეცნიერული ინტერესი, არამედ ის უკიდურესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

განსაკუთრებულია პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში. სწორედ პროკურორი ახდენს ორგანიზებას და უშუალოდ წარმართავს სისხლისსამართლებრივი დევნის საქმიანობას. იგი გამოდის ამ საქმიანობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. ის ყოველთვის გამოდის საჯარო ინტერესებიდან.

როგორც აღინიშნა, პროკურორი გვევლინება სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტად. წინასასამართლო სტადიაზე, მისი უაღრესად მნიშვნელოვანი საპროცესო როლის მიუხედავად, ის არ შეიძლება იყოს მხარეებს შორის არბიტრის როლში იმ ურთიერთობებში, რაც წარმოიშობა გამოძიების წარმოების დროს[1].

პროკურორის როლი სისხლის სამართალწარმოების საქმეში ორმაგია, რადგან, ჯერ ერთი, ის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფოს სახელით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და მეორეც, სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

სისხლისსამართლებრივ დევნას აქვს ერთი უმთავრესი ამოცანა — საფუძვლიანი და კანონიერი ბრალდება კონკრეტული პირისა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. სისხლისსამართლებრივი დევნის ნებისმიერ სტადიაზე დგას პროკურორი, რომელიც გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. „პროკურორს არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს სხვა ფუნქციის შესრულებაზე. კონკრეტულად, ის უნდა იყოს საჯარო დევნის ორგანო. სწორედ ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს სტადიაზე. ის ვალდებულია კანონის მიხედვით ჩაატაროს სისხლისსამართლებრივი დევნა“.[1]

გამოძიების სტადიაზე, პროკურორის საქმიანობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, უნდა შეფასდეს კანონიერების უზრუნველყოფის ჭრილში. ახორციელებს რა სისხლისსამართლებრივ დევნას, პროკურორმა უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის დარღვევა. სწორედ ამაში უნდა გამოვლინდეს მისი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანიზატორის, როლი.[2]

საქართველოს სსს კოდექსით გათვალისწინებულია მთელი რიგი ნორმები, რომლებიც ხაზს უსვამს პროკურორის როლს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საქმეში, ეხება პროკურორის უფლებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების და შეწყვეტის დროს.

სსს კოდექსის 105-ე მუხლი პროკურორს უფლებას აძლევს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა გარემოებათა გამო, მათ შორის, მის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ზოგიერთი მუხლის შენიშვნებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქმედითი მონანიების, ვითარების შეცვლის გამო და სხვა.

როგორც წესი, იმ პირების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებიც მონაწილეობენ სისხლის სამართალწარმოებაში, წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის

[1] აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხილეთ: Масленикова Л. Н. Судебный контроль за законностью процессуальной деятельности органов дознания и предварительного следствия. М. 1994; Колоколов Н. А. Судебный контроль на стадии предварительного расследования. Курск, 2000 г; Ковтун Н. Н. Судебный контроль в уголовном судопроизводстве России: понятие, сущность, формы: Дис.канд. юрид. наук. Н. Новгород, 2002 г.

[1] Петрухин И. Л. Судебная власть и расследование преступлений. Государство и право. 1993 г. №7. стр. 82.

[2] Соловьев А. Б . Токарева М. К. К вопросу о статусе прокурора в досудебных стадиях уголовного процесса по УПК РФ. Уголовное право. 2002 г. №3. стр. 86.

ამოცანას, ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნა. ეს ამოცანები დგას პროკურატურის წინაშე და პროკურორს აქვს საკმარისი უფლებამოსილება მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურორს შეუძლია სრულყოფილად დაიცვას პიროვნების უფლებები, რაც მიუთითებს მის როლზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საქმეში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმწიფო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და ამ მეტად მნიშვნელოვან საპროცესო ფუნქციაში პროკურორის როლის უზრუნველყოფის საქმეში.

სისხლის სამართალწარმოების მეტად მნიშვნელოვან, გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საქმეში პროკურორის განსაკუთრებულ როლზე აშკარად მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა, რომელსაც გააჩნია ფართო უფლებამოსილება. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად კი ის ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. ამასთან, პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საქმეში, უნდა განვიხილოთ გამოძიების სტადიაზე მისთვის მინიჭებული იმ ფართო უფლებამოსილებით, რაც განსაზღვრულია სსს კოდექსის 33-ე მუხლში, რაზედაც სადისერტაციო ნაშრომის წინა თავში პროკურორის ფუნქციების განხილვის დროს ვისაუბრეთ და რომელსაც კონკრეტული პუნქტების მიხედვით დეტალურად განვიხილავთ ამავე ნაშრომის მეოთხე თავში.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მთელი რიგი ნორმები, რომლებიც ითხოვს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს პროკურორის თანხმობას, ასევე, სასამართლოს წინაშე შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, ჩხრეკისა და სხვა იძულებითი სახის ღონისძიებების გამოყენების დროს და სხვა.

ამდენად, პროკურორს თავისი საპროცესო უფლებამოსილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში. სწორედ პროკურორი ახდენს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვას და მის უშუალოდ განხორციელებას, რომელიც მოქმედებს რა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

პროკურორის საქმიანობა გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კუთხით უნდა შეფასდეს, როგორც კანონიერების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

თავი III

პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე

§- 1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანაა უზრუნველყოფილი იქნას დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას.

პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის მიერ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რა მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

როგორც საპროცესო კანონმდებლობით არის დადგენილი, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მისი მწარმოებელი ორგანოს თუ პირის მიერ, იწყება მხოლოდ ბრალდებული პირის მიმართ, მისი დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ), როცა ხდება მისი დანაშაულში მხილება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული. ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. გამომძიებელი უფლებამოსილია ანონიმური ცნობის საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე. 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც წესი, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან გამოძიების დაწყების შესახებ განმცხადებელს წერილობით აცნობონ 3 დღის ვადაში.

პირი დაკავების შემდეგ, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაული, იძენს ბრალდებულის სტატუსს.

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. როგორც აღინიშნა, დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

საქართველოს სსს კოდექსის 171-ე მუხლით გათვალისწინებულია დაკავების საფუძველი. კერძოდ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

შესაძლებელია, აგრეთვე, პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე. ეს შესაძლებელია, თუ: პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; პირი დაინახეს დანაშა-

ულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის ამკარა კვალი; პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო; პირი შესაძლოა მიიმალოს და პირი ძებნილია.

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.

საგამოძიებო პრაქტიკაში დაკავების, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთის გამოყენება ხშირად ხდება, რაზედაც მეტყველებს ამ ორგანოების საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები. დაკავება არის ერთგვარი იძულების ღონისძიება, ამიტომ მის გამოყენებას საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში დიდი ყურადღება ექცევა, რათა ყველა შემთხვევაში დაკავების დროს დაცული იქნას საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, დაკავება მოხდეს შესაბამისი კანონიერი საფუძვლის შემთხვევაში, რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

დაკავების დროს, ასევე საჭიროა გათვალისწინებული იქნას სსს კოდექსის 173-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი, მოსამართლე. ეს აკრძალვა, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, არ ვრცელდება სსს კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, კერძოდ, როცა პირს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლებიც ვალდებული არიან ამ ღონისძიების გამოყენების დროს დაიცვან სსს კოდექსის 174-ე მუხლით დადგენილი დაკავების წესები. კერძოდ, თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა.

როგორც ჩანს, საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ამ მოქმედებებს ასრულებს დამკავებელი მოხელე, რაც თავისთავად გამორიცხავს ხშირად გავრცელებულ იმ აზრს, თითქოს ეს ფუნქციები მხოლოდ გამომძიებლის პრეროგატივაა და მათ არ უნდა აიღონ თავის თავზე გარკვეული საპროცესო ვალდებულებები, რაც ამ მომენტისათვის კანონით არის გათვალიანინებული. ამ ფუნქციის ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა, არასწორია. ის ორგანოები და პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირის დაკავებას და მის იზოლაციას, ვალდებული არიან შეასრულონ გარკვეული მოქმედებები პირის დაკავების მომენტში, რაც კანონით არის დადგენილი.

დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სსს კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა.

დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა, დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. როგორც წესი, დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

პირის დაკავების შემდეგ, დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, ამ კოდექსში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული, მისი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე.

დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება.

თუ დაკავებისას პირს არ განემარტა სსს კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი, ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია ასევე დაკავებულის განთავისუფლების საფუძველი და წესი. სსს კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, დაკავებული უნდა განთავისუფლდეს, თუ არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ; გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა; არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე; დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

დაკავებულის განთავისუფლება ხდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით. დაკავებული თავისუფლდება დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ გავიდა დაკავების ვადა. გათავისუფლებისას დაკავებულს გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

პროკურორის დადგენილებით, შესაძლებელია ბრალდებულის დროებით გამოყვანა დაკავების ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ვალდებულია პირის დაკავებიდან, დაპატიმრებიდან ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებიდან არა უგვიანეს 3 საათისა, შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას.

თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა, ეს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ, სამი დღის ვადაში უნდა შეატყობინონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულოს.

დაკავების მომენტიდან, როგორც აღინიშნა, ბრალდებულად ითვლება პირი, რომელიც არის სისხლის სამართალწარმოების მონაწილე დაცვის მხრიდან და გააჩნია თავისი საპროცესო უფლებები. ბრალდებულის დაკავებისთანავე, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მის მიმართ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, რა დროსაც მას უჩნდება დაცვის და სხვა საპროცესო უფლებები.

საქმეზე გამოძიების დაწყების ეტაპზე, როგორც თვითონ, ისე მისი დამცველი ერთვებიან რა სისხლის სამართალწარმოებაში, ეს პროცესი ღებულობს შეჯიბრებით ხასიათს. სწორედ პირის დაკავების მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. მისი უზრუნველყოფის მიზნით, საქმეზე გამოძიების დაწყებისა და პირის დაკავებისთანავე, გამომძიებელი, პროკურორი კონკრეტული დაკავებული პირის მიმართ ატარებენ მთელ რიგ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ბრალდებულის გამოსააშკარავებლად ჩადენილ დანაშაულში. ამ ეტაპზე ეს პროკურორის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებაა და ემსახურება სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულებას.

სისხლისსამართლებრივი დევნის არსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული მთელი საპროცესო მოქმედებები მიმართული უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში დაკავებული პირის ბრალეულობის საკითხის დასადგენად. გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორის მიერ მას წარედგინება ბრალდება, რაზედაც გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, რომელსაც პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი გააცნობს ბრალდებულსა და მის დამცველს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს. დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გადაეცემა ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს. თუ ბრალდებული ან მისი ადვოკატი უარს ამბობს დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე, დადგენილებაზე აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

როგორც წესი, თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. თუ იგი ამ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩა-

ითვლება ბრალის წაყენებად. ბრალდებულის ადვოკატი წერილობით ადასტურებს ბრალდების გაცნობის ფაქტს.

ასეთ შემთხვევაში, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, სსსკ-ის კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწყება მისი ბრალდებულად ცნობისთანავე, რადგან ის ამ მომენტისათვის დაკავებული არ არის.

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით არ მთავრდება პროკურორის მხრიდან დევნის ფუნქცია. პროკურორი ვალდებულია, ბრალდების წაყენების შემდეგაც განახორციელოს ყოველმხრივი და სრული დევნის ღონისძიებები, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რათა შეაგროვოს მტკიცებულებები პირის მიმართ. „დევნის მიზანი სწორედ ის არის, რომ როდესაც პირი დანაშაულის ჩადენაში იმხილება და ბრალდება წარედგინება, ამ პირის მიმართ გაგრძელდეს დევნის მწარმოებელი პირის საქმიანობა და საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება.[1]

მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ როდის და რა გარემოებების არსებობისას უნდა მიიღოს პროკურორმა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ამ ბრძანებამ განსაზღვრა სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის ის მიმართულებები, რომლის მიხედვით უნდა გადაწყდეს საკითხი თუ, როდის და რა გარემოებების არსებობისას უნდა მიიღოს პროკურორმა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ. ასეთი გარემოებებია:

[1] ი. აბაშიძე. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ბათუმი, 2008, გვ. 28.

ა) სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;

ბ) შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.

დასაბუთებული ვარაუდი, ანუ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა – არის ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. აღნიშნული სტანდარტი მოწმდება მტკიცებულებითი ტესტის მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკრეციული დევნის პრინციპის გათვალისწინებით, აღნიშნული გარემოებების არსებობა არ გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის ავტომატურად დაწყების ვალდებულებას ან აუცილებლობას. თუმცა, ამავე დროს, ამ გარემოებათა არარსებობა თავისთავად გამორიცხავს დევნის დაწყების შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს კანონითა და ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპებით. ამის გარდა, გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს პროკურორის შინაგან რწმენას და კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მსვლელობისას შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

– ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება;

– დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

– უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი;

– უარი თქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა, არსებობს დადგენილი გარემოებები, რომლითაც პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღებისას. უმთავრესია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. მასზე არ უნდა მოახდინოს გავლენა სუბიექტურმა ფაქტორებმა. პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებებისამებრ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი დევნის დაწყება კონკრეტულ შემთხვევაში.

სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე იუსტიციის მინისტრის ბრძანების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პირობით: კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებით და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის საჯარო ინტერესით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს და მხოლოდ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსთან, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. პროკურორის მიერ გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა:

ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი.

სრული ტესტის თითოეული ეტაპი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული საქმის გარემოებათა ანალიზისა და შეფასების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება დევნის დაწყების, არდაწყების თუ გაგრძელების თაობაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებანი პროკურორმა უნდა მიიღოს მხოლოდ მაშინ, როცა შესაძლებელია ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის სრულად გაანალიზება და საქმესთან მიმართებაში საჯარო ინტერესის სწორად შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია, გამოძიება უნდა გაგრძელდეს და შესაბამისი გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე მიღებულ იქნეს მოგვიანებით.

ამავე ბრძანებით განმარტებულია მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტის არსი და მნიშვნელობა, მათი გათვალისწინება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში.

პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ. გასათვალისწინებელია ასევე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის აუცილებელი, პროკურორს ყველა ის მტკიცებულება ჰქონდეს ხელთ, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე გეგმავს. საკმარისია, პროკურორი დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრა-

ლეულობის დასასაბუთებლად. პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა პროკურორის მიერ ფასდება მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპზე პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დაცვის მხარის არგუმენტები და ის, თუ რა ეფექტი შეიძლება მოახდინოს ამ მხარემ ბრალდების დასაბუთებაზე.

მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება არსებით საჯარო ინტერესს. პროკურორმა უნდა გააანალიზოს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როცა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და გაანალიზებით, რაც არსებითია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დევნის დაწყების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნებს.

იმ გარემოებათა შორის, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა საჯარო ინტერესის განსაზღვრის დროს, პირველ რიგში აღსანიშნავია სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები, მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული გარემოებანი არ არის ამომწურავი. ამავე დროს ყოველ კონკრეტულ საქმეში ყველა ფაქტორის განხილვა არ არის საჭირო, რადგან მათი განხილვის საჭიროება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე.

ბრძანებაში განმარტებულია ზემოთ აღნიშნულ ცალკეულ გარემოებათა სამართლებრივი გაგება დისკრეციული დევნის დროს მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

სახელმწიფოს რესურსი არ არის საკმარისი ყველა დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. სწორედ შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით განისაზღვრება სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც გამოძიებისა და დევნის ორგანოთა მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და რეაგირებას. შესაბამისად, საჯარო ინტერესების განსაზღვრისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა.

სახელმწიფო რესურსი ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე. აქედან გამომდინარე, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საჯარო ინტერესს დევნის დაწყება კონკრეტულ დანაშაულზე. გადაწყვეტილების მიღებისას უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტობრივი თუ პოტენციური გავლენის განსაზღვრა, რაც შეიძლება დანაშაულს ჰქონდეს საზოგადოებასა თუ დაზარალებულზე. დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა შეფასდეს. მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს მატერიალური, დამნაშავე შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მოსახლეობას ან არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს. შესაძლებელია, საზოგადოება ნეგატიურად იყოს განწყობილი ამა თუ იმ პირის დასჯისადმი, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ დანაშაული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით უმნიშვნელოა.

ამრიგად, პროკურორმა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მან მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოებისადმი მიყენებული ეკონომიკური ზიანი, მოქალაქისადმი ან საჯარო ქონებისადმი მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და სხვა მნიშვნელო-

ვანი გარემოებები. პროკურორის საჯარო ვალდებულება და პროფესიული პასუხისმგებლობა ხშირად მოითხოვს მისგან საზოგადოებაში არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას.

დაზარალებულზე ზეგავლენის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქიკური ფაქტორები. აუცილებელია დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა მახასიათებლების მხედველობაში მიღება. გასათვალისწინებელია აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ფაქტორი, თუმცა აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა არ შეიქმნას არასწორი წარმოდგენა საზოგადოებაში, რომ თითქოს დამნაშავე მხოლოდ ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ თვითონ იცილებს პასუხისმგებლობას.

მიუხედავად პროკურორის ვალდებულებისა — დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესი და არა რომელიმე ინდივიდი, მან ყოველთვის უნდა მიიღოს მხედველობაში დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დანაშაულის პრევენცია. პროკურორმა აუცილებლად უნდა მიიღოს ეს ფაქტორი მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქ დანაშაულთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია, ცალკე აღებული დანაშაული უმნიშვნელო იყოს, თუმცა მისმა განმეორებითმა ჩადენამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და, აქედან გამომდინარე, მისი სისხლისსამართლებრივი დევნა პრევენციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გახდეს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ პროკურორმა გაითვალისწინოს, თუ რამდენად მიღწევადია სასჯელის მიზნები სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე.

მაშინაც კი, როდესაც პროკურორს საკმარისი მტკიცებულებები გააჩნია პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია, რომ მან შეაფასოს ბრალის ხარისხი დანაშაულის სხვა მონაწილეების ბრალთან მიმართებით. შესაძლებელია, დანაშაულის თანამონაწილის ბრალის ხარისხისა და მოტივის გათვალისწინებით, პროკურორმა მართებულად ჩათვალოს სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა. მაგალითად, თუ პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შედარებით მეორეხარისხოვანია და არ არის სახეზე დევნის განხორციელების სხვა ფაქტორები, პროკურორი უფლებამოსილია, არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის დანაშაულებრივი წარსული, თუ პირი ნასამართლევია, ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან წარსულში ჩაიდინა დანაშაული, უნდა დაადგინოს – რა დანაშაულები აქვს პირს ჩადენილი და როდის, აგრეთვე რა კავშირი აქვს აღნიშნულ დანაშაულებს კონკრეტულ საქმესთან. იგივე პრევენცია გამოიყენება მაშინ, როცა პირის მიმართ არ არსებობს რაიმე სასამართლო გადაწყვეტილება, ის თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან და სახეზეა სხვა ფაქტორები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საწინააღმდეგოდ.

ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ კი მისი თანამშრომლობის სურვილი გამოძიებასთან, არის კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. ასევე გასათვალისწინებელია, უთანამშრომლია თუ არა ამ პირს სამართალდამცავ ორგანოებთან. თავისთავად, პირის სურვილი ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, არ არის გადამწყვეტი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის აღმოჩენილი დახმარება შეიძლება გადაწონიდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ინტერესს.

პიროვნული მახასიათებლები მნიშვნელოვანია დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, პირის ასაკის ან მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პროკურორმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ დევნის დაწყება არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანა-

შაული და არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი დევნის განხორციელება. მეორე მხრივ, თუ პირი საჯარო მოხელეა და სავარაუდოდ, ბოროტად იყენებს საპასუხისმგებლო თანამდებობას, მაშინ დევნის დაწყება მიზანშეწონილია.

საჯარო ინტერესის შეფასებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო შედეგები და სავარაუდო სასჯელის ღონისძიება. ასევე, უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება დევნის განხორციელებისათვის საჭირო დრო და რესურსი პირის პასუხისგებაში მიცემის ინტერესს. თუ პირი უკვე მსჯავრდებულია და იხდის სასჯელს, პროკურორმა უნდა დაადგინოს, რამდენად მიზანშეწონილია ახალი დანაშაულისათვის მისი ხელახლა მიცემა პასუხისგებაში. უნდა გაირკვეს, მნიშვნელოვნად დაამძიმებს თუ არა პირის პასუხისმგებლობას ახალი სასჯელი. გათვალისწინებული უნდა იქნეს დევნის დაწყების პრევენციული მნიშვნელობაც. პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, შესაძლოა, საჭირო იყოს პირის დანაშაულებრივი წარსულის ადეკვატურად ასახვის მიზნებისათვის. მაგალითად, თუ პირმა დაარღვია გირაოს პირობები, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რათა საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი გახდეს ის რისკი, რაც ამ პირისათვის აღკვეთის ღონისძიებად გირაოს შეფარდებას შეიძლება ახლდეს თან.

აღნიშნული ფაქტორები არის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელთა განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ინტერესის შეფასებისას, თუმცა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და გავლენა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებაზე.

ამავე ბრძანებაში გადმოცემულია ის კონკრეტული გარემოები, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე, კერძოდ:

ა) ჩადენილი დანაშაული გავრცელებულია კონკრეტულ რეგიონში და სისტემატურ ხასიათს ატარებს;

ბ) სახეზეა განსაკუთრებით საშიში დანაშაული – წამება, დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობა, კორუფცია, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), იარაღით ან საშიში ძალადობით ჩადენილი დანაშაული და სხვა;

გ) სისხლისსამართლებრივ დევნას პოზიტიური გავლენა ექნება მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე;

დ) დანაშაული ჩადენილი იქნა საზოგადოების სამსახურში მყოფი პირის მიმართ (მაგ., ნაფიცი მსაჯული ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი, გადაუდებელი დახმარების მუშაკი, პოლიციის თანამშრომელი, სოციალური სამსახურის მუშაკი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პირი და სხვა);

ე) დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად;

ვ) დანაშაულის ჩადენა დაკავშირებულია სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან;

ზ) დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა შესაბამისი გარემოების საფუძველზე), ან როცა პირი მტრულად არის განწყობილი დაზარალებულის მიმართ ჩამოთვლილ ნიშანთა საფუძველზე;

თ) დანაშაული ჩადენილ იქნა სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით;

ი) დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანის, ორსული ქალის, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ;

ბრძანებით გათვალისწინებულია აგრეთვე შემდეგი გარემოებები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეუწონლობაზე:

ა) სასჯელის მიზნები შესაძლოა მიღწეულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე;

ბ) მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა;

გ) პირმა აუნაზღაურა დაზარალებულს დანაკარგი ან მიყენებული ზიანი (თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ ამ საფუძვლით);

დ) დანაშაულის ჩადენასა და სასამართლო განხილვას შორის არსებობს დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

– დანაშაული მძიმეა;

– დაყოვნება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვეული იყო პირის ბრალით;

– დიდი ხანი არ გასულა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების მიღებიდან;

– დანაშაულის სირთულიდან გამომდინარე საჭირო იყო გრძელვადიანი გამოძიება;

— არგახსნილ დანაშაულთა ხელახალი შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა ახალი საგამოძიებო ტექნიკა და ამის შემდეგ გამოვლინდა დანაშაულის ჩამდენი პირი.

ე) პირს მიუძღვის უმნიშვნელო როლი დანაშაულის ჩადენაში.

როგორც ბრძანებაშია მითითებული, ჩამოთვლილი პრინციპები და ფაქტორები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესში, უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

§-2. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება გამოძიების სტადიაზე

სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როდის ითვლება დამთავრებულად სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე. როგორც წესი, გამოძიების დამთავრება ეს არის გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართალწარმოების დასრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიება მთავრდება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან/და სისსხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის გამოტანით ან საქმის სასამართლოში წარმართვით.

გამოძიების პროცესში, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც აბრკოლებენ გამოძიების დამთავრებას და იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას ან შეჩერებას.

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მთავრდება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში, ანუ საქმის წარმოება შეიძლება გაგრძელდეს და დასრულდეს საბოლოოდ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. მაგრამ, ცალკეულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმემ დასრულებული სახე შეიძლება მიიღოს გამოძიებაშიც. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან შეჩერება წარმოადგენს გამოძიების დამთავრების ერთ-ერთ ფორმას. აღნიშნული კი თავისთავად საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრების ერთ-ერთ პირობაა.

სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე საპროცესო-სამართლებრივი ნორმები[1].

[1] სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი 2008 წელი. გვ. 102.

მატერიალურ-სამართლებრივს მიეკუთვნება ისეთი ნორმები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაულის ფაქტს ან კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის გამოყენებას.

ასეთი საფუძვლებია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა, როცა ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, ასევე, თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების, ქმედითი მონანიების გამო, ასევე, როცა პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საპროცესო-სამართლებრივი ნორმებია ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის საქმის გამოძიებას. კერძოდ, როცა არსებობს სასამართლოს კანონიერი ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ და თუ პროკურორი სსს კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უარს ამბობს ბრალდებაზე.

საქართველოს სსს კოდექსის 105-ე და 167-ე მუხლებში ჩამოყალიბებულია გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლები.

გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით. ეს დადგენილება სასამართლოში არ საჩივრდება. იგი დაზარალებულმა შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის დამცველს და დაზარალებულს. ამასთან, დადგენილების ასლები ეგზავნებათ ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო საქმეზე გამოძიება. ამავე დადგენილებაში აღნიშნულ პირებს უნდა განემარტოთ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ დადგენილების გასაჩივრების უფლებისა და წესის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეზე მარეაბილიტირებელი გარემოებების საფუძველზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას ან შეჩერებისას, დადგენილებაში შეტანილი არ უნდა იქნას ისეთი ფორმულირება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს პირის უდანაშაულობას.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეწყვეტილი ან შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებას. თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება ან სასამართლომ გააუქმა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, ასევე თუ შეჩერების საფუძვლები აღარ არსებობს, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს, რაზედაც პროკურორს გამოაქვს შესაბამისი დადგენილება. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე, გამოძიების დამთავრება მოიცავს სისსხლისსამართლებრივი დევნის დამთავრებასაც. ე. ი. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან/და დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის მიღებით და საქმის სასამართლოში წარმართვით, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება.*

---

* შენიშვნა: გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და შეჩერების ყველა კონკრეტული საფუძველი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსს კოდექსის 105-ე და 167-ე მუხლებით, ჩვენს მიერ ცალ-

თავი IV

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნება, არსი, მნიშვნელობა, ამოცანები, მისი განხორციელების ფორმები და მეთოდები

§-1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი, მისი როლი და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე

საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა მოიცავს პროკურორის მიერ სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, რისთვისაც მას საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. პროკურორი გამოძიების სტადიაზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით ახორციელებს მიზანმიმართულ და ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც წარმოაჩენს მისი მოღვაწეობის აქტიურ მხარეს.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ცალკე და დეტალურად არის განხილული ნაშრომის მეოთხე თავის მეორე პარაგრაფში.

[1] Савицкий В. М. Стержневая функция прокуратуры - осуществление уголовного преследования. Жур. Российская юстиция. 1994. № 10. с. 24.

სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო ხელმძღვანელობა — ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს პროკურატურის ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში. პროკურატურის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი ისაა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა და პირებმა ზუსტად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მიღებულ იქნეს ზომები კანონიერების აღსადგენად, დამნაშავეები კი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის კანონით პროკურატურას მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ფაქტობრივად, პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მიმართულია იმისკენ, რომ სამართალწარმოების მთელ ეტაპზე მასში მონაწილე ორგანოებმა და პირებმა უზრუნველყონ კანონის დაცვა, ასევე, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, კანონის დარღვევის შემთხვევაში კი მოხდეს მისი დროული აღკვეთა.

გამოძიებისას პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდია, ხერხია, იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.[1]

გამოძიებასა და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, გამოძიების სტადიაზე, კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, დაწყებული საქმის გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით. იგი ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია, რასაც აღწევს როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, ასევე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

გამომძიებლის მთელი საქმიანობა გამოძიების სტადიაზე იმყოფება პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ,

---

[1] გ. მეფარიშვილი. „სისხლის სამართლებრივი დევნა ცაიტნოტში“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997 წლის 31 ოქტომბერი.

ვისზედაც დაკისრებულია კანონთა დაცვა გამოძიების დროს. ეს ფაქტი თავისთავად ხაზს უსვამს პროკურორის საპროცესო სტატუსს.

გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, შემოღებულ იქნა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. მიგვაჩნია, რომ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე ზედამხედველობის წარმოება საპროცესო ხელმძღვანელობის მეშვეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული დებულებაა, რაც რეალიზებულია საქართველოს ახალ სსს კოდექსში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (32-ე მუხლი) და „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი (მე-3, მე-14 მუხლები) გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობას მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებად (ფორმად), რომელმაც საპროცესო კანონმდებლობაში დაიკავა მანამდე კარგად ცნობილი „წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ადგილი“.[1]

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში წინასწარი გამოძიების სტადიაზე გამოძიების ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი. მაგ.: იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-548-ე მუხლების თანახმად, პროკურორი გამოძიების ხელმძღვანელია.

სანამ დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის არსს განვიხილავდეთ, მოკლედ განვიხილოთ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემოღების შემდეგ შეიცვალა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით.

[1] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი.
1999 წელი. გვ. 263.

გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, თავდაპირველად განისაზღვრა საქართველოს კონსტიტუციაში და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, შემდგომში რეგულირდებოდა საპროცესო კანონმდებლობით. ის საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და გაუქმდა 1998 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიების საპროკურორო ზედამხედველობაში მოიაზრებოდა იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ პროკურორის ამოცანებს, უფლებებს და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში და სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორის ზედამხედველობის დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტს შეადგენდა. შესაბამისად, მიღებული იყო და მოქმედებდა საპროკურორო ზედამხედველობის დებულება.

საბჭოთა პერიოდის საპროცესო კანონმდებლობაში მიღებული იყო, რომ პროკურორი ახორციელებდა ზედამხედველობას გამოძიებაზე და ხელმძღვანელობდა მას. ამასთან, ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ პროკურორი არა მარტო ზედამხედველობდა გამოძიებას, არამედ ხელმძღვანელობდა მას[1]. ამ ტერმინების შერწყმით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მკითხველი, რომ გამოძიებაზე ზედამხედველობა და გამოძიების ხელმძღვანელობა ერთი და იგივეა. თუმცა იმ ავტორთაგანაც კი, რომლებიც იზიარებდნენ როგორც გამოძიების ზედამხედველობის, ასევე ხელმძღვანელობის კონცეფციას, ვერავინ შეძლო დაესაბუთებინა გამომძიებლის რომელი მოქმედება იყო პროკურორის მხრიდან ზედამხედველობის და რომელი - საპ-

[1] Тарасова – Родионова П. Н. Предварительное следствие. Госюриздат. 1955 г. стр. 6. Тадевосян В. Прокурорский надзор. Госюриздат. 1956 г, стр. 163,177. Лебединский В. Г.Каленов Ю. Прокурорский надзор в СССР. Госюриздат. 1957 г, с.119. Челцов М. А. Советский уголовный процесс. стр. 190.

როცესო ხელმძღვანელობის ობიექტი. ამასთან, ვერ მიჯნავდნენ, პროკურორის რომელი უფლებამოსილება იყო საზედამხედველო და რომელი - საპროცესო ხელმძღვანელობის საგანი.

სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერების იმდროინდელი წარმომადგენლების აზრით, საპროკურორო ზედამხედველობის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ პროკურორს საპროკურორო ზედამხედველობის მეშვეობით ყურადღება მიექცია, რათა შესაბამის ორგანოებს და პირებს ზუსტად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა, დაეცვა კანონით დადგენილი წესები, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში მიეღო მათი აღდგენის ზომები და დამნაშავე პირი მიეცა პასუხისგებაში[1]. ასეთი ფართო გაგებით საპროკურორო ზედამხედველობა სახელმწიფოს ფუნქცია იყო, რაც ქმნიდა სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების ნორმალური საქმიანობის პირობებს. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფუნქციის უშუალო მატარებლად გვევლინებოდა პროკურორი.

აღნიშნული საზედამხედველო ფუნქციის გარეშე პროკურორი ვერ სარგებლობდა ვერანაირი უფლებამოსილებით, ვერ შედიოდა ვერავითარ ურთიერთობაში სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან. საბჭოთა პერიოდში სწორედ კანონიერების შესრულებაზე, გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქცია აძლევდა პროკურორის საქმიანობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

გამოძიებაზე ზედამხედველობის ფუნქცია პროკურორს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ კანონის ფარგლებში და კანონზე დაყრდნობით. ორი ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურება, როგორიც არის პროკურატურის მოღვაწეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მისი მკაცრი სამართლებრივი რეგლამენტაცია – იძლევა საფუძველს განხილული იქნას გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც სპეციფიკური სახელმწიფო-სამართლებრივი ფუნქცია.

[1] Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. Издателство «Наука». Москва, 1975 год. стр. 27

გამოძიების სტადიაზე პროკურორი უშუალოდ ახორციელებდა საპროკურორო ზედამხედველობის სახელმწიფო-სამართლებრივ ფუნქციას. ამ სტადიაზე გამოძიების ორგანოების მთელი საქმიანობა იმყოფებოდა პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც ეკისრებოდა კანონიერების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

იმ დროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებდა პროკურატურა ქვემდგომი პროკურორების მეშვეობით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

საპროკურორო ზედამხედველობა ხორციელდებოდა გამოძიების მთელ სტადიაზე, გამოძიების ორგანოების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვის, ჭეშმარიტების დადგენისა და კანონის სწორად გამოყენების მიზნით. მისი მნიშვნელოვანი მხარე იყო მთელი საპროცესო საქმიანობის განხორციელება.

საპროკურორო ზედამხედველობის არსი იყო ის, რომ გამოძიების დროს შესაბამის ორგანოებსა და ცალკეულ პირებს კანონით დადგენილი წესით შეესრულებინათ მათთვის დაკისრებული მოვალეობა და რომ კანონიერების დარღვევის შემთხვევაში მომხდარიყო მისი აღდგენა.

გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა მიმართული იყო იმისკენ, რომ გამოძიების პროცესში არ დარღვეულიყო კანონი, სწორად განსაზღვრულიყო სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი ასრულებდა იმ ამოცანას, რომ ყოველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და გამოძიება მომხდარიყო კანონიერად და დასაბუთებულად, პიროვნების ხელშეუხებლობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით.

გამოძიების სტადიაზე საპროკურორო ზედამხედველობის სპეციფიკა ის იყო, რომ გამოძიებაზე ზედამხედველობა თავისთავად ორგანულად მოიცავდა საპროცესო ხელმძღვანელობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გამოძიების ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ურთიერთმიმართების და გამიჯვნის საკითხი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობამ დაიკავა მანამდე კარგად ცნობილი და იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული – გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ადგილი. როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე პრაქტიკოს მუშაკებს შორის ხშირად ისმის კითხვა, თუ რა მიმართებაშია ეს ორი ცნება ერთმანეთთან.

გამოძიების ზედამხედველობისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი თავის დროზე იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერ იურისტთა შორის მძაფრი დებატებისა და დავის საგანი იყო, რომელზედაც მათ სხვადასხვა მოსაზრებები გამოთქვეს.

აღნიშნული საკითხის გარკვევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში და საერთოდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საგანგებო მეცნიერული შესწავლის საგანი არ ყოფილა.

ცნობილი მეცნიერი ვ. მ. სავიცკი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ საუბრისას განმარტავდა, რომ „გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობაში“ იგულისხმება კანონში მითითებული საშუალებები (უფლებამოსილება და მისი რეალიზაციის წესი), რომლებიც ეძლევა პროკურორს, რათა უზრუნველყოს გამოძიების მიერ დანაშაულის სწორად გამოძიება და მიაღწიოს სამართალწარმოების ამოცანას[1]. გამოძიების ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, სავიცკი აღნიშნავდა: რომ შეჯამდეს გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის სპეციფიკა, შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი ძირითადი დებულება: 1) გამოძიების ზედამხედველობა შედგება გამოძიების ორგანოებზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობისაგან. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე პროკურორის საზედამხედველო უფლებამოსილება ვერ განხორციელდება. ის დაკარგავს თავის სამართალდაცვით და სამართალაღდგენით ხასიათს; 2) პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა თანაბრად ეხება გამოძიებისა და მოკვლევის ყველა ორგანოს, რომელთა საქმიანობაზეც ახორციელებს პროკურორი ზედამხედველობას, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა.[1] ამასთანავე, იგი მიუთითებდა, რომ გამოძიების ზედამხედველობა გულისხმობდა საპროცესო ხელმძღვანელობის აუცილებლობასა და გარდაუვალობას.

განსხვავებული შეხედულება ჰქონდა პროფესორ ი. ი. მიროშნიჩენკოს, რომელიც თავის სტატიაში ამტკიცებდა, რომ გამოძიებაზე პროკურორის ხელმძღვანელობა გამოგონილია და არაფერი აქვს საერთო იმ ამოცანებთან, რომლებიც პროკურორს კანონმდებელმა დაუსახა. ამას მიროშნიჩენკო იმით ამტკიცებდა, რომ, მისი აზრით, საპროცესო ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა პროკურორსა და გამომძიებელს შორის, გამორიცხავს ხელმძღვანელობის მეთოდს იმ მიზეზით, რომ ისინი ხასიათდებიან საპროცესო თანასწორობით, სრული დამოუკიდებლობით საქმის წარმოების დროს[2].

როგორც აღინიშნა, საპროცესო ხელმძღვანელობა არის არა ადმინისტრაციული, არამედ განსაკუთრებული – საპროცესო ფუნქცია. ე.ი. საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში დომინანტობს კანონიერების პრინციპი. პრაქტიკულად, გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად კანონიერების რეჟიმში მიმდინარეობს. თავისთავად, გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა თავისი არსით არის გამოძიების ხელმძღვანელობა, რომლის ძირითადი მიზანია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე სათანადო საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების გზით გამოავლინოს, აღკვეთოს და თავიდან

[1] Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г.
стр. 152

[1] Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г.
стр. 210.

[2] Мирошниченко И. Я. Прокурор в стадии предварительного расследования уголовных дел. «Вестник
МГУ». Серия «Право». 1973 г. №2. стр. 45.

აიცილოს კანონის დარღვევები. სწორედ ამ ფუნქციის განხორციელებას ემსახურება მთლიანობაში საპროკურორო ზედამხედველობა. ორივე შემთხვევაში გამოძიების სტადიაზე პროკურორის ამგვარი საქმიანობა ერთ ძირითად მიზანს ემსახურება – სისხლის საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მიღწეული იქნას სისხლის სამართალწარმოების მიზნების ეფექტიანად განხორციელება.

როგორც წესი, მისი არსიდან გამომდინარე, გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის და საპროცესო ხელმძღვანელობის მკვეთრი გამიჯვნა რაიმე კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე ფაქტობრივად შეუძლებელია.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზიდან, პროკურორის საქმიანობის და მისი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, გამოძიების სტადიაზე პროკურორი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და მისი მეშვეობით ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორის ამგვარ საქმიანობას საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით თავისი საპროცესო ფუნქციის განხორციელების დროს საკმაოდ დადებითი, ეფექტური შედეგები მოსდევს.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დებულება, რომ პროკურორი გამოძიებაზე ზედამხედველობას აწარმოებს საპროცესო ხელმძღვანელობის მეშვეობით, დაასაბუთა პროფესორმა ა. ფალიაშვილმა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად ფართოდ შეეხო ამ სფეროში ე.წ. „უწყებრივი ფაქტორის“ როლის სადავო საკითხს[1]. „ის ფაქტი, - აღნიშნავს ავტორი, - რომ გამოძიების ყველა ორგანო ადმინისტრაციული ხაზით არ ემორჩილება პროკურორს, სრულებითაც არ გამორიცხავს და არ ბლოკავს ზედამხედველობის განხორციელებას და პროკურორის ხელმძღვანელობას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში[2].

[1] ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. ქ. თბილისი, 1999 წ, გვ. 268

[2] ა. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა საბჭოთა კავშირში (სახელმძღვანელო), თბ. 1970 წ. გვ.31

მიგვაჩნია, რომ პროკურორის მიერ ნებისმიერი ფორმის გამოყენება — ადრე ეს იყო გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა და ამჟამად არის პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა — ეფექტიანი საშუალებაა, რათა გამოძიების დროს უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერების დაცვა. ჩვენი აზრით, საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის არსი თითქმის ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა და პირებმა ზუსტად უნდა შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, დაიცვან კანონი, მისი დარღვევის შემთხვევაში კი მიიღონ ზომები კანონიერების აღსადგენად.

მსგავსი მოსაზრება აქვთ გამოთქმული სხვა სპეციალისტებს. მათი აზრით, „საპროცესო ხელმძღვანელობის ცნების შინაარს თუ გადავხედავთ, იგი თითქმის ემთხვევა ძველ საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ პროკურორის ზედამხედველობას გამოძიებაზე“.[1] მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით მის უფლებამოსილებათა ნუსხა შედარებით გაფართოვდა, რაც პროკურორის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას ხშირად უწოდებენ უბრალოდ გამოძიების ხელმძღვანელობას და მას თვლიან არა პროკურორის ფუნქციად, არამედ პროკურორის მიერ გამოძიების ხელმძღვანელობის საპროცესო პრინციპად[2]. მათი აზრით, გამოძიების ხელმძღვანელობა თავის არსით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა, რაც არამართებულად მიგვაჩნია. გამოძიების სტადიაზე პროკურორის ამგვარი საქმიანობა მისი საპროცესო მოვალეობაა და თავისთავად ის

[1] რ. გოგშელიძე. პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჟურნალი „სამართალი“. 9-10. 2002 წელი. გვ. 73.

[2] Емельянов И. В. Организационные и процессуальные отношения в деятельности прокурора, надзирающего за расследованием. М. 1985 г, стр. 115.

ითვლება პროკურორის ფუნქციად. პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ასახავს როგორც ხელმძღვანელობის საგანს, ანუ საპროცესო საქმიანობას, ასევე ხელმძღვანელობის ობიექტს, რომელშიც მოიაზრება გამოძიების ორგანოები და გამოძიების მწარმოებელი პირები. ამასთან, პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია მკვეთრად განსაზღვრავს მისი მოქმედების საზღვრებს და აქ ლაპარაკია გამოძიების სტადიაზე განხორციელებულ საპროცესო ხელმძღვანელობაზე.

ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა დიდი ნაწილი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას მართებულად მიიჩნევს პროკურორის ძირითად ფუნქციად და მიიჩნევენ მას, როგორც პროკურორის საპროცესო საქმიანობის განხორციელების მეთოდს, საშუალებას[1].

საერთოდ, საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში გამოძიების ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის პრობლემატიკის, მათი ურთიერთმიმართების, ასევე, მთლიანად პროკურორის როლისა და ფუნქციების, მათი განხორციელების საპროცესო წესები და მათთან დაკავშირებული სხვა საკითხები საკმაოდ ხანგრძლივი და აქტიური კვლევის საგანი იყო[2].

მიგვაჩნია, რომ პროკურორის ზედამხედველობის სპეციფიკა ის არის, რომ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა ორგანულად მოიცავს საპროცესო ხელმძღვანელობას.

გამოძიების სტადიაზე, პროკურორის, როგორც კანონიერების დამცველის, ფუნქცია ვლინდება გამოძიების ხელმძღვანელობაში და თავისი საპროცესო მდგომარეობით პროკურორი

[1] Халилулин А. Г. Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. Камерово, 1997 г, стр. 129. Ларин А. М. Расследование по уголовному делу: процессуальные фунлции. М. 1986 г, стр. 111, 113. Чувилев А. А. Прокурорский надзор в РФ. М. 1999 г, стр.180. Зеленский В. Д. Организация расследования преступлений. Ростов Н/Д, 1989 г, стр. 85. Скаредов Г. Н. Участие прокурора в следственных действях. М. 1987 г, стр. 21,41.

[2] შენიშვნა: საბჭოთა სპეციალისტების შეხედულებანი დეტალურად და კრიტიკულადაა განხილული ნაშრომში: Савицкии В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г.

გამოდის, როგორც გამოძიების ხელმძღვანელი და არა როგორც სხვა ვინმე[1].

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის პროკურორის საპროცესო ფუნქციის რეალიზაციის მეთოდი, ფორმა[2]. საპროცესო კანონმდებლობაში ადრე არსებული პროკურორის მიერ გამოძიებაზე განხორციელებული ზედამხედველობა შერწყმულია ამჟამად მოქმედ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასთან.

პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა თანაბრად და ერთიან სამართლებრივ ფორმებში ვრცელდება გამოძიების ყველა ორგანოზე და არ არის დამოკიდებული მათ უწყებრივ კუთვნილებაზე.

პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არ შეიძლება დაყვანილი იქნას ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მეთოდამდე ან საშუალებამდე[3]. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმით არის განმარტებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება არის არა ადმინისტრაციული, არამედ განსაკუთრებული საპროცესო ფორმა.[4] ე. ი. პროკურატურის ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში და მისი დაყვანა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, სამსახურებრივ და სხვა ურთიერთობებამდე დაუშვებელია. თვით საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში ასახულია კანონიერების პრინციპი, რომ ეს საქმიანობა, ანუ პროკურატუ-

[1] Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 45

[2] Уголовный процесс. Под. ред. Н. С. Алексева, В. В. Лукашевича, П. С. Елькинд. 1972 г, стр. 106, 312. Галькин Б. А. Уголовно-процессуальный закон. стр. 193. Иванов В. А. Прокурорский надзор в борьбе с преступностью. изд-во ЛГУ, 1964 г, стр. 43.

[3] Перов Д.Н. Актуальные проблемы предварительного расследования. Издво Воронежского ун-та, 1963 г, стр. 18-19. Видря М. М. Прокурор и его полномочия при надзоре за исполнением законов в деятельности органов предварительного расследованя – в книге: Участники предварительного расследованя. Волгоград, 1972 г, стр. 125-126.

[4] В .М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 217.

რის საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად მიმდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროკურორის საპროცესო საქმიანობის ეს ფუნქცია თავისი არსით, მიზნებით, ამოცანებით და მოქმედების საზღვრებით განსხვავდება პროკურორის საქმიანობის სხვა ფუნქციებისაგან[1]. გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა ცალკე, დამოუკიდებელი ფუნქციაა, რაც პროკურორს აძლევს საშუალებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უხელმძღვანელოს გამოძიებას, როგორც საპროცესო ხელმძღვანელმა.

დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. შუამდგომლობას სისხლის საპროცესო სამართლის იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან გაუქმების შესახებ, აგრეთვე იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ადგენს პროკურორი.აქედან გამომდინარე, პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზანია, ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობას, როდესაც დანაშაულის ჩადენა და მისი რაოდენობის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების არსებობით, საგრძნობლად იმატა სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვმა, რომლებზედაც

[1] Тушев А. А. Прокурор в уголовном процессе Р. Ф. Санкт-Петербург, 2005 г, стр. 53

საჭიროა დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარება. შესაბამისად, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, საქმიანობა მეტად რთული და ამავე დროს საპასუხისმგებლო გახდა. მისმა საქმიანობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით, რადგან, ჩვენი აზრით, ჯერ ერთი, საპროცესო ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზოგადად კანონიერებას და შესაბამისი ორგანოებისა და პირების კანონიერ მოქმედებას, მის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი კონტროლი გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვისათვის, და მეორეც, პროკურორი, საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოძიების მთელ სტადიაზე აქტიურად ახორციელებს კონტროლს ყოველი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობაზე, რათა გამოძიების მწარმოებელმა ორგანოებმა და გამომძიებლებმა არ დაარღვიონ კანონი და, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები. გარდა ამისა, პროკურორი როგორც უშუალოდ მონაწილეობს გამოძიებაში, ასევე პირადად, სრული მოცულობით აწარმოებს გამოძიებას.

მართალია, პროკურორი გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს და არა ზედამხედველობას, მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელებისას აქაც ვლინდება ერთგვარი სახელისუფლებო - განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები[1]. მაგრამ პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სასამართლო განხილვის სტადიაზე არსებითად განსხვავდება წინასწარ გამოძიებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ გამოძიების სტადიისაგან განსხვავებით, სასამართლოში პროკურორის სახელისუფლებო-განმკარგულებელი უფლებამოსილების ელემენტები არ შეინიშნება, რადგან პროკურორი სასამართლოში მხარეა, სარგებლობს დაცვის მხარის თანაბარი საპროცესო უფლებით და მას რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია არ გააჩნია.

[1] სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი 2008 წ. გვ. 202

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პროკურორის უფლებამოსილება მიმართულია სწორედ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისაკენ, რომლის მიზანი და ამოცანები ასევე განსაზღვრულია საქართველოს სსს კოდექსით. პროკურორის უფლება — მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე გამოძიების დაწყების, ერთი გამომძიებლიდან მეორეზე საქმის გადაცემის, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების, გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების, გამოძიებისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელზე ან/და ქვემდგომ პროკურორზე სავალდებულო მითითების მიცემის, სისხლის სამართლის საქმის ან ცალკეული მასალების მოთხოვნის, გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილების გაუქმების და სხვა მოქმედებების შესახებ ნიშნავს — რომ სწორედ ის არის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი.

სწორედ ამ სტადიაზე ვლინდება პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, როლი და მნიშვნელობა, სადაც ფართო გასაქანი ეძლევა პროკურორის საპროცესო ფუნქციის განხორციელებას და მისი უფლებების სრულ რეალიზაციას.

პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზანია პროკურორის უფლებამოსილების რეალიზაცია, რაც ემსახურება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით სისხლის სამართალწარმოების ეფექტიანად განხორციელებას, რისთვისაც პროკურატურას გააჩნია მრავალი სამართლებრივი ბერკეტი, რაც დეტალურად არის გადმოცემული სსს კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში, რომლებზედაც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთადერთი ეფექტური საშუალება არის პროკურორის მიერ გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების სტადიაზე საჭირო და აუცილებელია პროკურორის საპროცესო უფლებამოსილე-

ბის გაზრდა და გაფართოება, რაც გარკვეულ დადებით გავლენას იქონიებს პროკურორის ყოველდღიურ საპროცესო საქმიანობაზე.

§-2. პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები

პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის საქმიანობა ექვემდებარება მკაცრ სამართლებრივ რეგულირებას და ხორციელდება გარკვეულ საპროცესო ფორმებში. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ იგულისხმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მითითებული საშუალებები – უფლებამოსილებას პლიუს მისი რეალიზაციის წესი, რომელიც ენიჭება პროკურორს, რათა უზრუნველყოს დანაშაულის სწორად გამოძიება და სისხლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულება.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის პროკურორისათვის კანონით მინიჭებული საშუალებების გამოყენება არა მარტო მისი უფლება, არამედ მოვალეობაც არის, როდესაც წარმოიშობა მათი გამოყენების აუცილებლობა. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფორმები ხასიათდება გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო მდგომარეობით და ზუსტად გამოხატავს მისი საქმიანობის არსს.

გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა შეიძლება გამოიხატოს კანონიერების დარღვევის გამოვლენისა და მისი აღკვეთის ფორმით. რა თქმა უნდა, საპროცესო ხელმძღვანელობის საქმიანობის ასეთი ფორმით დაყოფა პირობითია, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში თითქმის შეუძლებელია პროკურორის საქმიანო-

ბაში გაიმიჯნოს კანონის დარღვევის გამოვლენა და მისი აღკვეთა.[1]

კანონის დარღვევის გამოვლენის ფორმას შეიძლება მივაკუთვნოთ: პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის გაცნობა; საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება; პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება; სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალების ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმის მოთხოვნა; გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა.

რაც შეეხება კანონის დარღვევის აღკვეთისა და თავიდან აცილების ფორმას, შეიძლება მას მივაკუთვნოთ პროკურორის ის უფლებამოსილებანი, რომლებიც მიმართულია კანონის დარღვევის აღმოფხვრისაკენ, კერძოდ: გამოძიებისას სავალდებულო მითითებათა მიცემა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან/და ქვემდგომი პროკურორისათვის; გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილების გაუქმება; საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დავალება ამა თუ იმ სამართალდამცავი ორგანოს ან გამომძიებლისათვის; საქმის ერთი გამომძიებლისათვის ჩამორთმევა და მეორისათვის გადაცემა.

საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორს აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებითაც ის უზრუნველყოფს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი გადაწყვეტილებით.

[1] Михаилов В. А. Прокурорский надзор за прекращением уголовных дел на предварительном следствии в уголовном процессе. Автореф. канд.дис. Воронеж,1968 г, стр. 6.

სსს კოდექსის თანახმად, გამოძიებისას პროკურორის დადგენილების შესრულება სავალდებულოა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასწარი გამოძიებისას პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფორმაა, მეთოდია, ხერხია, იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამ საშუალებათა ჩამოთვლა მოცემულია სსს კოდექსის 33- მუხლის მე-6 ნაწილში, რომლის თანახმად პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს;

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე;

ე) ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ

სხვა შემთხვევებში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს;

ვ) გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

ზ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

თ) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

ი) შეცვალოს ბრალდება;

კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

ლ) სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში;

მ) სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;

ნ) მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება;

ო) გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ;

პ) პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები;

ჟ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ ეს უფლებამოსილებანი და მათი განხორციელების საპროცესო წესები ზემოაღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული თანმიმდევრობით:

ა) პროკურორს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს. საქართველოს სსს კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

გამოძიების დაწყების საფუძველი და პირველადი დოკუმენტია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული. ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. რა თქმა უნდა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამომძიებელი უფლებამოსილია ანონიმური ცნობის საფუძველზე დაიწყოს გამოძიება, მაგრამ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე დაუშვებელია. რაც შეეხება ანონიმურ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო ადგენს ოქმს, ხელს აწერს მას და აკეთებს შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია მიღებულია ანონიმური წყაროდან.

სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, როცა საქმეზე ერთად ჩასატარებელია დიდი მოცულობის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა განხორციელება ერთი გამომძიებლის მიერ ფაქტობრივად შეუძლებელია, საქმე თავისი არსით არის რთული კატეგორიის, მრავალეპიზოდიანი და სხვა, პროკურორს შეუძლია საქმეზე გამოძიების ჩატარება დაავალოს რამდენიმე გამომძიებელს, რომელთაგან ერთ-ერთი ხელმძღვანელობს დანარჩენ გამომძიებელთა საქმიანობას, ხოლო მთლიანობაში გამოძიებაზე

საპროცესო ხელმძღვანელობას, რა თქმა უნდა, ახორციელებს თვითონ პროკურორი.

ამჟამად მოქმედ კოდექსში შემოღებული საპროცესო ნორმის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს იმ გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, დაავალოს ამ საქმესთან დაკავშირებით სსს კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება (სსს კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მიგვაჩნია, რომ ახალ საპროცესო კოდექსში შეტანილი აღნიშნული ნორმა სავსებით მართებულია, რადგან პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, მიერ მიცემული დავალება იმ გამომძიებლისათვისაც კი, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, საკმარისია, რათა ცხელ კვალზე ჩაატაროს სხვადასხვა გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

პროკურორის უფლებამოსილებათა შორის გამოძიების სტადიაზე მნიშვნელოვანია ერთი გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის ჩამორთმევა და მეორე გამომძიებლისათვის გადაცემა. პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, უფლება აქვს ჩამოაშოროს ერთი გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმის შემდგომი წარმოებისაგან და იგი გადასცეს მეორეს. რა თქმა უნდა, ეს ხშირად ხდება იმ შემთხვევაში, როცა გამოძიების დროს დაშვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევები, გამომძიებელი საქმეზე ვერ ატარებს სრულყოფილ საგამოძიებო მოქმედებებს და სხვა გარემოებათა გამო.

გამომძიებლის მხრიდან კანონის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც არასაკმარისი პროფესიული მომზადება, ასევე, იშვიათ შემთხვევაში, კანონიერებიდან აშკარა გადახვევა და სხვა.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ერთი გამომძიებლისათვის საქმის ჩამორთმევის და მეორისათვის გადაცემის საბაბად გამოყენებულია ბრალდებულის, მისი დამცველის, დაზარალებულის და პროცესის სხვა მონაწილეთა განცხადება. ისინი პროკურორისათვის მიმართულ განცხადებაში უჩივიან გამომძიებელს კონკრეტულ საქმეზე პირადი დაინტერესების გამო. იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილენი საფუძვლიან საჩივარს წარადგენენ გამომძიებლის უკანონო მოქმედებაზე, პროკურორს უფლება აქვს დროული რეაგირება მოახდინოს ასეთ ფაქტზე, საქმე ჩამოართვას აღნიშნულ გამომძიებელს და გადასცეს სხვა გამომძიებელს.

პროკურორი, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, უფლებამოსილი და ვალდებულია განიხილოს მსგავსი განცხადებები და გადაწყვიტოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის ერთი გამომძიებლისათვის ჩამორთმევისა და მეორისათვის გადაცემის შესახებ.

როგორც აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე საქმის ერთი გამომძიებლისათვის ჩამორთმევისა და მეორისათვის გადაცემის არაერთი საფუძველი შეიძლება არსებობდეს. პროკურორის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება გამომდინარეობს იქიდან, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამომძიებლებმა უხეშად არ დაარღვიონ კანონი, პროცესის მონაწილე რომელიმე პირის მიმართ არ ჰქონდეთ პირადი ინტერესი და ა. შ.

საქართველოს ახალი სსს კოდექსის მიხედვით, საქართველოს მთავარ პროკურორს, ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს. ამასთან, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს.

ბ) პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით.

პროკურორი თავისი ძირითადი საპროცესო ფუნქციის — გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის — შესრულების გარდა, უშუალოდ მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში ან პირადად სრული მოცულობით აწარმოებს საქმეზე გამოძიებას, მაგრამ ამ უკანასკნელი ფუნქციის შესრულე-

ბის დროს პროკურორი მოქმედებს სსსკ-ის 37-ე მუხლით დადგენილი გამომძიებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. პროკურორის მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მისი მონაწილეობით ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებში, ისე ამ მოქმედებების უშუალოდ მის მიერ ჩატარებაში. ეს ხდება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საგამოძიებო მოქმედებების კანონის სრული დაცვით ჩატარება.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა პროკურორი ჩვეულებრივად მონაწილეობას ღებულობს ბრალდებულის, მოწმეების დაკითხვებში, დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში. გარკვეულწილად ეს განპირობებულია იმითაც, რომ პროკურორი, როგორც თანამდებობის პირი, ფლობს მაღალ საგამოძიებო კვალიფიკაციას, აქვს საკმარისი გამოცდილება, რაც ქმნის სათანადო პირობებს გამოძიების წარმატებით ჩატარებისათვის. განსაკუთრებით ეს შეინიშნება მაშინ, როცა პროკურორი აწარმოებს უშუალოდ გამოძიებას. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება არ ხსნის პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციებს გამოძიების სტადიაზე.

მიგვაჩნია, რომ პროკურორის ამგვარი საქმიანობა უფრო ეფექტიანს და მნიშვნელოვანს ხდის მის როლს გამოძიების სტადიაზე. ამ მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს ვ. მ. სავიცკი, რომლის აზრით, პროკურორის როლი გამოძიებაში უშუალო მონაწილეობისას გამოიხატება იმით, რომ უზრუნველყოს საგამოძიებო მოქმედებების კანონის სრული დაცვით ჩატარება და სწრაფად მიაღწიოს დანაშაულის გახსნას. გამოძიებაში მონაწილეობისას პროკურორი თვალყურს ადევნებს, რომ არ დაირღვეს პროცესის არც ერთი მონაწილის უფლებები.[1] თუმცა პროკურორის აღნიშნული საქმიანობის თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება იქნა გამოთქმული. ისინი გამოთქვამდნენ ეჭვს: როცა პროკურორი თავის საქმიანობაში ამ ფორმას იყენებს, ხომ არ არის ეს გამომძიებლის საქმიანობაში შეჭრა, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვა?

[1] Савицкии В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 162.

მეცნიერთა ნაწილი, რა თქმა უნდა, აღიარებს პროკურორის მიერ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობას, მაგრამ ეჭვის ქვეშ აყენებს უშუალოდ პროკურორის მიერ მთელი საგამოძიებო საქმიანობის ჩატარების მიზანშეწონილობას. ისინი თვლიან, რომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის საპროკურორო ფუნქცია შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როცა გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, ხოლო პროკურორს, რომელიც თვითონ აწარმოებს გამოძიებას სრული მოცულობით, არ შეუძლია საპროცესო ხელმძღვანელობა გაუწიოს საკუთარ თავს[1].

აღნიშნული აზრის მიმდევარ მეცნიერთა არგუმენტი დაფუძნებულია იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი პირადად აწარმოებს გამოძიებას, იკარგება საქმეზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია. მიგვაჩნია, რომ ამ არგუმენტის საფუძვლიანობა მოჩვენებითია, რადგან თუ ამ დროს იკარგება პროკურორის ხელმძღვანელობის ფუნქცია და პროკურორის ხელმძღვანელობის გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ დავსვამთ გამოძიების შედეგებს, მაშინ, ცხადია, ეს უნდა შეეხოს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებსაც, რომელთა ჩატარებაში მონაწილეობს პროკურორი. თუმცა ამ აზრის მიმდევარი ავტორები არ უარყოფენ პროკურორის მონაწილეობას ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებში, იმ მოტივით, რომ პროკურორი ამ დროს არ გარდაიქმნება გამომძიებლად და რჩება პროკურორად, ანუ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელად, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმებით.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ როცა პროკურორი თვითონ აწარმოებს საქმეზე სრული მოცულობით გამოძიებას, არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ამ შემთხვევაში პროკურორს კიდევ ერთი ხელმძღვანელობა დაუწესდეს ზემდგომი პროკურორის მიერ, რასაც, რა თქმა უნდა, ეთანხმება მეცნიერთა დიდი ნაწილი[2]. უბრალოდ გაუგებარია

[1] Рахунов Р. Д. Участники уголовно- процессуальной деятельности. Госюриздат, 1961 г, стр.154.

[2] Калмыков Ю. Н. Стремовский В. А. Обвинительное заключение в уголовном процессе. Ростов- на-Дону, 1970 г, стр. 144.

საწინააღმდეგო აზრის მქონე ავტორთა ლოგიკა და ისმის კითხვა: თუ პროკურორს შეუძლია მონაწილეობის მიღება საქმეზე სხვადასხვა, კონკრეტული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, რასაც ის ავტორებიც არ უარყოფენ და მათთვის პროკურორის ეს საქმიანობა მისაღებია, მაშინ რატომ არის მათთვის მიუღებელი და რატომ არ შეუძლია პროკურორს ჩაატაროს სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებიც ან გამოძიება სრული მოცულობით. საინტერესოა, რა იცვლება, მაგალითად, პროკურორის საქმიანობაში, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, მაშინ, როცა ის აწარმოებს სრული მოცულობით გამოძიებას. პროკურორი არასდროს არ ასრულებს გამომძიებლის ფუნქციას. ის ყოველთვის ასრულებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციას.

ჩვენი შეხედულებით, პროკურორის მიერ გამოძიებაში უშუალო მონაწილეობის უფლებამოსილება, გარდა იმისა, რომ განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით, ჩვენს სინამდვილეში განმტკიცებულია პროკურორის პრაქტიკული საქმიანობით. ამასთან, მიგვაჩნია, რომ პროკურორი სრულყოფილად ვერ შეძლებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, თუ თვითონ არ მიიღებს მონაწილეობას გამოძიებაში. ასევე, როცა პროკურორი გადაწყვეტს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას, ის ფიქრობს, რომ ამით ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ამის არაერთი მაგალითი მქონია ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში, როცა პროკურორმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ჩემს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გარკვეული სახით (ხშირ შემთხვევაში — რთული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში) მიეღო მონაწილეობა, ასევე პირიქით, როგორც პროკურორს, ამ გარემოებათა გათვალისწინებით, არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა გარკვეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, კონკრეტულ, რთული კატეგორიის საქმეებზე კი ხშირად ვაწარმოებდი სრული მოცულობით გამოძიებას. ვფიქრობთ, პროკურორის ამგვარი საქმიანობა მეტად ეფექტურია, ის ხელს უწყობს საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას და ჭეშმარიტების დადგენას. თუ პროკურორის გადაწყვეტილება — მონაწილეობა მიიღოს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებში, სწორედ აქეთ არის მიმართული, მაშინ რატომ არის ეს გამოძიების საქმეში ჩარევა? ჩვენი აზრით, პირიქით, პროკურორის ასეთი საქმიანობით თვით გამომძიებლის საქმიანობაც გარკვეული კონტროლის ქვეშაა და რეალური ხდება საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარება და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, შეუძლია გამოძიების სტადიაზე გამოავლინოს და აღკვეთოს კანონიერების დარღვევები არა მარტო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით, არამედ საგამოძიებო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის გზით.

იღებს რა მანაწილეობას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, პროკურორი კონკრეტულ საქმეზე საჭირო ზეპირ მითითებებს, რეკომენდაციებს აძლევს გამომძიებელს, მის ყურადღებას აქცევს გამოძიების დროს დაშვებულ ხარვეზებზე, თვითონ ასრულებს საგამოძიებო მოქმედებებს ან მის ზოგიერთ ელემენტს დამოუკიდებლად, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამომძიებელთან ერთად. როგორც აღინიშნა, პროკურორი მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში და ამით მან არ უნდა შეცვალოს გამომძიებელი. აღნიშნულზე სწორად მიანიშნებს მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომელთა აზრით, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს პროკურორი არ უნდა გამოვიდეს მბრძანებლის როლში, გამომძიებელი არ უნდა გახდეს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა საპროცესო გამფორმებელი. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის დროს პროკურორი გამომძიებლის საქმიანობაში მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა ის უშვებს საპროცესო ნორმების დარღვევებს, საპროცესო შეცდომებს, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს გაურკვეველი რჩება ისეთი გარემოებები, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის[1]. თუმცა ეს გარემოება არ ართმევს პროკურორს უფლებას, თვითონ აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით და ჩაატაროს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

[1] Басков В. Н. Прокурорский надзор. М. 1995 г. стр. 244.

ზოგიერთი მეცნიერი პროკურორის ისეთ უფლებამოსილებას, როგორიც არის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება ან გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება, აკუთვნებს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაციის ფუნქციას[1], რაც არასწორია და მიგვაჩნია, რომ პროკურორს, მონაწილეობს რა საგამოძიებო მოქმედებებში ან სრული მოცულობით ატარებს საქმეზე გამოძიებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის გარდა შეუძლია ასევე ერთდროულად მოახდინოს საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის რეალიზაცია. უდავოა, რომ პროკურორი ამ ეტაპზე ამგვარი საქმიანობით ერთგვარად ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, მაგრამ, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი დევნის არსიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებებში, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა შეგროვებისაკენ, რომლებიც ააშკარავებს ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში.

პროკურორი მონაწილეობას მიიღებს ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებაში, თუ თვითონ აწარმოებს გამოძიებას სრული მოცულობით, ფაქტობრივად ასრულებს ყველა იმ ფუნქციის მოთხოვნებს, რაც მის საპროცესო უფლებამოსილებაში შედის და მიმართულია საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობით და მის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებით, პროკურორი მისთვის კანონით მინიჭებულ ფუნქციას ასრულებს და არავის არ აქვს მისი აკრძალვის უფლება. მიგვაჩნია, რომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დროს ამგვარი საქმიანობით პროკურორი აღწევს თავის მიზანს: გახსნას დანაშაული, დაადგინოს დამნაშავე პირი, მისცეს იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში, აღკვეთოს კანონის დარღვევა, დაიცვას პროცესის მონაწილე პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

[1] Мельников Н. В. Прокурорская власть и личность: правовые средства обеспечения прав и свобод граждан России. М. 2003 г, стр. 166.

პროკურორის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება და მის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება არანაირად არ ნიშნავს გამომძიებლის საპროცესო ფუნქციებში შეჭრას. პროკურორის ამგვარი საქმიანობა არ ამცირებს გამომძიებლის დამოუკიდებლობას და მის პასუხისმგებლობას. პირიქით, აღნიშნულით ის ასრულებს მის საპროცესო ფუნქციას გამოძიებაზე ხელმძღვანელობის კუთხით.

ა) პროკურორი უფლებამოსილია გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს. პროკურორი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს, გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს აძლევს სავალდებულო მითითებებს გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ან საგამოძიებო ვერსიების შემოწმების და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოების დროს წამოჭრილ სხვა საკითხებზე. მიგვაჩნია, რომ ეს პროკურორის არა მარტო უფლებაა, არამედ ერთგვარი მოვალეობაც, რადგან საპროცესო ხელმძღვანელობის ამ ფორმის გამოყენება წინასწარი გამოძიების სტადიაზე საშუალებას აძლევს გამოძიების მწარმოებელ პირს, შეასრულოს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, ეხმარება მას მხედველობიდან არ გამორჩეს კონკრეტული სახის მოქმედებების შესრულება, სწორად გადაწყვიტოს გამოძიების პროცესში წამოჭრილი საკითხები და, საერთოდ, თავიდან იქნეს აცილებული ამ პროცესში კანონის დარღვევა. ამის უფლება პროკურორს აქვს ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე. კანონი აქ გამონაკლისს არ უშვებს.

პროკურორის მითითება, როგორც იურიდიული ფაქტი, ბადებს გარკვეულ საპროცესო ურთიერთობებს პროკურორსა და გამოძიების ორგანოებს, გამოძიების მწარმოებელ კონკრეტულ პირებს შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ უშვებს ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებზედაც პროკურორს არ ჰქონდეს მითითების მიცემის უფლება. არც გამოსაძი-

ებელი სისხლის სამართლის საქმის სირთულე, კონკრეტული დანაშაულის სახე, მისი იურიდიული კვალიფიკაცია, გამოძიების უწყებრივი კუთვნილება და სხვა ფაქტორები ხელს ვერ შეუშლის პროკურორს გამოძიების სტადიაზე გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლება-გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს. არავითარი შეზღუდვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონში ამ მიმართულებით არ არის.

პროკურორი, საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით ავალებს რა გამოძიების დაწყებას ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს, ამ მომენტიდან აქტიურად ერთვება გამოძიების ჩატარებაში და აძლევს სავალდებულო მითითებებს გამოძიების მწარმოებელ პირებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, წარმოიშობა გამოძიების პროცესში. ამასთან, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული არა მარტო კონკრეტული საქმე, არამედ ისეთი საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედება, რომელზედაც პროკურორს არ ჰქონდეს მითითების მიცემის უფლება.

პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ისეთი ფორმის - მითითების მიცემის ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მითითება შეიძლება მიეცეს სამართალდამცავი ორგანოს ნებისმიერ თანამშრომელს, გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს; ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით, რაც პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის საგანს შეადგენს; გამოძიების წარმოების სტადიაზე ნებისმიერ მომენტში; ნებისმიერ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით.

პროკურორის მითითება, რომელსაც ის აძლევს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს, ძირითადად ეხება ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედებებს, როგორიც არის დაკითხვა, ექსპერტიზის ჩატარება, ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

პროკურორის მითითება უნდა იყოს მკაფიო და კონკრეტული, მასში არ უნდა იყოს ორმაგი გაგება. მითითებაში გამოხატული უნდა იყოს ის კონკრეტული მიზანი, რომლის შესრულებაც უნდა უზრუნველყოს გამოძიების მწარმოებელმა პირმა თუ ქვემდგომმა პროკურორმა. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მომენტს, რომ მითითების მიცემით და მისი შესრულებით გამომძიებელი ან/და ქვემდგომი პროკურორი არ უნდა გადაიქცეს პროკურორის ნების უშუალო შემსრულებლად, არამედ მათ მკაფიოდ უნდა გაიგონ ის მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს, რათა შეასრულოს მითითება.

მითითება შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი ფორმის. წერილობითი მითითება ეხმარება პროკურორს — აკონტროლოს გამოძიების ორგანოების მიერ მათი შესრულების მდგომარეობა. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიცემული წერილობითი მითითება უნდა იდოს სისხლის სამართლის საქმეში[1]. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ პროკურორს არ აქვს ზეპირი მითითების მიცემის უფლება. რა თქმა უნდა, ასეთ მითითებას აქვს რჩევის, რეკომენდაციის ხასიათი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება. თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან გამოძიება სხვა გამომძიებელს დაავალოს. ამასთან, გამომძიებლის მიერ პროკურორის მითითების გასაჩივრება არ აჩერებს საქმის წარმოებას. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე საბოლოოა.

პროკურორისა და გამომძიებლის ურთიერთობის ასეთი წესი არავითარ შემთხვევაში არ ასუსტებს პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიებაზე. პროკურორის მიერ გამოძიებისას მითითების მიცემა, როგორც იურიდიული ფაქტი,

---

[1] Жогин Р. В. Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. Юридическая литература. 1968 г. стр. 80-81

ხელს უწყობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, გამომძიებლის ან/და ქვემდგომი პროკურორის აქტივობას და ინიციატივას, ზრდის მათ პასუხისმგებლობას საქმეზე[1].

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან/და ქვემდგომი პროკურორისათვის გამოძიებისას სავალდებულო მითითების მიცემა არის პროკურორის მთავარი ინსტრუმენტი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისათვის. პროკურორი მითითების მიცემის გზით ეხმარება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს, გამომძიებელს და ქვემდგომ პროკურორს გამოძიების დროს დაშვებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევების აღკვეთა-აცილების, მათ წინაშე მდგომი ამოცანების ეფექტიანად და პროფესიულ დონეზე გადაწყვეტის საქმეში. პროკურორს ამ ეტაპზე, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, შეუძლია რეკომენდაცია მისცეს ზემოთ აღნიშნულ პირებს სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების, დამატებითი ვერსიების შემოწმების შესახებ და დაეხმაროს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. სწორედ პროკურორის მხრიდან ამგვარი ფუნქციის განხორციელება შედის მისი, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის გაგებაში. პროკურორი თავის საქმიანობაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სახელისუფლებო-განმკარგულებელი უფლებამოსილებით. საჭირო შემთხვევაში ის გამოძიებისას უნდა აძლევდეს სავალდებულო მითითებას პროცესის მწარმოებელ პირებს, გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს. ეს პროკურორისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებაა და მის რეალიზაციას იგი უნდა ახდენდეს გამოძიების სტადიაზე.

პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია დაკარგავდა თავის მნიშვნელობას და ეფექტურობას, თუ ამ სტადიაზე ის არ გამოიყენებდა საპროცესო ხელმძღვანელობის ისეთ ფორმას, როგორიც არის მითითების მიცემა. პროკურორის საპროცესო საქმიანობის სხვა ფორმებთან ერთად, სწორედ ეს ფორმა ასრულებს მასტიმულირებელ როლს

[1] Гусев Л. Н. Процессуальное положение следователя в уголовном процессе. Госюриздат. 1959 г. стр. 321.

პროკურორის უფლებამოსილების სრულყოფილი და ეფექტური განხორციელებისათვის.

როგორც აღინიშნა, პროკურორის მიერ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან/და ქვემდგომი პროკურორისათვის სავალდებულო მითითების მიცემა არა მარტო მისი უფლება, არამედ მოვალეობაც არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა წარმოიშობა ამ საპროცესო ფუნქციის შესრულებისა და გამოყენების აუცილებლობა, რაც საპროკურორო საქმიანობის პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება.

პროკურორის ამგვარი საპროცესო საქმიანობა უზრუნველყოფს გამოძიებისას დაშვებული საპროცესო დარღვევების გამოვლენას და აღმოფხვრას. პროკურორის მხრიდან აღნიშნული და მსგავსი საპროცესო ფუნქციების განხორციელება მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფორმები ხასიათდება პროკურორის საპროცესო მდგომარეობით და ზუსტად გამოხატავს მისი საქმიანობის არსს გამოძიების სტადიაზე.

პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის საქმიანობის არსი ამ კუთხით იმაში გამოიხატება, რომ პროკურორი გამოძიების სტადიაზე აწესებს რა საპროცესო ხელმძღვანელობას საქმის გამოძიებაზე, მიზნად ისახავს ყველა კონკრეტულ საქმეზე ჩატარებული იქნას კანონიერი და ობიექტური გამოძიება, დადგენილი იქნას სრული ჭეშმარიტება და ყველა კონკრეტული დამნაშავე პირი დაისაჯოს, რაც ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის ძირითადი ამოცანაა.

პროკურორი უნდა ისწრაფვოდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს ყველა თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს სისხლის სამართალწარმოებაში და გამოძიების მწარმოებელი პირი თავის საქმიანობაში სრულად, განუხრელად ასრულებდეს კანონის მოთხოვნებს საქმეზე სრულყოფლი და ობიექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გამოძიების დროს წამოჭრილი საკითხების გამო, რომელიც მოითხოვს სათანადო შემოწმებას და სამართლიან გადაწყვეტას, პროკურორი ყოველთვის უნდა იყოს საქმის კურსში, რომელიც ფაქტობრივად გამოძიების ხელმძღვანელია და უნდა ღებულობდეს საჭირო ზომებს გამოძიებისას კანონიერების

დარღვევების გამოვლენისა და მისი თავიდან აცილების მიზნით. ამ ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სწორედ გამოძიებისას გამოძიების მწარმოებელი კონკრეტული პირისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისათვის სავალდებულო მითითების მიცემა წარმოადგენს, რაც პროკურორის მიერ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელების ფართოდ გავრცელებული ფორმაა.

დ). სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულით პროკურორს საშუალება ეძლევა ღრმად, სრულად, ყოველმხრივ საფუძვლიანად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას, საქმეზე ჩატარებულ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებს, მისთვის საჭირო სხვა მასალებს.

სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალების ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმის მოთხოვნა გარკვეულად ხელს უწყობს პროკურორს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების და გამოძიების სტადიაზე კანონიერების დარღვევების გამოვლენის საქმეში. როგორც აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ძირითადი ფორმებია კანონიერების დარღვევის გამოვლენა და მათი აღკვეთა. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალების ან მთლიანად საქმის გამოთხოვა და მისი გაცნობა გარკვეულად ამ მიზნებსაც ემსახურება. მათი გამოთხოვის და გაცნობის გარეშე პროკურორი, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ მოახერხებს ამ მიმართულებით მისი საპროცესო ფუნქციის შესრულებას. ამდენად, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის ან ცალკეული მასალების გამოთხოვა და მათი ყურადღებით გაცნობა პირველი და მთავარი პირობაა, რაზედაც დამოკიდებულია გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის შემდგომი წარმატება.

გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, საპროკურორო საქმიანობის პრაქტიკამ სისხლის სამართლის საქმის ან ცალკეული მასალების გაცნობისათვის შეიმუშავა რამდენიმე მეთოდი. მათ შორის მთავარია პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის ან ცალკეული მასალების გამოთხოვა მათი შესწავლისა და შემოწმების მიზნით. პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, შეუძლია გამოძიების სტადიაზე გამოძიების ორგანოებსა და პირებს ასეთი მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე. თავის მხრივ, ისინი ვალდებული არიან შეასრულონ პროკურორის ეს მოთხოვნა, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და გადაუგზავნონ მას არა მარტო კონკრეტული სისხლის სამართლის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე, არამედ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ნებისმერი სხვა დოკუმენტები, ცნობები და მასალები.

პროკურორის მიერ გამოძიებაზე ხელმძღვანელობის ამგვარი ფორმის გამოყენების დროს არ წარმოიშობა საკითხი პროკურორის უფლებების ზღვარის შესახებ სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალების ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვასა და გაცნობასთან დაკავშირებით.

პროკურორის მიერ უშუალოდ საქმის ან საქმის მასალების გამოთხოვა წარმოადგენს უდავო, ყველაზე შედეგიან მეთოდს მასალების გასაცნობად. პროკურორს უფლება აქვს, აგრეთვე, გამომძიებლისაგან მოისმინოს საქმეზე გამოძიების მიმდინარეობა. ამასთან, კონკრეტულ საქმეზე გამომძიებლის ინფორმაცია ყოველთვის უნდა დაექვემდებაროს პროკურორის მხრიდან საქმის ან მასალების გამოთხოვას და უშუალოდ მის გაცნობას, რის საშუალებითაც პროკურორი შეძლებს სისხლის სამართლის საქმის ან მისი ცალკეული მასალების უფრო ღრმად და სრულად გაცნობას.

ე) პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების

ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების მისაღებად, აგრეთვე სსს კოდექსით გათავალისწინებულ სხვა შემთხვევაში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

პროკურორს, როგორც სამართალწარმოების მხარეს, საქართველოს სსს კოდექსის 93-ე მუხლის საფუძველზე, გამოძიების სტადიაზე შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ განჩინების მისაღებად.

როგორც წესი, ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად პროკურორს სასამართლოში შუამდგომლობა შეაქვს წერილობითი ფორმით. აღნიშნულ საკითხებზე პროკურორის მიერ სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ პროკურორის მოთხოვნის არსი და შემდეგ მოთხოვნის შესაბამისი არგუმენტაცია. პროკურორის შუამდგომლობა უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რასაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

პროკურორს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი მასალები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისათვის.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, ხოლო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე — გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში პროკურორის მიერ უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ემყარება ბრალდება და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება, რათა სასამართლოს მიეცეს შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების საშუალება. პროკურორი სასამართლოში შუამდგომლობას ზეპირად ასაბუთებს.

სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა, ხოლო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობის წარდგენისას — მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლის აუცილებლობა.

პროკურორი უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის გარდა, მაგისტრ მოსამართლეს გამოძიების ადგილი მიხედვით მიმართოს ასევე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ. პროკურორის მიერ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს, რა ახალი გარემოებები გამოვლინდა, რომლებიც არ იყო ცნობილი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას და უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებანი (მასალები) ამ ახალი გარემოების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვისას, პროკურორი ვალდებულია გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, რომლის შესაბამისადაც უნდა განსაზღვროს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახე და მიმართოს სასამართლოს ბრძანების მისაღებად.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის შეტანის შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს და გამოაქვს შესაბამისი განჩინება. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო ატარებს ზეპირ მოსმენას, ღებულობს შესაბამის განჩინებას და აცხადებს მის სარეზოლუციო ნაწილს.

გარდა ამისა, წინასწარი გამოძიების სტადიაზე თუ საჭიროა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სათანადო

ორგანოების მიერ სხვადასხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, პროკურორი უფლებამოსილია ამ ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. პროკურორის ეს უფლებამოსილება იქიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული ორგანოების მიერ ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა ჩხრეკა, ამოღება, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და სხვა, გარდა გადაუდებელი აუცილებელი შემთხვევებისა, მოსამართლის ბრძანებას საჭიროებს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ვინაობა, წარდგენილი ბრალდების არსი, მითითება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან მასზე უარის თქმის შესახებ, რომელი თანამდებობის პირი და ორგანოა ვალდებული შეასრულოს განჩინება და მისი გასაჩივრების წესი, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად ეგზავნება პროკურორს. განჩინება ხელმოწერილი უნდა იყოს მოსამართლის მიერ და დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

3) პროკურორს თავისი უფლებამოსილების გამოყენებით შეუძლია გამოძიების სტადიაზე გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო დადგენილება. პროკურორის საქმიანობის ეს სფერო მიმართულია იქითკენ, რომ დროულად იქნას აღმოფხვრილი და აღკვეთილი გამომძიებლის ან პროკურორის მიერ არასწორი დადგენილების მიღებით გამოწვეული კანონის დარღვევა და სხვა შედეგები.

გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული დადგენილების გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი დაადგენს, რომ მათ მიერ მიღებული დადგენილება არ შეესაბამება კანონს, ისინი გამტკიცებული არ არის შესაბამისი მასალებით და მტკიცებულებებით. იღებს რა გადაწყვეტილებას გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის ასეთი უკანონო დადგენილების გაუქმების შესახებ, პროკურორის მთავარი მიზანია აღდგენილი იქნას დარღვეული კანონი, დამონსტრირებულ იქნას მისი მხრიდან კანონიერებისა და სამართლიანობის გარანტია. ეს საქმიანობა თავისი ხასიათით სამართალდარღვევის აღკვეთისა და სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი სახეა[1].

გააუქმებს რა გამომძიებლისა და ქვემდგომი პროკურორის დადგენილებას, პროკურორს გამოაქვს შესაბამისი დადგენილება, რომელშიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს დადგენილების გაუქმების მოტივი. მას საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს უკანონო ან დაუსაბუთებელი დადგენილების გამომტან კონკრეტულ გამომძიებელს ან პროკურორს მისცეს სათანადო მითითება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ დაშვებული დარღვევების აღსაკვეთად და კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

პროკურორის დადგენილება გამომძიებლისა და ქვემდგომი პროკურორის დადგენილების გაუქმების შესახებ უნდა იყოს სამართლიანი, დასაბუთებული და შესაბამისი კანონის ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

გამომძიებლისა და ქვემდგომი პროკურორის მიერ გამოტანილი უსაფუძვლო და არაკანონიერი დადგენილება შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, სისხლის სამართლის საქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, შეწყვეტის დროს დაშვებულ დარღვევებს და სხვა.

---

[1] Галькин Б. А. Уголовно-процессуальный закон. Госюриздат. 1962 г. стр.68; Лейст О. Е. Природе и путях преобразования санкции права. Советское государство и право. 1963 г, №1, стр. 47; Каминская В. Н. Уголовно-процессуальный закон – в кн: Демократические основы советского социалистического правосудия. под. ред. М. С. Строговича, стр. 111-120; Елкинд П. С. Талкование и применение норм уголовно-процессуального права. Юридическая литература. 1967 г, стр. 22-31; Добровольская Т. Н. Принципы уголовного процесса. Юридическая литература. 1971 г, стр. 58-65.

რა თქმა უნდა, გამოძიების სტადიაზე პროკურორის მხრიდან გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის მიერ გამოტანილი უკანონო დადგენილების გაუქმება უაღრესად რადიკალური ზომაა, რომლის გამოყენებას ზოგჯერ შეუძლია სისხლის სამართალწარმოების პროცესის საფუძვლიანი შეცვლა, მაგრამ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო უფლებამოსილებიდან გამომდინარე ასეთი საქმიანობა გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი საშუალება და ხერხია, რომელიც პროკურორის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც არის. ის მთლიანად შეესაბამება პროკურორის საქმიანობის გადამწყვეტ როლს გამოძიების სტადიაზე. სხვაგვარად პროკურორი გამოძიების სტადიაზე ვერ შეძლებს მისი საპროცესო ფუნქციის განხორციელებას და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციას.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში არის მიჩნეული, გამოძიების სტადიაზე პროკურორის უფლებამოსილების მყარი გარანტია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მას შეუძლია გააუქმოს გამომძიებლის და ქვემდგომი პროკურორის ნებისმიერი დადგენილება, თუ ჩათვლის მას უსაფუძვლოდ და არაკანონიერად.

ზ) გამოძიების სტადიაზე პროკურორისათვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა შორის მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების უფლება.

საქართველოს სსს კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულია გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები:

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;

თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

ლ) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლები და იმავე კოდექსის 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევები);

მ) თუ ვითარება შეიცვალა.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

გ) ბრალდებული გარდაიცვალა.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პი-

რის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] ან/და 143[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

როგორც სსს კოდექსის ზემოთ აღნიშნულ მუხლშია გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას, რომლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საჯაროა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალ-ცალკე განვიხილოთ პროკურორის მიერ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები.

უპირველესი საფუძველი, რის გამოც საქმეზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. თუ გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი არ ჰქონია დანაშაულს, ანუ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებიდან ერთ-ერთი რომელიმე არ არის სახეზე, მაშინ საქმეზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დანაშაულის ჩადენის შესახებ შემოსულ ინფორმაციაზე იწყება გამოძიება, ტარდება გარკვეული სახის საგამოძიებო მოქმედებები, მაგრამ თუ ამ შემოწმებით არ დადასტურდა როგორც შემოსულ შეტყობინებაში აღნიშნული ცნობების სისწორე, ასევე ცნობაში მითითებული დანაშაულებრივი ქმედების არსებობა, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონი, როგორც გამოძიება, ასევე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გამოძიების პროცესში დგინდება პირის უდანაშაულობა კონკრეტულ ქმედებაში, როცა საქმეზე ამოწურულია ყველა შესაძლებელი და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების საშუალება პირის გამოაშკარავებისა და მისი დანაშაულში მხილებისათვის. ეს

გარემოებებიც, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ავალდებულებს პროკურორს ამავე სტადიაზე მიიღოს შესაბამისი სამართლიანი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მაგ. შემოსული განცხადების საფუძველზე თანამდებობის პირი იმხილება სამსახურებრივი სიყალბის ჩადენაში, მაგრამ გამოძიებით იგი არ დადასტურდა. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

დანაშაულის შესახებ შემოსული ინფორმაციის შემოწმების დროს, აუცილებელია გაირკვეს, არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო კონკრეტული ჩადენილი ქმედება, რადგან მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. როცა დანაშაულის შესახებ შემოსული შეტყობინების შემოწმებით დადგინდება, რომ განცხადებაში მითითებულ კონკრეტულ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ ისეთ გარემოებებში, როგორიც არის აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დამნაშავის შეპყრობის, მართლზომიერი რისკის ან სხვა ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. მაგ, თუ დადგინდა, რომ ერთ-ერთმა პირმა მოკლა მეორე უკიდურესი აუცილებლობის გამო ან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, გამოძიება კონკრეტულ საქმეზე და ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, რადგან ამ შემთხვევაში მკვლელის მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ის მიჩნეულია მართლზომიერ ქმედებად, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არ ითვლება დანაშაულად.

საქართველოს კანონმდებლობით, როგორც წესი, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს. მაგრამ, საქართველოს სს კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, დაშვებულია გარკვე-

ული გამონაკლისი ამ მიმართულებით და სისხლის სამართლის კანონს გააჩნია უკუძალა იმ შემთხვევაში, როცა ის აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს. ე. ი. ახალი კანონის მოქმედება ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილი იქნა მის მიღებამდე. ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ საქმეზე როგორც გამოძიება, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ისეთი გარემოება, როცა არაკონსტიტუციურად არის ცნობილი ის კანონი, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში ემყარება ბრალდება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მიხედვით, კონსტიტუციური კონტროლის უზენაესი ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც, ზემოთ აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, გაჩნია შესაბამისი უფლებამოსილება — სათანადო კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხი. პრაქტიკულად, თუ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდება ემყარება არაკონსტიტუციურად ცნობილ კანონს, ეს არის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს სს კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, სსს კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სს კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საერთოდ, ხანდაზმულობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ გარკვეული ვადების გასვლას, რაც დადგენილია სისხლის სამართლის კანონით. კერძოდ, პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ხანდაზმულობის ვადის გამო, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი

წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ[1]) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–342[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

რაც შეეხება საკითხს — უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს — მას წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, ამ შემთხვევაში უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება აგრეთვე იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა განპირობებულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიზანშეუწონელია სასჯელის გამოყენება სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან, დანაშაულის გამოძიებაც ძნელდება, ცალკეულ შემთხვევებში კი შეუძლებელიც ხდება, რადგან ქრება დანაშაულის კვალი, რთულდება

მტკიცებულებათა მოპოვება და ა.შ[1].

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა დასაშვებია აგრეთვე ამნისტიის აქტის საფუძველზე. როგორც წესი, ამნისტიას, რაც პატიებას ნიშნავს, აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტია არის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასევე სასჯელისაგან პირის გათავისუფლების საფუძველი და იგი გამოიყენება როგორც ბრალდებულის, ასევე მსჯავრდებულის მიმართაც.

საქართველოს სს კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამავე მუხლის თანახმად, ამნისტიის აქტით შესაძლებელია ასევე პირს მოეხსნას ნასამართლობა.

როგორც წესი, ამნისტიის აქტის საფუძველზე მხოლოდ იმ ბრალდებულის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, თუ ამნისტიის აქტი ეხება ცალკეულ დანაშაულის ჩამდენ პირებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. ამნისტიის აქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისათვის აუცილებელია თვით ბრალდებულის თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ სურს ამნისტიის აქტის საფუძველზე გათავისუფლდეს, რადგან თვლის, რომ ის უდანაშაულოა და ითხოვს სრულ რეაბილიტაციას გამართლების სახით, ასეთ შემთხვევაში საქმეზე წარმოება არ წყდება, სამართლწარმოება გრძელდება და ის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით მთავრდება.

გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი

[1] სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი 2008 წელი. გვ. 105.

დევნის არდაწყების ან შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველია ასევე იმავე ბრალდების გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან/და იგივე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს განჩინების არსებობა. ამ გარემოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნას მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მას განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იგივე დანაშაულისათვის, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში, არცთუ იშვიათია შემთხვევები ამგვარი საფუძვლის არსებობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება უნდა შეწყდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ კონკრეტულ საქმეზე არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რომელიც არ არის გაუქმებული. ამ საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ადრე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებობს პროკურორი დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ და ამის შემდეგ იმავე დანაშაულებრივ ფაქტზე და იმავე ბრალდების საქმეზე განმეორებით შემოვა შეტყობინება დანაშაულის ფაქტთან ან მის ჩამდენ პირთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

როგორც აღინიშნა, პროკურორი არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, რომელიც მოქმედებს რა სახელმწიფოს სახელით, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს აძლევს უფლებას სსს კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უარი თქვას ბრალდებაზე. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზეც უარის თქმას ნიშნავს, რადგან არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საგანი — ბრალდება. ამ მოტივით სისხლისსამართლებრივი დევ-

ნაც უნდა შეწყდეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, აგრეთვე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. საქართველოს სს კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რომლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამ შემთხვევაში პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილ ქმედებაზე, თუ ის სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით ხელის აღება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველია, მაგრამ კანონის თანახმად, აუცილებელია იმ პირობის შესრულება, რომ პირმა დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე.

აქედან გამომდინარე, თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

საქართველოს სს კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო. ამ ნორმით, კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. ქმედითი მონანიება გულისხმობს ბრალდებულის აქტიურ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულის შედეგების თავიდან აცილებას. ქმედითი მონანიება სისხლის სამართალში განიხილება, როგორც ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება.

როგორც აღინიშნა, ქმედითი მონანიება გულისხმობს ბრალის აღიარებით ნებაყოფლობით გამოცხადებას, დანაშაულის გახსნისათვის ხელშეწყობას და ზიანის ანაზღაურებას.

ბრალის აღიარებით ნებაყოფლობით გამოცხადება ნიშნავს, რომ კონკრეტული დამნაშავე პირი ნებაყოფლობით გამოცხადდა გამოძიების მწარმოებელ ორგანოში, აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული. რაც შეეხება დანაშაულის გახსნისათვის ხელშეწყობას, იგი გამოიხატება გამოძიების ორგანოებთან აქტიურ თანამშრომლობაში, მათთვის დანაშაულის ჩადენის ადგილის, ხერხის, დროის და სხვა გარემოებათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, ხოლო ზიანის ანაზღაურებაში კი იგულისხმება დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ქმედითი მონანიების გამო, რაშიც იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლები და იმავე კოდექსის 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევები, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ასევე ვითარების შეცვლა. სისხლის სამართლის კანონის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ვითარების შეცვლის გამო ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია. ვითარების შეცვლა შეეხება კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას და არა დამნაშავის პიროვნებას. ვითარების შეცვლა დანაშაულის ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ობიექტური ცვლილებაა, რომლის გათვალისწინება ხდება კონკრეტულ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დროს, რადგანაც ვითარების შეცვლის გამო პირზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება აღარ არის მიზანშეწონილი, რაც, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველიც ხდება.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს აგრეთვე, თუ პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; ბრალდებული გარდაიცვალა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322^1, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ანდა 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო. განვიხილოთ თითოეული ეს გარემოება ცალცალკე.

საქართველოს სს კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

გამოძიების მწარმოებელი ორგანო და პირები ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაულის ჩამდენი პირის, ანუ დანაშაულის სუბიექტის ასაკი, რაც აუცილებელია მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, რადგან თუ დადგინდა, რომ დანაშაულის სუბიექტი სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტობრივი მონაცემით არ არის მიღწეული კანონით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმ პირს, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ან/და ეხელმძღვანელა მისთვის. ე. ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება დანაშაულის სუბიექტს, რომელსაც ორი ნიშანი ახასიათებს — ასაკი და შერაცხადობა.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით თუ დადგინდა, რომ პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. ამასთან, სავალდებულოა, პირის შერაცხადობის საკითხი დადასტურებული იყოს სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით.

ბრალდებულის გარდაცვალება არის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები და საქმის წარმოება გაგრძელდება გარდაცვლილის მიმართ, როცა დანაშაულებრივ ქმედებაში ინკრიმინირებული გარდაცვალებულის დამცველი, მისი ნათესავი, პროკურორი ან სხვა დაინტერესებული პირი მოითხოვს მის რეაბილიტაციას, ანუ როცა საქმის შემდგომი წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისათვის, როცა საქმეში მოიპოვება ისეთი მასალები, რომლებიც მიუთითებს გარდაცვლილის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობაზე, ან თუ საქმის წარმოების დროს დაშვებულია ისეთი შეცდომა, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა გარდაცვალებულის ბრალეულად ცნობაზე, ასევე თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჭიროა გამოძიების ჩატარება სხვა პირთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა შეიძლება, თუ პირს ბრალი ედება საქართველოს სს კოდექსის 322^1 (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა), 344-ე (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) და 362-ე (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მუხლებით ჩადენილ დანაშაულში, რაც მან ჩაიდინა იმის გამო, რომ იგი დაზარალებულად იყო ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის - სს კოდექსის 143^1 მ) ან/და არასრულწლოვანთა ვაჭრობის (სს კოდექსის 143^2 მ) დანაშაულთა საქმეებზე. ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა მიზნად ისახავდა ტრეფიკინგისაგან თავის დაღწევას. რა თქმა უნდა, კონკრე-

ტულ შემთხვევაში, პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, რაც მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია, მაგრამ კანონმდებელი ამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტის დროს ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ის იყო სხვა დანაშაულის მსხვერპლი, რაც განხორციელდა სხვადასხვა გზით, რასაც ადამიანით და არასრულწლოვანით ვაჭრობა ითვალისწინებს და სურდა განთავისუფლებულიყო ამ დანაშაულთა მძიმე შედეგებისაგან, რის გამოც მის მიერ ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა იყო მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა, ამიტომ, ასეთ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით. ეს დადგენილება სასამართლოში არ საჩივრდება. იგი დაზარალებულმა შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

როგორც აღინიშნა, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების სახით, რომელიც შედგება შესავალის, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს დადგენილების შედგენის დრო და ადგილი, პროკურორის გვარი, თანამდებობა, ცნობები განსახილველი საქმის შესახებ.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში გადმოცემული უნდა იყოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, გარემოებები, რომლებიც გაირკვა საქმეზე ჩატარებული გამოძიებით და რომლებიც განაპირობებენ გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. დადგენილებაში, როგორც წესი, აუცილებელია მოცემული იყოს საქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ღრმა ანალიზი, რაც უნდა გამომდინარეობდეს საქმეზე შეკრებილი მასალებიდან.

სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროკურორის გადაწყეტილება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აგრეთვე, გამოძიების სტადიაზე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, საქმეზე თანდართული ნივთიერი მტკიცებულებებისა და საქმეზე სამოქალაქო სარჩელის არსებობის შემთხვევაში მისი ბედის შესახებ.

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის დამცველს და დაზარალებულს. ამასთან, დადგენილების ასლები ეგზავნებათ ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო საქმეზე გამოძიება. ამავე დადგენილებაში აღნიშნულ პირებს უნდა განემარტოთ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გასაჩივრების უფლებისა და წესის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეზე მარეაბილიტირებელი გარემოებების საფუძველზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, დადგენილებაში შეტანილი არ უნდა იქნას ისეთი ფორმულირება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს პირის უდანაშაულობას.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებას. სსს კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება ან სასამართლომ გააუქმა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების უფლება აქვს პროკურორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ, რაზედაც გამოაქვს შესაბამისი დადგენილება.

სსს კოდექსის 167-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლები, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეჩერდეს:

ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრის, სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

როგორც აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეჩერდეს, თუ საქართველოს პარლამენტმა არ მისცა თანხმობა საქართველოს პარლამენტის წევრის, სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე; საქართველოს საკოსტიტუციო სასამართლომ არ მისცა თანხმობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცა საერთო სასამართლოების მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება აგრეთვე უცხოელი მოქალაქეების მიმართ, როცა საგამოძიებო ორგანოების მიერ შესაბამის ორგანოებში დასმულია საკითხი უცხოელი დამნაშავე პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნა ამ შემთხვევაში ჩერდება აღნიშნული საკითხის, ანუ იმუნიტეტის ჩამორთმევის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე.

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში. ეს მუხლებია ადამიანით და არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). როგორც აღინიშნა, ამ კატეგორიის დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეჩერდეს.

სასამართლო ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში, შესაძლებელია, საერთო სასამართლოში კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს ამ კონკრეტული განსახილველი საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეული იქნეს არაკონსტიტუციურად. აღნიშნულის გამო ის უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლოში საქმის განხილვა და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნა შეჩერდება მოსამართლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონში აღნიშნულ ამ გარემოებათაგან, გარდა სსს კოდექსის 167-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტისა, ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ, რომელიც უნდა იყოს მოტივირებული, დასაბუთებული და გამომდინარეობდეს საქმის იმ კონკრეტული გარემოებებიდან, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველია. თუ ზემოთ აღნიშნული შეჩერების საფუძვლები აღარ არსებობს, საქმეზე სისხლისსამართლებრივი

დევნა უნდა განახლდეს, რაზედაც პროკურორს გამოაქვს შესაბამისი დადგენილება.

თ) გამოძიების სტადიაზე პროკურორი უფლებამოსილია გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს.

გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გამო საჩივრის გადაწყვეტა გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, გამომძიებლის საქმიანობაში კანონიერების დარღვევის აღმოფხვრის ერთ-ერთი მეთოდია.

საქართველოს სსს კოდექსით, სამართალწარმოების მონაწილე მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედება ან/და დადგენილება. პროკურორი ვალდებულია განიხილოს აღნიშნული საჩივარი ყოველმხრივ, შეამოწმოს მასში ჩამოყალიბებული მოსაზრებები და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად. მას უფლება აქვს საჩივრის განხილვის დროს საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი მასალები და განმარტებები საჩივარზე, როგორც იმ პირისაგან, ვის მიმართაც იხილება საჩივარი, ასევე საჩივრის შემტანი პირისაგან.

პროკურორის მიერ საჩივარი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს მისთვის საჩივრის გადაცემიდან სამ დღეში. საჩივრის განხილვის შედეგად, პროკურორი ღებულობს გადაწყვეტილებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის და საჩივრის უარყოფის შესახებ. თუ მხარის საჩივარი შეტანილია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილება.

პროკურორი ვალდებულია საჩივარზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მომჩივანს. თუ პროკურორის მიერ მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მას უნდა განე-

მარტოს კონკრეტული მოტივი საჩივრის უსაფუძვლობის შესახებ და გადაეცეს გადაწყვეტილების ასლი, ასევე განემარტოს გასაჩივრების წესი.

პროკურორი უფლებამოსილია აგრეთვე სამართალწარმოების მონაწილე მხარეთა მიერ გამომძიებლის მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს.

ი) გამოძიების სტადიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი.

პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.

ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი; ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით; გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში აღნიშნული გარემოებები უმჯობესია ფორმულირებელი იყოს ისეთი ფორმით, რომ სრულყოფილად იყოს აღწერილი დანაშაულის მთლიანი მექა-

ნიზმი. საერთოდ, დადგენილებას პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია საქმის შემდგომი წარმატებებისათვის, რადგან დადგენილებით თანაბრად არის დაინტერესებული როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე.

დადგენილებაში აღიწერება დანაშაულებრივი ქმედების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მხარე და ამით ძალზე ნათლად განისაზღვრება გამოძიების საგანი. გამომძიებლის მოქმედება კი უფრო მიზანმიმართული ხდება.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ქმნის პროცესის კიდევ ერთ მონაწილეს, რომელსაც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს ჰყავდეს დამცველი.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის საპროცესო და არა სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტია[1].

ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს. დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გადაეცემა ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს. თუ ბრალდებული ან მისი ადვოკატი უარს ამბობს დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე, დადგენილებაზე აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა შესაძ-

[1] სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი, თბილისი 2008 წ. გვ. 32

ლებლობა, 48 საათში დანიშნოს ადვოკატი. თუ იგი ამ ვადაში არ დანიშნავს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად. ბრალდებულის ადვოკატი წერილობით ადასტურებს ბრალდების გაცნობის ფაქტს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გარკვეულ პირთა წრის მიმართ ადგენს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის განსხვავებულ წესს.

საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

პროკურორს უფლება აქვს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას წარდგენილი ბრალდება შეცვალოს ან შეავსოს და პირს ახალი ბრალდება წარუდგინოს. გამოძიების მიმდინარეობის დროს პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გამოძიების მიმდინარეობის დროს წარდგენილი ბრალდება შესაბამისი მტკიცებულებების შეკრებისა და მისი შეფასების შემდეგ მოითხოვს მის დაზუსტებას, შევსებას ან შეცვლას, ამიტომ პროკურორს ამისათვის მინიჭებული აქვს საპროცესო უფლებამოსილება, რათა განახორციელოს ეს ფუნქციები. ბრალდების დაზუსტების, შევსების შემდეგ, რაც თავისთავად იწვევს მის შეცვლას, პროკურორი ვალდებულია პირს ახალი ბრალდება წაუყენოს. ბრალდების შეცვლა და ახალი ბრალდების წაყენება ხდება სსს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმავე წესებით, როგორც პირველი ბრალდების წარდგენის დროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროკურორი არის სისხლის-სამართლებრივი დევნის სუბიექტი, რომელიც მოქმედებს რა სახელმწიფოს სახელით, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს აძლევს უფლებას სსს კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით სასამართლოში დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვს ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე. სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც ის ეყრდნობა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ.

ვ) პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოჩენა გარკვეულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის XXI თავში და რომლის მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. იმის მიუხედავად, რომ საპროცესო შეთანხმება იწვევს მრავალ შეკითხვასა და პრობლემას პრაქტიკაში გამოყენებისას, მისი არსი ისაა, რომ ბრალსა და სასჯელზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა, სანამ ის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თავის ადგილს დაიმკვიდრებდა, განვლო თავისებური ისტორიული გზა.

ხსენებული ინსტიტუტის მიღებას, ბუნებრივია, ჰქონდა საკმარისი საფუძველი და მიზეზები. პირველ რიგში, ეს იყო საქართველოს სსს კოდექსის ძალზე ფორმალიზებული, დროში

გაწელილი პროცედურები, ცალკეული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას არსებული სიძნელეები, ვადის დარღვევები და სხვა უარყოფითი შედეგები[1].

საქართველოს სსს კანონმდებლობაში, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებას თავიდანვე არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. მეცნიერთა ნაწილი ბრალის აღიარების შესახებ საკანონმდებლო კონსტრუქციის გადმოტანას ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უარყოფითად აფასებდა[2]. ზოგჯერ თეორიაში გამოთქმული იყო რადიკალური შეხედულებაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების იდეა მცდარია და ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს, არამედ მთლიანად მის ძირითად დებულებებსაც[3].

სხვა ავტორები ასევე უარყოფითად აფასებდნენ საპროცესო შეთანხმების შემოღებას და მიაჩნდათ, რომ როგორც თვით პრინციპი - საპროცესო შეთანხმება, ასევე ეს ინსტიტუტი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებსა და პრინციპებს, ამასთან, მისი სრულყოფის მიზნით გვთავაზობდნენ ცალკეულ ნოვაციებს[4].

პროფესორი ნ. გვენეტაძე არ ეთანხმება საპროცესო შეთანხმების ორ საფუძველს, ბრალზე შეთანხმებისა და სასჯელზე შეთანხმების - ორად გაყოფას და მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველის ორად გაყოფა ფორმალური აღმოჩნდა და ისედაც არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას

---

[1] გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბილისი, 2007 წელი, გვ. 42.

[2] გ. მეფარიშვილი. სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუტები და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 16 მაისი, 116.

[3] გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, 3, გვ. 103-104.

[4] ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, 3, გვ. 117-153.

კიდე უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა, რადგან ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზე შეთანხმებას, მით უმეტეს, ორივე შემთხვევაში იმ დროისათვის ამის პირობა ერთი და იგივე იყო[1].

პროფესორი ნ. გაბრიჩიძე, რომელმაც საქართველოს სსს კოდექსში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებისთანავე პირველმა მიუძღვნა სამეცნიერო სტატია მის ცალკეულ საკითხებს, სამართლიანად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ახლად ამოქმედებული საპროცესო კანონმდებლობის საზომი, პირველ რიგში, მაინც პრაქტიკაში რეალიზაციაა, სწორედ პრაქტიკაში ვლინდება კანონმდებლობის შუქ-ჩრდილი და მომავალში ამ თემაზე საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, მეცნიერული გამოკვლევები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ უფრო სრულყოფილი და დახვეწილი გახდება მისი ცალკეული დებულებები. ამასთან, მისი აზრით, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისათვის ერთგვარ მასტიმულირებელ (წამახალისებელ) ნორმას წარმოადგენს[2].

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების დროს საქართველოს კანონმდებლების მიერ გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება და მის საფუძველზე 2004 წლის 13 თებერვალს შემოღებული იქნა საპროცესო შეთანხმება, რომლის ძირითად საპროცესო დებულებებში, კერძოდ, ახალ სსს კოდექსის XXI თავში, სადაც გათვალისწინებულია საპროცესო შეთანხმება, შესულია მრავალი შესწორება და დამატება, რაც ბუნებრივად მიგვაჩნია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, ხოლო საპროცესო სეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე

[1] ნ. გვენეტაძე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ევროპული კონვენცია, VII ოქმი და საპროცესო შეთანხმება. ბროშურა. სამართლიანი სასამართლო უფლება. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. თბ. 2005 წ.გვ.22-23

[2] ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 2, 2004 წ, გვ. 59, 63.

საქართველოს სსს კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების შეთავაზება, როგორც პროკურორის, ასევე ბრალდებულისა და მოსამართლის უფლებაა.

საპროცესო შეთანხმების არსიდან გამომდინარე, სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წაყენებულ ბრალს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულ გათავისუფლებას. ბრალდებულთან სასჯელზე შეთანხმების შედეგად პირი ითვლება ნასამართლევად.

საპროცესო შეთანხმების დროს, სსს კოდექსის 209-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებულმა უნდა აღიაროს ჩადენილი დანაშაული. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია ბრალდებული გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, ამავე მუხლით გათვალისწინებულია გარკვეული გამონაკლისი, კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. კანონის თანახმად, ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

საქართველოს სსს კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

ამავე მუხლში ჩამოთვლილია ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგი აუცილებელი პირობები, რაც უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა, კერძოდ: საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი.

საპროცესო შეთანხმების დადების დროს საჯარო ინტერესის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ პროკურორი მაქსიმალურად შეეცდება საპროცესო და მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებში თანამდებობის პირისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის მიზნით სარჩელით მიმართონ სასამართლოს[1].

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმების დადება დაიშვება როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მიმართ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებელი გვთავაზობს გარკვეულ შეზღუდვას, როცა ბრალზე ან სასაჯელზე შეთანხმებისას ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორს იმპერატიულად სთხოვს გაითვალისწინოს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, რაც პირდაპირ მიანიშნებს დანაშაულთა კატეგორიაზე და პროკურორს სთხოვს მეტ წინდახედულობას და ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის არჩეული კურსის სწორად განხორციელებას საჯარო ინტერესებთან მიმართებაში. ასევე, იმპერატიული მოთხოვნაა საპროცესო შეთანხმების დადებისას ზემდგომი პროკურორის წერილობითი შეთანხმების არსებობა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის მნიშვნელობაზე[2].

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობის და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

[1] ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2, 2004 წ, გვ. 59. ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება: განვითარება, პერსპექტივები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 30 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 20011 წელი.

[2] გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბილისი, 2007 წელი, გვ. 58.

საპროცესო შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი თანხმობა უნდა არსებობდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის მომზადებამდე. ბრალდებულის წერილობითი განცხადება იმის თობაზე, რომ დამცველისაგან იურიდიული კონსულტაციის მიღების შემდეგ, ნებაყოფილობით აცხადებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობას, სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო შეთანხმების შეთავაზება ხდება პროკურორის მიერ. აღნიშნული განსხვავდება თვით ბრალდებულის ინიციატივისაგან, როცა საპროცესო შეთანხმებას ის სთავაზობს პროკურორს. ასეთ შემთხვევაში გვექნება არა თანხმობის, არამედ სურვილის შესახებ განცხადება[1]. ორივე შემთხვევაში ბრალდებული სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის მიერ შედგენილი შუამდგომლობის შინაარსსა და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, კანონი კრძალავს ისეთი საპროცესო შეთანხმების დადებას, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლებას — წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმას. სსს კოდექსის 211-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვის გარშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის სავალდებულო შემდეგი მონაცემები:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

[1] ნ. გვენეტაძე, მ. ტურავა. სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია. თბილისი, 2005 წ, გვ. 146.

ბ) ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;

ე) პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა;

ვ) მითითება ამ კოდექსის 209-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ ან იმავე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ბრალდებულის წერილობით განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული და მისი ადვოკატი, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობა ბრალდებულმა ნებაყოფლობით განაცხადა ადვოკატისგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ. ამასთანავე, ბრალდებული სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს შუამდგომლობის შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.

როცა პროკურორი და ბრალდებულის ადვოკატი შეთანხმდებიან თანამშრომლობაზე, პროკურორი ადგენს შუამდგომლობას, რომელშიც აღინიშნება შეთანხმების შინაარსი. შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის ადვოკატი და ბრალდებული.

იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმება ითვალისწინებს სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო

შრომის გამოყენების შესაძლებლობას, მასში უნდა აღინიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შინაარსი, სასჯელის მოხდის წესი და პირობები, სასჯელის მოხდის ადგილი (გეოგრაფიული მდებარეობა, დაწესებულების დასახელება და საქმიანობა), სად უნდა განთავსდეს მსჯავრდებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისგან თავისუფალ დროს – სასჯელის მოხდის თუ ნებისმიერ სხვა ადგილას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის ადგილის საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელიც უშუალო ზედამხედველობას გაუწევს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას, და მისი წერილობითი თანხმობა, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები. შუამდგომლობას უნდა დაერთოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის ადგილის უფლებამოსილი პირის წერილობითი თანხმობა შეთანხმებაში მითითებული პირობებით ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდაზე.

აღნიშნული შუამდგომლობა საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ მის ხელმომწერ პირებსა და სასამართლოს, გარდა სსს კოდექსის 209-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ:

ა) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება მას ბრალი;

ბ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

გ) ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

დ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

ე) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:

ე.ა) დაცვის უფლება;

ე.ბ) უფლება, უარი განაცხადოს საპროცესო შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ;

ე.გ) უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისა;

ვ) საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის იძულებისა, დაშინებისა ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

ზ) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

თ) ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია საპროცესო შეთანხმებაში;

ი) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

სასამართლო ვალდებულია ასევე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე ბრალდებულისგან დარწმუნდეს, რომ ბრალდებულის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. მოსამართლე აგრეთვე ვალდებულია განუმარტოს ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

ისეთ შემთხვევაში, როცა შეთანხმება ხდება საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, სასამართლო უფლებამოსილია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ან საქმის პროკურორისთვის დაბრუნების თაობაზე.

საქმეს სასამართლო იხილავს შესაბამისი სასამართლო განსჯადობის მიხედვით. სასამართლო გამოძიების საპროცესო კანონმდებლობის წესები შეზღუდულად გამოიყენება საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას. სასამართლო სხდომაზე პროკურორი წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობას, ან მის სარეზოლუციო ნაწილს, რა დროსაც მოსამართლე არკვევს, რომ ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში.

სასამართლო ეკითხება განსასჯელს, ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმებას და აძლევს განმარტებას, რომ უფლება აქვს, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ მომენტში, უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე და რომ მომავალში მის წინააღმდეგ შეუძლებელია გამოყენებული

იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას. სასამართლო ეკითხება განსასჯელს, საპროცესო შეთანხმება მოხდა თუ არა ნებაყოფლობით, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის შემდეგ.

სასამართლო ბრალდებულს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, რათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის შესაბამისად, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი. იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმების საფუძველია ბრალზე შეთანხმება, მოსამართლე ამოწმებს, რომ ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს და სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს. ასევე მოწმდება, რომ მისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ.

მოსამართლე ისმენს ბრალდებულის ბრალის აღიარებას. პროკურორს და დამცველს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები ბრალდებულს.

შემდგომ სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და კანონიერია თუ არა შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი, ასევე, რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება.

სასამართლო დარწმუნდება, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის პროკურორის მიერ წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. სასამართლო პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს.

ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლი, ბრალდებულს აძლევს იმის სრულ გარანტიას, რომ თუ კი სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს ან ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენება გამოყენებული იქნას მის საწინააღმდეგოდ.

განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს გადაეცემა განაჩენის დამოწმებული ასლები.

საპროცესო შეთანხმების საქმეებზე სასამართლოს განაჩენი არ საჩივრდება, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ თავით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

ა) საპროცესო შეთანხმება მოტყუებით დაიდო;

ბ) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება;

გ) საპროცესო შეთანხმება იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით დაიდო;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

მსჯავრდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების პირობის დაარღვევის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამო, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას, სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს.

საპროცესო შეთანხმების დადებამდე, პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. მართალია, დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ კანონი მას არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზარალებულს, რომელსაც პროკურორი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად ატყობინებს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს როგორც მხარემ სასამართლო განხილვაში და გაასაჩივროს საპროცესო

შეთანხმება. თუმცა მას კანონი არ ართმევს უფლებას სამოქალაქო სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველია ბრალდებულსა/მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას, უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე და ბრალეულობის ხარისხი. მსჯავრდებულის შემთხვევაში დამატებით მხედველობაში მიიღება სასჯელის მოუხდელი ვადა. შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ცალსახად განპირობებულია ზემოაღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება, მისი პირობების შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული/მსჯავრდებული, მისი ადვოკატი და საქართველოს მთავარი პროკურორი. ბრალდებულის სასჯე-

ლისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული ითვლება ნასამართლევად. მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების, სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადება დაუშვებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 (წამება), 144^2 (წამების მუქარა) და 144^3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.

მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია ეს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე

ლ) პროკურორს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში.

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების, ისე, როგორც დაცვის მხარემ, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარდგენა, ხოლო სასამართლომ კი მათ უნდა შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

პროკურორს უფლება აქვს სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება და სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მოახდინოს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სხდომაზე დემონსტრირება, ასევე მონაწილეობა მიიღოს მათი დასაშვებობის საკითხის განხილვაში, რადგან, როგორც წესი, საქმის არსებითი განხილვისას მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.

პროკურორს უფლება აქვს საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოს წარუდგინოს დამატებითი მტკიცებულებები. ასეთ შემთხვევაში სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე, რომლის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი.

პროკურორი სასამართლოში წარდგენილ წერილობით მტკიცებულებას თვითონ კითხულობს, ხოლო მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მას აძლევს შესაძლებლობას წარადგინოს დასკვნითი სიტყვა.

მ) გამოძიების პროცესში პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით.

პროკურორი, როგორც სამართალწარმოების მონაწილე და ბრალდების მხარის წარმომადგენელი, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მტკიცების პროცესში, რომელიც არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ეს პროცესი, როგორც წესი, ხორციელდება მხარეთა, მათ შორის, პროკურორის აქტიური მონაწილეობით.

გამოძიების პროცესში კონკრეტულ საქმეზე მტკიცებულებათა შეკრების მიზნით, პროკურორს უფლება აქვს კერძო პირს მოსთხოვოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კონკრეტული საგნების და დოკუმენტების, აგრეთვე სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა, რისთვისაც შესაბამისი შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელიც შუამდგომლობის განხილვის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.

ნ) პროკურორის უფლებამოსილებათა შორის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოებიდან მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება.

გამოძიების პროცესში პროკურორი უზრუნველყოფს ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებათა შეკრებას, რისთვისაც მას უფლება აქვს სსს კოდექსით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოს, დაწესებულე-

ბას, ორგანიზაციას მოსთხოვოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები, დოკუმენტები და სხვა ნივთიერი მტკიცებულებები. თავის მხრივ, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან დაუბრკოლებლად გადასცენ პროკურორს გამოთხოვილი დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება.

სსს კოდექსის მიხედვით, მხარის, მათ შორის, პროკურორის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია მათი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. ასევე, პროკურორის, როგორც მხარის, მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი და ნივთიერი მტკიცებულება დასაშვებია, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა მასთან წარდგენამდე. ამიტომ, პროკურორმა სახელმწიფო ორგანოებიდან ამგვარი მტკიცებულების, კერძოდ, დოკუმენტების ან სხვა ნივთიერი მტკიცებულების მოთხოვნის დროს უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

ო) პროკურორს გამოძიების სტადიაზე შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ. როგორც აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. როგორც წესი, პირის ბრალდებულის სახით დაკითხვას წინ უსწრებს პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მისთვის ბრალდების წაყენება, რაზედაც პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროს და ადგილს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ბრალდებული დაემალება გამოძიებას, რა დროსაც პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა მის მიმართ პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძების გამოყენების თაობაზე. მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პროკურორი დადგენილებით აცხადებს მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ძებნას და მის განხორციელებას ავალებს პოლიციის ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ პერიოდულად წარუდგინოს ძებნის გამომცხადებელს ანგარიში ძებნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და მათი შედეგების შესახებ.

პ) პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი.

სსს კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

ამდენად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე იურიდიული და ფიზიკური პირი, ხოლო სსს კოდექსის თანახმად, ზიანი შეიძლება იყოს მორალური, ფიზიკური და ქონებრივი.

მორალურ ზიანს წარმოადგენს ზნეობრივი ტანჯვა, რაც გამოწვეულია დაბადებით ან კანონით მინიჭებული არამატერიალური სიკეთის, კერძოდ, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფით, ასევე ისეთი ქმედებით, რომელიც ხელყოფს მის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს და სხვ. მორალურ ზიანს მიეკუთვნება აგრეთვე განცდები, რაც გამოწვეულია ახლობელთა მკვლელობით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის და ცხოვრების შესაძლებლობის მოსპობით, სამსახურის დაკარგვით, საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შემლახველი ყალბი ინფორმაციის გავრცელებით, დაინვალიდებით, გარკვეული უფლებების შეზღუდვით ან ჩამორთმევით, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ფიზიკური ტკივილით ან მორალური განცდების შედეგად შეძენილი დაავადებებით და ა. შ.

შესაბამისად, პირს შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქციების მოშლის ან დაქვეითებისათვის, ასევე, სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის ანაზღაურება, როდესაც იგი აცხადებს ასეთი ზიანის მისთვის მიყენების შესახებ.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ზიანის სიმძიმე და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა. ზიანის ანაზღაურება შეიძლება განხორციელ-

დეს არა მხოლოდ ფულადი კომპენსაციის სახით, არამედ სხვა ქონებრივი გამოხატულებითაც[1].

ფიზიკური ზიანი გამოიხატება ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევაში, სხეულის დაზიანებაში, ფიზიკურ ტკივილებში და ა. შ.

რაც შეეხება ქონებრივ ზიანს, ის მატერიალური სიკეთის, ქონების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზიანია. აქ იგულისხმება როგორც პირდაპირი ზიანი, ასევე ანაცდენი სარგებელიც.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ერთი დანაშაულით პირს შეიძლება მიადგეს რამდენიმე სახის, კერძოდ, როგორც ფიზიკური, ისე ქონებრივი და მორალური ზიანი.

სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ, რაზედაც მას გამოაქვს შესაბამისი დადგენილება. თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა,

[1] სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი, თბილისი 2008 წ. გვ. 216.

რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს ეს დადგენილება.

დაზარალებულად ცნობის შესახებ საპროცესო გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის სახეზე უნდა იყოს ერთერთი სახის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა პირის დაზარალებულად ცნობის საკითხის გადაწყვეტის დროს.

პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე პროცესის მწარმოებელი ორგანოს ინიციატივით, რომლის საფუძველს წარმოადგენს როგორც ინფორმაცია სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ, ასევე ამ ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

მას შემდეგ, რაც პროკურორი პირს ცნობს დაზარალებულად, ეს უკანასკნელი იძენს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სსს კანონმდებლობით.

როგორც აღინიშნა, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება ყველა მოვალეობა, კერძოდ დაზარალებულს უფლება აქვს:

ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;

ბ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა;

გ) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;

დ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ე) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;

ვ) პროკურორს მოსთხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

ზ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

თ) ისარგებლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ამასთან, დაზარალებული ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;

ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;

ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები. ასევა პროკურორმა დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო:

ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;

ბ) წინასასამართლო სხდომა;

გ) სასამართლოს მთავარი სხდომა;

დ) სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;

ე) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს, თუ ბრალდებულთან დადებს საპროცესო შეთანხმებას.

ჟ). როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე პროკურორს აქვს ფართო უფლებამოსილება, რომლის საფუძველზედაც, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულების გარდა, მას უფლება აქვს განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანიც.

თუ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად კანონით პროკურორისთვის მინიჭებულ ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებებს მთლიანობაში განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა ფაქტობრივად მიმართულია იმისკენ, რომ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს არ დაირღვეს, დაცულ იქნეს პროცესის მონაწილეთა, მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, მტკიცებულებები მიღებული არ იქნეს კანონის დარღვევით და ყველა საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება.

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე პროკურორი, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას. იგი არის ამ პროცესის ხელმძღვანელი, ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტი, რასაც ის აღწევს როგორც გამოძიების საერთო ხელმძღვანელობით, ისე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებით მიღწეული დადებითი შედეგები დადასტურებული და განმტკიცებულია ჩვენს სინამდვილეში საპროკურორო საქმიანობის პრაქტიკით. ჩემი პროკურატურის ორგანოებში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობის პერიოდში პროკურორის საქმიანობაზე დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ ქმედითი და ყოველდღიური საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელე-

ბის პირობებში შესაძლებელია დანაშაულის გახსნა, სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, პირის დანაშაულში მხილება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მისი დასჯა და საქმეზე საბოლოო კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

თავი V

სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც სამოქმედოდ 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან იქნა შემოღებული, მიუხედავად მრავალი თანამედროვე ინსტიტუციური ცვლილებისა, ყველა სისხლისსამართლებრივი პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ამ ფონზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, რადგან ევროპის ქვეყნებში სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი სისტემები საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. შედარებითი ანალიზისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ინსტიტუტის გაცნობას საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე.

ევროპის ძირითად ქვეყნებში — საფრანგეთში, გერმანიაში, ირლანდიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და სხვაგან, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივ დევნას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი. ამასთან, თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში ტერმინი სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ძირითადი ფუნქციის აღმნიშვნელი, საკანონმდებლო აქტებში ფართოდ გამოიყენება. ზოგიერთი ქვეყანა ამ ტერმინს კონსტიტუციებსა და ორგანულ კანონებში იყენებს (იტალია, ინგლისი, ავსტრია და სხვ), ზოგი

კი - მხოლოდ ორგანულ კანონებში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და სხვ)[1].

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია როგორც გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის, ასევე საპროცესო ხელმძღვანელობის ინსტიტუტი.

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო აქტები დაწვრილებით არ არეგულირებენ გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესს. ინგლისში არ არსებობს ერთიანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა წესრიგდება ცალკეული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე[2].

ინგლისში, „დანაშაულთა დევნის შესახებ“ 1955 წლის კანონის მიღებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საკითხს წყვეტდა პოლიცია და შემდგომ საკითხებზე გადაწყვეტილება პოლიციის მიერ ან პოლიციის სახელით მიიღებოდა. სამეფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე[3], პარლამენტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც გამოიხატა სისხლისსამართლებრივი დევნის მონოპოლიის გადაცემაში ერთი სამსახურის - „გვირგვინის საბრალდებო სამსახურის“ ხელში. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც საგრძნობი გახდა, რომ წინამორბედი სისტემა პოტენციურად შეიცავდა ხარვეზიანი მართლმსაჯულების წინაპირობებს. კერძოდ, პოლიცია ვერ ავლენდა საკმარის ობიექტურობას და ნეიტრალურობას მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასების თვალსაზრისით. სწორედ, არასრულყოფილი საქმეების სასამართლოში

[1] გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების თანაფარდობისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1, 1996 წელი, გვ. 23.

[2] იხ. Уолкер Р. Английская судебная система. М. 1980 г ; Правовые системы стран Мира. М. 2000 г.

[3] Report of the Royal Comission on Criminal Procedure. Cmnd 8092, 1979 (the Philips Commission).

შესვლის გამორიცხვა იყო გვირგვინის საბრალდებო სამსახურის შექმნის მიზანი..

გვირგვინის საბრალდებო სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია გენერალური პროკურორის წინაშე. ინგლისის კონსტიტუციიდან გამომდინარე, გენერალური პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს მისი შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად[1].

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობის საქმეებზე, როგორიც არის ეროვნული შუღლის გაღვივება (1986 წლის კანონი „საჯარო წესრიგის შესახებ“), ოფიციალური საიდუმლოების დარღვევა (1949 წლის კანონი „ოფიციალური საიდუმლოების შესახებ“) და სხვა კანონები სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის წინაპირობად ითხოვს გვირგვინის ერთ-ერთი სამართლებრივი მოხელის (გენერალური პროკურორის ან საჯარო დევნის სამსახურის დირექტორის) თანხმობას[2].

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეზე დევნის შეწყვეტა შესაძლებელია სამ შემთხვევაში : ა) როცა იურიდიულად დევნა შეუძლებელია (ქმედებაში არ არის დანაშაულის ნიშნები, პირს არ აქვს შესაბამისი ასაკი, გავიდა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა და ა.შ.); ბ) როცა სისხლის სამართლის დევნა ფაქტობრივად შეუძლებელია (თუ ვერ იქნა დანაშაული გახსნილი, ან პოლიციამ ვერ მოაგროვა სათანადო სამხილი კონკრეტული პირის ბრალეულობის დასადგენად); გ) როცა პოლიციამ გახსნა დანაშაული, მაგრამ არამიზანშეწონილად თვლის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ამ შემთხვევაში საქმეს არ გადასცემს სასამართლოს.

[1]. Edwards J. L. L. The Anorneu Ceneral, Politiks and Public Interests. 1984.

[2] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 93.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის უარი დევნის შესახებ არ ექვემდებარება არც სასამართლოს, არც დევნის სამეფო სამსახურის მხრიდან რაიმე საპროცესო კონტროლს. ფაქტობრივად, სისხლის სამართლის საქმეზე, პოლიცია თითქმის უკონტროლოა თავისი გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის საკითხში, მაგრამ, დაზარალებულს და სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება, რაც პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ხდება[1].

გამოძიების დამთავრების შემდეგ, პოლიცია ვალდებულია ყველა მასალა გადასცეს დევნის სამეფო სამსახურს, რადგან საქმეზე გამოძიების დასრულების შემდეგ, დევნის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს არა პოლიცია, არამედ გვირგვინის საბრალდებო სამსახური. აღნიშნულის მიზანია მტკიცებულებათა საკმარისობის უზრუნველყოფა და პროცესის ადრეულ სტადიაზე სუსტი საქმეების „გაფილტვრა“. დევნის გაგრძელება-შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხს საკმაოდ დეტალურად არეგულირებს „გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსი“[2].

ბრალმდებელმა დევნის წარმოება-შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა საკითხებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს მტკიცებულებების საკმარისობა და საჯარო ინტერესის მოთხოვნები. პირველ საკითხთან დაკავშირებით, „გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსი“ ადგენს, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ საქმის არსებობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საფუძველი დევნის გასაგრძელებლად, საჭიროა პასუხი გაეცეს შეკითხვას, არსებობს თუ არა პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა[3]. რაც შეეხება საჯარო ინტერესის საკითხს, კოდექსი ხაზს უსვამს, რომ ინგლისში არასოდეს ყოფილა ყველა ჩადენილი დანაშაულის ავტომატურად დევნის წესი და დევნის გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი შედეგები საჯარო მორალსა და წესრიგზე, ასევე ნებისმიერი სხვა მოსაზრებანი, დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკასთან[1]. ამასთან ერთად, ანგარიში უნდა გაეწიოს დაზარალებულის ინტერესებს, იმ ფაქტს, რომ მსჯავრდების შემთხვევაში პირს მხოლოდ ნომინალური სასჯელი დაეკისრება, დანაშაულის ჩადენიდან მის სასამართლოში განხილვამდე სავარაუდო ვადას, ბრალდებულის ასაკს, ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობას, საკითხს, რომ საჩივრის შემტანი პირი აღარ არის დაინტერესებული დევნის გაგრძელებაში და ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს[2].

დევნის შესახებ გვირგვინის საბრალდებო სამსახურის გადაწყვეტილებები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს მაღალი სასამართლოს მხრიდან.

ინგლისის კანონმდებლობით, არსებობს დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის მხრიდან კერძო სამართლებრივი დევნის წამოწყების შესაძლებლობა, რაც არცთუ ისე ხშირად გამოიყენება. ინგლისში ამ კატეგორიის დევნას განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ძარცვის შედეგად დაზარალებული მაღაზიები, ასევე სატრანსპორტო დანაშაულებზე, განსაკუთრებით, ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის შემთხვევებზე. გვირგვინის ბრალდებათა დირექტორი ზემოთ აღნიშნული კოდექსის საფუძველზე ინარჩუნებს უფლებას— ხელში აიღოს და წარმართოს (მათ შორის, შეწყვიტოს) ნებისმიერი საქმის დევნა.

---

[1] К.Ф. Гуценко, А.В. Головко, Б.А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г. Стр. 114.

[2] კოდექსი მიღებულია 1955 წლის კანონის „ დანაშაულის დევნის შესახებ“ მე-10 მუხლის შესაბამისად. მისი მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტურობისა და შეთანხმებულობის დანერგვა.

[3] Code for Crown Prosecutors par. 4.

[1] hanzard. House of Commons deb. vol 483. col 681. Januaru, 29. 1951 (statement bu the Attorneu General Sir Hartleu Shawctoss).

[2] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 113.

საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის უმთავრესი ორაგანოა საჯარო ბრალმდებელი — რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც ნიშნავს საფრანგეთის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. პროკურორის მთავარი ამოცანაა სისხლის სამართლის დევნა პროცესის ყველა სტადიაზე. პროკურორი, გარდა აღნიშნულისა, ხელმძღვანელობს სასამართლო პოლიციის მუშაობას, მონაწილეობას ღებულობს საჯარო სარჩელის აღძვრაში, უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ აღსრულებას და სხვა[1].

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პროკურორი ახორციელებს „საჯარო აქციას“ და მოითხოვს კანონის გამოყენებას. საჯარო ბრალმდებელი არის იმ ერთიანი ორგანოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც საჯარო სამინისტროს (ანუ პროკურატურის) სახელით მოიხსენიება. ფრანგული პროკურატურისათვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქიული დაქვემდებარება ქვემდგომი პროკურატურისა ზემდგომი პროკურატურისადმი. ამ იერარქიული დაყოფის მიხედვით, მაღალი ინსტანციის სასამართლოების დონეზე, საჯარო ბრალდების ფუნქციებს ახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, ხოლო პოლიციის სასამართლოების დონეზე კი რესპუბლიკის პროკურორი წარმოდგენილია მოადგილით ან პოლიციის უფროსით. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დონეზე, აქ საჯარო ბრალდებას წარმოადგენს გენერალური პროკურორი, რომელსაც ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება გენერალური ადვოკატი და რამდენიმე მოადგილე. საკასაციო სასამართლოში პროკურატურას წარმოადგენს გენერალური პროკურორი, რომელსაც ფუნქციების განხორციელებაში ეხმარებიან გენერალური ადვოკატები.

[1] К.Ф. Гуценко, А.В. Головко, Б.А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г. Стр. 309.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროკურატურის უმაღლეს ხელმძღვანელს წარმოადგენს იუსტიციის მინისტრი. საფრანგეთის სსს კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, მას შეუძლია გენერალურ პროკურორს დაავალოს კონკრეტულ დანაშაულებზე საქმის აღძვრა[1].

საფრანგეთის სსს კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენის მიმართ. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ, ასევე პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა.შ.

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას — სასამართლოში (საგამოძიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღძვრაზე) უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ[2].

ზემოთ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის პროკურორმა შეიძლება საქმე აღძრას როგორც საკუთარი ინიციატივით, საჯარო ინტერესების შესაბამისად, ასევე გენერალური პროკურორის მოთხოვნით, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინიციატივით, ან იუსტიციის მინისტრის მითითების შესაბამისად.

საფრანგეთის კანონმდებლობით, გამონაკლის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან სისხლის სამართლის საქმე. ეს

[1] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 128.

[2] Головко Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 20. Уголовно процессуалный кодекс Франции / Перевод Л.В. Головко. М., 2000.

ორგანოები შეიძლება მოქმედებდნენ დამოუკიდებლად ან პროკურორთან ერთად[1].

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გამოძიების ფუნქცია ეკისრება ორ უმთავრეს ორგანოს – სასამართლო პოლიციას და გამოძიების მოსამართლეს.

სასამართლო პოლიცია შედგება ეროვნული პოლიციისაგან, რომელიც ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეროვნული ჟანდარმერიისაგან, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. სასამართლო პოლიციის მოხელეებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ორგანოს ეკუთვნიან, ერთი და იგივე უფლებამოსილებანი გააჩნიათ და ხელმძღვანელობენ ერთი და იგივე საპროცესო ნორმებით.

გამოძიების მოსამართლეს საქმე გადაეცემა პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით. გამოძიების მოსამართლის მიერ წარმოებულ გამოძიებას ეწოდება წინასწარი სასამართლო გამოძიება. იგი ფლობს ორი სხვადასხვა სახის უფლებამოსილებას. ერთი მხრივ, ის აღჭურვილია საქმის გამოძიების უფლებამოსილებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ან თვითონ ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს, ან მათ ჩატარებას ოფიციალური საგამოძიებო დავალების სახით ავალებს სასამართლო პოლიციის ორგანოებს. საფრანგეთის სსს კოდექსის 81(1)-ე მუხლის მიხედვით, კანონით დაწესებულ ფარგლებში, გამოძიების მოსამართლეს შეუძლია ჩაატაროს ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც თვლის საჭიროდ სიმართლის დასადგენად. მეორე მხრივ, გამოძიების მოსამართლე ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს, ღებულობს გადაწყვეტილებებს ეჭვმიტანილის წინასწარი პატიმრობის, ჩხრეკის ჩატარების შესახებ, გამოძიების დასასრულს კი წყვეტს საქმის შემდგომი წარმართვის საკითხს[2]. მიუხედავად აღნიშნულისა, გამოძიების მოსამართლის უფლებები შეუზღუდავი არ არის. თითოეული მისი

[1] უფრო დაწვრილებით იხ. ი. გაბისონია. საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალურ-ინსტიტუციური საკითხები. ჟურნალი „სამართალი“ ,5, 2001 წ.

[2] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 126.

გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს პროკურორის ზედამხედველობას და კონტროლს.

ფრანგული სასამართლოს ფუნდამენტური დებულებაა სასამართლო ორგანოების დაყოფა ორ ნაწილად. კერძოდ, იმ სასამართლოებად, რომლებიც აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას და სასამართლოებად, რომლებიც განიხილავენ საქმეს არსებითად. ასეთი დაყოფის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასწარი გამოძიება საფრანგეთში ატარებს სასამართლო ხასიათს და შედის სასამართლო უწყების კომპენტენციაში[1].

საფრანგეთში პროკურატურის ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ სისხლისსამართლებრივ დევნას და მხარს უჭერენ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებას, არ შედის სასამართლო სისტემაში. მაგრამ, საერთო წესის მიხედვით, ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც აღჭურვილია უფლებით — აღძრას სისხლის სამართლის საქმე, არის საფრანგეთის პროკურატურა[2]. არც საგამოძიებო სასამართლოს, არც მოსამართლეებს ასეთი უფლება არ აქვთ.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამოყოფამ წინასწარი გამოძიებისაგან მოსამართლეს დაუკარგა იმის შესაძლებლობა, რომ გამოძიება დაიწყოს საკუთარი ინიციატივით. მას შეუძლია საქმე მიიღოს წარმოებაში მხოლოდ პროკურორის მოთხოვნით. ასევე, პროკურორის მოთხოვნის შემდეგ იღებს საგამოძიებო მოსამართლე გადაწყვეტილებას წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ. საგამოძიებო მოსამართლე, დაამთავრებს რა საქმეზე გამოძიებას, საქმეს გადასცემს პროკურორს, რაზედაც გამოაქვს შესაბამისი დადგენილება. პროკურორი, შეისწავლის რა სისხლის სამართლის საქმეს, იღებს გადაწყვეტილებას საქმის სასამართლოში გაგზავნის, გამოძიების გაგრძელების ან საქმის შეწყვეტის შესახებ.

როგორც აღინიშნა, საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას ზედამხედველობს პროკურატურა, რისთვისაც მას მინიჭებული

[1] К. Ф. Гуценко, А. В. Головко, Б. А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г. стр .303, 334.

[2] იქვე, გვ. 334.

აქვს შესაბამისი საპროცესო უფლებები, რაც განსაზღვრულია საფრანგეთის სსს კოდექსის მე-12, მე-13 მუხლებით.

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, გამოძიება წარმოებს მოკვლევის ფორმით. მოკვლევის ორგანოს წარმოადგენს პროკურატურა, რომელსაც პოლიცია დაუყოვნებლივ გადასცემს მასალებს დანაშაულის ჩადენის შესახებ.

გერმანიაში პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში. მიწების შიგნით, პროკურატურის იერარქიულ სტრუქტურას სათავეში უდგას გენერალური პროკურორი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება იუსტიციის მინისტრს და რომლის კომპეტენცია ვრცელდება მაღალი სასამართლოს ფარგლებში. ოლქის პროკურორები მიმაგრებული არიან საოლქო სასამართლოებს და ემორჩილებიან გენერალურ პროკურორს.

გერმანიის კანონმდებლობით, ფედერალურ დონეზე მოქმედებს ფედერალური პროკურორის სამსახური, რომლის კომპეტენცია ვრცელდება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე და ექვემდებარება იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს.

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში, ისევე, როგორც ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, არ არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადია. პირველი საგამოძიებო მოქმედებები ნიშნავს საქმეზე გამოძიების დაწყებას.

საერთოდ, მოკვლევა გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, მოიცავს საგამოძიებო მოქმედებებს და შესაბამისი გადაწყვეტიელების მიღებას, რაც გათვალისწინებულია კანონით[1].

[1] უფრო დაწვრილებით იხ. ი. გაბისონია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები. ჟურნალი „სამართალი“,5, 2001.

პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ხელისუფლების ყველა საჭირო ორგანოდან სხვადასხვა ინფორმაცია, ჩაატაროს გამოძიება დამოუკიდებლად ან ხელისუფლების ორგანოებთან ერთად, პოლიციის ჩინოვნიკების დახმარებით. ეს უკანასკნელნი, ვალდებულნი არიან შეასრულონ პროკურორის ყველა დავალება[1].

პროკურორის ამოცანაა არა მხოლოდ წინასწარი გამოძიების წარმოება და ხელმძღვანელობა, არამედ საქმის სასამართლოში წარმართვაც. პროკურორის ოფიციალური ბრალდების გარეშე სასამართლო საქმეს ვერ განიხილავს. ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას პროკურორს ევალება ბრალდება წარადგინოს სასამართლოში[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მოვალეობა — აწარმოოს დანაშაულის გამოძიება გულისხმობს როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი გარემოებების დადგენას. მიუხედავად ამისა, ემპირიული მონაცემებით დგინდება, რომ პროკურორები ძირითადად არ ემორჩილებიან კანონის ამ მოთხოვნას და უპირატესად ეძებენ გამამტყუნებელ მტკიცებულებებს[3].

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორს თავისი დისკრეციული უფლებების ფარგლებში, შეუძლია დევნაზე უარის თქმა წვრილმან დანაშაულთა საქმეებზე. ამასთან, პროკურორი ვალდებულია დაესწროს ყველა სასამართლო სხდომას. იგი სახელმწიფოს წარმომადგენელია და მტკიცების ტვირთიც მას ეკისრება.

[1] К.Ф. Гуценко, А.В. Головко, Б.А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г. Стр. 440.

[2] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 161.

[3] Blankemburg et al. Die Staatsanwaltschaft im Prozer strafrechlicher sozialkontrole, 1978, p.257.

გერმანიის, ისე, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. მაგრამ, ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულთა დევნის დროს, როგორიც არის ნაკლები სიმძიმის, პოლიტიკური, იძულების ან შანტაჟის ქვეშ ჩადენილი დანაშაულები, სადაც დევნამ შეიძლება სახელმწიფო ინტერესები დააზიანოს, ბრალმდებელს აქვს შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში, ბრალმდებელს, ზოგჯერ კომპეტენტური მოსამართლის თანხმობით, შეუძლია უარი თქვას დევნაზე, მაგრამ შემდგომში დევნის განახლება დაუშვებელია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, პროკურორს მოგვიანებით შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ზოგიერთი წვრილმანი სახის დანაშაულები, რომლებზეც შესაძლებელია განხორციელდეს კერძო სამართლებრივი დევნა, თუ, რა თქმა უნდა, პროკურორმა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, დევნაზე უარი განაცხადა. ასეთი სახის ე.წ. „კერძო ბრალდების“ საქმეებზე, რომელთა დევნა წარმოებს მხოლოდ საჩივრის შემთხვევაში, კერძო დევნის წარმოება შეუძლია დაზარალებულს ან ნებისმიერ სხვა პირს, რა დროსაც იგი გამოდის კერძო მდევნელის როლში. ამ დროს, კერძო მდევნელი სარგებლობს საჯარო ბრალმდებლის ყველა უფლებით და ახორციელებს დევნას, ე.ი. თავისთავზე იღებს დევნის ფუნქციას. ასეთი დევნის დროს, კერძო ბრალმდებელს, რა თქმა უნდა, არ გააჩნია იძულებითი ღონისძიების გამოყენების ან პოლიციის დახმარების მოთხოვნის უფლება. გერმანიაში, ასეთი სახის დევნა ყველა მოქალაქისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც მოკლებულია ფინანსურ საშუალებებს, არ არის ხელსაყრელი, რადგან იგი დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, კერძოდ, სასამართლოში გამოძახებულ პირთა ხარჯების ანაზღაურებასთან და სხვა.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით, ზოგიერთი სახის მძიმე დანაშაულებზე ვრცელდება აქცესორული დევნა. ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღობა. აღნიშნულ სახის დანაშაულთა საქმეებზე დაზარალებულ პირს, საჯარო ბრალმდებელთან ერთად შეუძლია მხარი დაუჭიროს ბრალდებას, რა დროსაც მას გააჩნია უფლებათა მთელი რიგი, კერძოდ: შუამდგომლობის დაყენების, საპროცესო მოქმედებაზე დასწრების და საჩივრის შეტანის უფლება. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პრაქტიკით ირკვევა, რომ აქცესორული დევნა ყველაზე მეტად გამოიყენება სამოქალაქო სარჩელის მხარდასაჭერად.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორი ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატოვოს ყოველი ეჭვი დანაშაულის შესახებ და ამ მიზნით იგი ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის $152 (2), $160, $170-ე (1)). ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას— განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა — პროკურორი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში, ოღონდ ვალდებულია საკუთარი პოზიცია წერილობით დაასაბუთოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პრინციპი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არ მოქმედებს შეუზღუდავად, რადგან საპროცესო კანონი ($153), შეიცავს გამონაკლისსაც, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს უფლებამოსილება გააჩნიათ უარი თქვან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე[1].

გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს პროკურორს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წერილობითი პასუხი გადასცეს პირს, ვისი განცხადებითაც დაიწყო წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს პროკურო-

[1] გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

რის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში (§171-172)[1].

გერმანიაში წინასწარი გამოძიება წარმოებს მოკვლევის ფორმით. მოკვლევის ორგანოს წარმოადგენს პროკურატურა, რომელმაც, როგორც კი განცხადების ან სხვა წყაროს საშუალებით მისთვის ცნობილი გახდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, უნდა გამოიკვლიოს ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის. პროკურატურა ვალდებულია გამოიკვლიოს როგორც ბრალდების დამადასტურებელი, ასევე გამამართლებელი გარემოებები.

პოლიციის ამოცანას, რომელიც არ არის მოკვლევის ორგანო, წარმოადგენს დანაშაულის გამოძიება. გერმანიის სსს კანონმდებლობით, როგორც გამოძიებას, ასევე სისხლისსამართლებრივ დევნას ხელმძღვანელობს პროკურორი. პოლიცია მხოლოდ მისი დამხმარის როლს ასრულებს (სსს კოდექსის §152). იმის მიუხედავად, რომ პოლიცია იერარქიულად მოწყობილ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს, მას ევალება იმოქმედოს მხოლოდ პროკურორის მითითების შესაბამისად. პროკურორს უფლება აქვს მოთხოვოს ხელისუფლების ყველა საჭირო ორგანოს სხვადასხვა ინფორმაცია, ჩაატაროს გამოძიება დამოუკიდებლად ან პოლიციის მოხელეების დახმარებით. ისინი ვალდებული არიან შეასრულონ პროკურორის დავალებები. პროკურორი ატარებს სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებს. თუ შეიქმნა გადაუდებელი გარემოება, რაც გათვალისწინებულია გერმანიის სსს კოდექსით, მას შეუძლია იძულების ზომების გამოყენება, კერძოდ ამოღების, ჩხრეკის, ძებნის, დაკავების დადგენილების გამოტანა. თუ ჩატარებული მოკვლევა პროკურორს აძლევს შესაბამის საფუძველს, მაშინ საბრალდებო აქტით საქმეს არსებითი განხილვისათვის აგზავნის სასამართლოში, რის შესახებ აცნობებს ბრალდებულს და მის დამცველს. პროკურორი სასამართლო სხდომას უნდა დაესწროს. ის სახელმწიფოს წარმომადგენელია და მტკიცების ტვირთი მას ეკისრება.

[1] Klaus Roxin. Streafprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. S. 18.

როგორც აღინიშნა, დანაშაულის გამოძიება გერმანიის კანონმდებლობით არის პოლიციის ფუნქცია, მაგრამ გამოძიების ხელმძღვანელობის ფუნქციას პროკურორი ასრულებს. თუ გამოძიების პროცესში სახეზეა სპეციალური საჯარო ან პოლიტიკური ინტერესი, მაშინ პროკურორი ერევა გამოძიების პროცესში. ამ შემთხვევაში ის ასრულებს მისთვის სსს კოდექსით მინიჭებულ, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას. ამასთან, ის პოლიციის მხრიდან კანონიერების დაცვაზე ზედამხედველად გვევლინება. თუ საქმეზე გამოძიების ჩატარების შედეგად შეგროვდა დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, პოლიცია საქმეს გადასცემს პროკურორს, რომელსაც შეუძლია საქმე დაუბრუნოს პოლიციას დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, ასევე შეწყვიტოს საქმე მტკიცებულებათა არარსებობის ან საქმეზე დაშვებული სხვა დარღვევების გამო, ან საქმე არსებითი განხილვისათვის წარმართოს სასამართლოში.

სისხლისსამართლებრივი დევნისადმი **ამერიკული** მიდგომა რამდენამდე ესადაგება ინგლისურს, მაგრამ ის არ არის იდენტური, რის გამოც აღნიშნულ გარემოებას მივყავართ იქამდე, რომ ვაღიაროთ ამ მიმართულებით ამერიკული კანონმდებლობის სპეციფიკურობა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი რ. პერკინსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ლ.უაინრები და ამერიკელი მეცნიერი, იურიდიული ტერმინების ლექსიკონის ავტორი ჩ. ფრიკკი აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი არსი და მიზანია პირის დევნა, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, აგრეთვე მისი დასჯა[1].

აშშ-ში პროკურატურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქმის გამოძიებისა და ბრალდებული პირის დევნის განხორციელების დროს პოლიციის კანონიერი მოქმედებებისათვის კონტროლის განხორციელება, პირის სისხლისსამართლებრივი დევნა. აშშ-ის სამივე დონის, კერძოდ, ფედერალური, შტა-

[1] Perkins R. Criminal law. 2d ed. Mineola N. Y. 1969. P.1; Р Уайнреб Л. Отказ в провосудии. Уголовный процессе в США. М. 1985 г. стр. 28; Fricke Ch. 5000 Criminal Detinitions. Terms and Phrases. los Angeles, Calit, 1968, P. 55.

ტების და ადგილობრივი პროკურორები ფლობენ საკმაოდ ფართო უფლებებს, განსაკუთრებით, იმ პირთა დევნის საქმეში, რომლებიც არღვევენ შტატების კანონებს. ამას ახორციელებენ როგორც თვით პროკურორები, ასევე მათი თანაშემწეები.

აშშ-ში სისხლის სამართლის პროცესში დისკრეციული დევნა უფრო „საპროკურორო დისკრეციის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი გულისხმობს პროკურორის თითქმის შეუზღუდავ უფლებამოსილებას — წარუდგინოს პირს ბრალდება დანაშაულის ჩადენაში, თუ უარი თქვას ბრალდების წაყენებაზე. მაშინაც კი, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე საკმარისი მტკიცებულებებია მოპოვებული ბრალდების წასაყენებლად, პროკურორს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება — არ გააკეთოს ეს და უარი თქვას ბრალდების წაყენებაზე „მიზანშეწონილობის“ გამო. „მიზანშეწონილობის“ დეფინიციის შინაარსი კანონმდებლობის მიერ არ განიმარტება და იგი წყდება პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტების საფუძველზე. პროკურორისათვის ესოდენ ფართო უფლებამოსილების მინიჭება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა ამერიკულ სამართალში, რომ ამერიკელი იურისტები მას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ[1].

აშშ-ის კანონმდებლობით, საქმის გამოძიებისა და ბრალდებულის დევნის განხორციელების დროს პოლიციის ორგანოების საქმიანობაზე კონტროლს პროკურატურა ახორციელებს. ფედერალური, შტატების და ადგილობრივი პროკურატურების პროკურორები და მათი თანაშემწეები სამართალდარღვევების ფაქტებზე აწარმოებენ როგორც სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე ხელმძღვანელობენ გამოძიებას, რისთვისაც ისინი ფლობენ საკმაოდ ფართო უფლებებს, განსაკუთრებით კი იმ პირთა დევნაში და მათ მიმართ საქმის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებაში, რომლებმაც დაარღვიეს შტატების კანონები.

აშშ-ში ორგანოები და პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან ჩაატარონ სასამართლომდელი გამოძიება, გამოძიების დამთავრების შემდეგ საბრალდებო მასალებს უგზავნიან

[1] გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. იგივე სტატია.

უშუალოდ პროკურორს, რომელიც, შეამოწმებს რა მათ მიერ მიღებული დასკვნების საფუძვლიანობას, ახორციელებს სისხლის სამართლის დევნას. პროკურორი სასამართლოში საქმეს აგზავნის მას შემდეგ, როცა პოლიცია ან გამოძიების სხვა ორგანოები შეაგროვებს მტკიცებულებების იმ მინიმალურ ოდენობას მაინც, რომელიც დაარწმუნებს პროკურორს საქმის სასამართლოში გაგზავნის მიზანშეწონილობაში, ჯერ წინასწარი შემოწმებისათვის, შემდეგ კი საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის. პროკურორის მხრიდან ასეთ შემოწმებას გაივლის პრაქტიკულად ყველა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ისინიც, რომლებიც განიხილება გამარტივებული წესით. თავისთავად ცხადია, პროკურორის მხრიდან შემოწმების ხარისხი სხვადასხვა კატეგორიის საქმეებისათვის სხვადასხვაა.

საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას ახორციელებს პროკურორი. გარდა აღნიშნულისა, მის მოვალეობაში შედის აგრეთვე მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული კანონების შესრულებაზე კონტროლი და ზოგადად კანონის დაცვა ქვეყანაში.

პროკურორი, ამავე ქვეყნის კანონმდებლობით, არ არის პროცესის რომელიმე მონაწილე მხარე. იგი ითვლება სასამართლო მოხელედ, არ იცავს რომელიმე მხარის ინტერესებს. მას ევალება მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების ძიება, როგორც ბრალდებულის საწინააღმდეგო, ისე მისი სასარგებლო მტკიცებულებების შეგროვება.

საბერძნეთის სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, პროკურორს ევალება დაემორჩილოს ზემდგომის მითითებებს, მაგრამ, ამასთან ერთად, მას უფლება აქვს სასამართლო პროცესზე გამოხატოს თავისი პირადი აზრი. ყველა პროკურორი, ამავე კანონმდებლობის თანახმად, მოქმედებს პროკურატურის ხელმძღვანელის სახელით და ამ უკანასკნელის წარმომადგენლად მიიჩნევა.

საბერძნეთის სსს კოდექსის 239$2 მუხლის თანახმად, პროკურორის ძირითადი ფუნქცია სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისათვის ბრალდების წაყენებაა[1]. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პროკურორს უფლება აქვს გადაწყვიტოს საკითხი შეკვეცილი ან ჩვეულებრივი გამოძიების ჩატარების შესახებ. ასევე, პროკურორს შეუძლია უარი თქვას დევნაზე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ეჭვმიტანილისათვის ბრალდების წარდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილს ოფიციალური ბრალდება უკვე წარედგინა, პროკურორს შეუძლია მხოლოდ საქმე გადასცეს სასამართლო საბჭოს, ბრალდებული პირის გამართლების მოთხოვნით.

საბერძნეთის სსს კოდექსის 28-ე მუხლი მკაცრად განსაზღვრავს პროკურორის დამოუკიდებლობის საკითხს, სადაც პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ პროკურორი არის დამოუკიდებელი სასამართლო მოხელე, რომელიც თავისი ინიციატივით წყვეტს ბრალდების წაყენების ან მასზე უარის თქმის საკითხს. ამ წესიდან რამდენიმე გამონაკლისის მიუხედავად (სსს კოდექსის 29-ე და 30-ე მუხლები), როცა იუსტიციის მინისტრს და სააპელაციო სასამართლოს შეუძლიათ უბრძანონ პროკურორს ბრალდების წაყენება, როცა იგი პირადად არ ეთანხმება აღნიშნულს, პროკურორს საქმის სასამართლოში გადაცემის შემდეგ, მაინც ვერავინ შეუშლის ხელს მოითხოვოს ბრალდებულის გამართლება.

საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულებს მათი სიმძიმის მიხედვით იძიებს პოლიცია პროკურორის მითითების საფუძველზე ან გამოძიების მოსამართლე. საპოლიციო გამოძიებას აწარმოებენ გამომძიებელი ოფიცრები, ე.წ. შეკვეცილი გამოძიების ფორმით. პრაქტიკაში ეს გამოძიების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა. რაც შეეხება ჩვეულებრივ გა-

[1] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 178.

მოძიებას, ის მცირერიცხოვან საქმეებზე ტარდება, რომელსაც წარმართავს გამოძიების მოსამართლე მას შემდეგ, როცა მას პროკურორის მიერ გამოსაძიებლად გადაეცემა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე.

ირლანდიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დევნის ორგანოა საჯარო დევნათა დირექტორის სამსახური, ხოლო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს საჯარო დევნათა სამსახურის დირექტორი, რომელიც საამოქალაქო მოსამსახურეა და ინიშნება მთავრობის მიერ, საკმაოდ რთული შერჩევითი პროცესის საფუძველზე. საჯარო დევნათა დირექტორი დამოუკიდებელი პირია, თავის საქმიანობაში თავისუფალია პარტიული თუ სხვა სახის პოლიტიკური ზეგავლენისაგან.

ირლანდიის კანონმდებლობა ადგენს, რომ საჯარო დევნათა დირექტორი არის ერთადერთი ბრალმდებელი, რომელსაც შეუძლია დევნა აწარმოოს ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც საბრალდებო დასკვნის საფუძველზე იდევნება. ასევე, აღნიშნული კანონმდებლობით, განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ საჯარო ბრალდებათა დირექტორის მსგავსად სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელონ დევნა. ირლანდიაში, როგორც წესი, საბრალდებო დასკვნის საფუძველზე დევნის წარმართვა წინასწარ სასამართლო თანხმობას არ მოითხოვს[1].

იტალიაში დევნის ორგანოა პროკურატურა, რომლის სტრუქტურა შედგება პროკურატურის სამსახურისაგან — პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ტრიბუნალის დონეზე და გენერალური პროკურორის სამსახურისაგან — სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს დონეზე.

იტალიიის სისხლის საპროცესო კანონმდებლობით, საჯარო ბრალმდებელი არის წინასწარი გამოძიების ხელმძღვანელი,

[1] იქვე, გვ. 202.

რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

იტალიის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ბრალმდებელი დევნას აწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. ეს ნორმა განმტკიცებულია იტალიის კონსტიტუციით. იტალიური სამართალი არ იცნობს დევნის „ხელსაყრელობის“ პრინციპს, რომელიც პროკურორს საშუალებას მისცემდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, იტალიის კონსტიტუცია გამორიცხავს გადახვევას ამ პრინციპიდან. ამავე ქვეყნის კანონმდებლობით, გარიგება ბრალის შესახებ გამორიცხულია. თუმცა, ბრალდებასა და დაცვას შორის შეთანხმება დასაშვებია მეტად შეზღუდული ფორმით. ეს, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ არსებობს „ხელსაყრელობის“ პრინციპის ბოროტად გამოყენების საფრთხე, იმის მიუხედავად, რომ ხელსაყრელობის პრინციპის დანერგვა ზოგჯერ შეიძლება სასარგებლოც კი ყოფილიყო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, რითაც ისინი გარკვეულად შეამცირებდნენ გამოსაძიებელ საქმეთა რაოდენობას, ვინაიდან პროკურორს არ აქვს საკმარისი დრო გამოიძიოს ყველა დანაშაული, რომელიც მას ეცნობება. ამიტომ, ისინი ცდილობენ მხოლოდ იმ საქმეების გამოძიებას, რომლებიც სოციალურად უფრო საშიშია.

იტალიაში ზოგიერთი დანაშაული შეიძლება იდევნებოდეს მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. დაზარალებულის საჩივრის არსებობა ნებას რთავს, მაგრამ არ ავალდებულებს პროკურორს აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა.

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ფაქტი დგინდება სააპელაციო მოკვლევის შედეგად, ხოლო წინასწარ გამოძიებას წარმართავს პროკურორი. სასამართლო პოლიციამ 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს პროკურორს მოკვლევის პირველადი შედეგები,

შემდეგ კი პოლიცია მოკვლევას აგრძელებს პროკურორის ინსტრუქციების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის საპროცესო კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებებით საკმაოდ გაფართოვდა საგამოძიებო ოფიცრების დამოუკიდებლობა[1].

პროკურორის მიერ გამოძიების ჩატარების მიზანია მტკიცებულების შეგროვება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, წარმოების ან შეწყვეტის შესახებ დადგენილების მისაღებად.

პროკურორი წინასწარი გამოძიების ეტაპზე ახორციელებს გამოძიების ხელმძღვანელობას. მას უფლება აქვს გამოძიების მსვლელობისას წინასწარი გამოძიების მოსამართლეს მოსთხოვოს საქმეზე მტკიცებულებების შეკრება და დამაგრება, ასევე დევნის შეწყვეტა, როცა ის თვლის, რომ დანაშაული არ არის ჩადენილი და ყველა სხვა შემთხვევაში, როცა საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებები არასაკმარისია პირის მსჯავრდების მისაღწევად. ასევე, პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, უფლება აქვს საქმეზე ახალი მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში წინასწარი გამოძიების მოსამართლეს მოსთხოვოს საქმეზე გამოძიების განახლება. საქმეზე ახალ გარემოებებს წინასწარი გამოძიების მოსამართლე ადგენს ასევე პროკურორის თხოვნით. თუ პროკურორი თვლის, რომ შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისია პირის მსჯავრდებისათვის, მას შეუძლია მოსთხოვოს წინასწარი გამოძიების მოხელეს ბრალდებულის სამართალში მიცემა. ასევე, პროკურორს შეუძლია თვითონ ჩამოაყალიბოს ბრალდება და საქმის მასალები გადასცეს ან წინასწარი გამოძიების მოსამართლეს, ან საქმის განმხილველ მოსამართლეს.

ლუქსემბურგში, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურატურა. პროკურატურა, ანუ საჯარო სამინისტრო, ახორციელებს პროკურორის ფუნქციებს. პროკურატურა პასუხისმგებელია არა მარტო დევნის წარმოებაზე, არამედ სისხლის სამართლის პროცესის მთლიან მსვლელობაზე. ამ ქვეყანაში სისხლისსამარ-

[1] იქვე. გვ. 263.

თლებრივი დევნის ფუნქციებს საპოლიციო სასამართლოში ახორციელებს პირველი ინსტანციის ტრიბუნალის პროკურორის მოადგილე ან იუსტიციის ატაშე, პირველი ინსტანციის ტრიბუნალში კი — სახელმწიფოს პროკურორი ან მისი ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო სააპელაციო ინსტანციის დონეზე დევნის ფუნქციას ახორციელებს სახელმწიფოს გენერალური პროკურორი.

ლუქსემბურგში საჯარო სამინისტრო, ანუ პროკურატურა, ისევე, როგორც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, იერარქიულად არის ჩამოყალიბებული და იგი დამოუკიდებელი უწყებაა.

ლუქსემბურგის სსს კოდექსის მიხედვით, დევნა შეიძლება აღძრან მხოლოდ იმ მოხელეებმა, რომლებსაც კანონი აღჭურავს ამ უფლებამოსილებით და დაზარალებულმა — კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგრამ, საჯარო სამინისტროს არ აქვს დევნის მონოპოლია, რამდენადაც, როგორც სამოქალაქო მხარეს, ასევე ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია საქმის სასამართლოზე გადაცემა. ამდენად, საჯარო სამინისტროს უფლებები ამ სფეროში გარკვეულწილად შეზღუდულია. მართალია, პროკურატურა, ანუ საჯარო სამინისტრო აღძრავს დევნას, მაგრამ შემდგომში მის საკითხს აღარ წყვეტს, ანუ არ აქვს უფლება დადოს გარიგება[1]. აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, გამოდის, რომ საჯარო ბრალმდებელს აქვს დევნის წარმოების უფლება და არა მოვალეობა, რადგან კანონმდებლობა არ ავალდებულებს საჯარო ბრალმდებელს, რომ დევნა აწარმოოს სამოქალაქო მხარის ჩარევის გარეშე, დანაშაულის შესახებ შემოსული ყველა უმნიშვნელო შეტყობინებების ან იმ საჩივრის საფუძველზე, რომლებიც საჯარო დევნის უშუალო ინტერესს არ წარმოადგენს. შესაბამისად,

[1] იქვე, გვ. 281.

პროკურორს არ ევალება აწარმოოს დევნა, თუნდაც დანაშაულის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში.

პროკურორს, კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე დევნის ან საქმის აღძვრის დისკრეციული უფლება გააჩნია, რასაც ხშირად იყენებს იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს საჯარო ინტერესების დაცვის საჭიროება.

ლუქსემბურგის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, წინასწარ საგამოძიებო მოქმედებებს წარმართავს სასამართლო პოლიცია, ანუ პირები, ვინც აღჭურვილნი არიან სასამართლო პოლიციის ოფიცრის უფლებამოსილებით. ეს პირები მოქმედებენ სახელმწიფო ბრალმდებლის მითითების საფუძველზე და მათ ზედამხედველობას უწევს გენერალური პროკურორი. სასამართლო პოლიციის მოვალეობაა დააფიქსიროს დანაშაული, შეაგროვოს მტკიცებულება და მიაგნოს დანაშაულის ჩამდენ პირს მანამდე, სანამ ოფიციალური გამოძიება არ დაწყებულა. გამოძიების დაწყების შემდეგ კი პოლიცია მოქმედებს საგამოძიებო სასამართლოების, ანუ გამოძიების მოსამართლისა და სასამართლო საბჭოს ინსტრუქციის საფუძველზე.

დანაშაულზე წასწრების შემთხვევის გარდა, გამოძიების მოსამართლეს გამოძიების წარმართვის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მოთხოვნას მიიღებს

ლუქსემბურგში პროკურორის ფუნქციებს ახორციელებს საჯარო სამინისტრო (პროკურატურა), რომელიც აღძრავს სისხლისსამართლებრივ დევნას და პასუხისმგებელია გამოძიების პროცესის მსვლელობაზე.

შოტლანდიის სსს კოდექსის მიხედვით, დევნას აწარმოებს ლორდი ადვოკატი, რომელიც, ამავე დროს, გვირგვინის მთავარ სამართლებრივ მოხელედ ითვლება და რომელსაც ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ამავე დროს, იგი არის ლორდთა პალატის წევრი.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების საქმეში ლორდი ადვოკატს ეხმარება მეორე რანგის სამართლებრივი მოხელე, შოტლანდიის გენერალური სოლისიტო-

რი და ედინბურგის გვირგვინის სამსახურის სამოქალაქო მოხელეთა მთელი შტატი.

ლორდი ადვოკატს შეუძლია პირადად აწარმოოს დევნა. ეს ეხება განსაკუთრებული სირთულისა და საჯარო მნიშვნელობის მქონე დანაშაულთა საქმეებს. საერთოდ კი, საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, ყოველგვარი დევნა მაღალ სასამართლოში ან შერიფის სასამართლოში, ლორდი ადვოკატის სახელით წარიმართება.

ზოგადად, შოტლანდიური სამართლის მიხედვით, ლორდი ადვოკატისათვის დამახასიათებელია თავისი ფუნქციის განხორციელება წარმომადგენელთა მეშვეობით. მაღალ სასამართლოში ამ ფუნქციას ასრულებენ ლორდი ადვოკატის მიერ შოტლანდიის ადვოკატურის წევრებიდან დანიშნული „გვირგვინის ადვოკატები".

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად, შოტლანდიური სამართალი დანაშაულის დევნას მიიჩნევს საჯარო ფუნქციად, რომელიც, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ხორციელდება ამ მიზნით დანიშნული სახელმწიფო მოხელეთა მიერ. ამავე ქვეყნის კანონმდებლობით, საჯარო ბრალმდებელი არ სარგებლობს დევნის ექსკლუზიური უფლებით და ზოგიერთი სახის დანაშაულებზე კერძო მოქალაქეებსაც შეუძლიათ დევნის წამოწყება, მაგრამ დანაშაულთა დევნის პასუხისმგებლობა მაინც საჯარო მოხელის კისერზეა[1].

შოტლანდიის სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პასუხისმგებლობა დანაშაულთა გამოძიებაზე, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად, ეკისრება ადგილობრივ პროკურორს. პრაქტიკაში კი დანაშაულთა გამოძიების პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციას, რომელიც მას ახორციელებს ადგილობრივი პროკურორის საერთო ზედამზედველობის ქვეშ. პოლიციის შესახებ 1967 წლის კანონის 17(2) მუხლი ადგენს, რომ დანაშაულთა გამოძიებისას უფროსი ვალდებულია შეასრულოს

[1] იქვე, გვ. 358.

შესაბამისი პროკურორის კანონიერი მითითებები. პროკურორი წყვეტს საკითხს, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელია თუ არა პირის სისხლისსამართლებრივი დევნა. ამისათვის პოლიციას ევალება გამოძიების შედეგები სრულად წარუდგინოს პროკურორს, რათა მან მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება[1]. პრაქტიკაში დევნის შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორი ღებულობს მხოლოდ პოლიციის მიერ შეგროებულ მასალებზე დაყრდნობით, დამატებითი გამოძიების ჩატარების გარეშე[2].

ესპანეთის სისხლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებს პროკურორი, რომელიც დევნის ფუნქციის განხორციელების მიზნით მოქმედებს დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნით. რა თქმა უნდა, საჯარო ბრალმდებლის ფუნქციები დადგენილია ესპანეთის კონსტიტუციით, მაგრამ ეს ფუნქციები უფრო დეტალურად რეგულირებულია კანონით პროკურატურის შესახებ. საჯარო ბრალმდებელი ხელს უწყობს ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელებას მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებების და კანონით დადგენილი საჯარო ინტერესების დაცვის გზით.

ესპანეთის კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნა საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია წამოიწყოს. ეს არ არის მარტო პროკურატურის ფუნქცია.

ბელგიაში, ყოველგვარი დანაშაულის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებს საჯარო სამინისტრო, რომელიც შედგება წინასწარ გამოძიებაში და სასამართლოში დევნის განმახორციელებელი მოხელეებისაგან. ამ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნის ორაგანო მოწყობილია ნაპოლეონის კოდექსის იდეის მიხედვით, რომლის თანახმად, საჯარო სამინისტროს, ანუ პროკურატურის თითოეული წევრი იერარქიულად ექვემდებარება ზემდგომ პროკურორს. წინასწარი გამოძი-

[1] Smith v. H. M. Advocate, 1952, JC. 66

[2] კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ. გვ. 358.

ების, ანუ სასამართლოს წინა სტადიაზე, პროკურორი გარკვეულად შებოჭილია ზემდგომი პროკურატურის ინსტრუქციებით, რის საფუძველზეც იგი ვალდებულია, შეასრულოს მეფის პროკურორის წერილობითი ბრძანებები კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ, თუნდაც მიაჩნდეს, რომ დევნა მიზანშეუწონელია. მაგრამ, პროკურორი სასამართლოში იძენს სრულ თავისუფლებას და როგორც მეფის პროკურორის მოადგილეს, ასევე სხვა პროკურორს, შეუძლია სასამართლოში მოითხოვოს პირის გამართლება.

ბელგიის პროკურატურის სათავეში დგას სააპელაციო სასამართლოს საჯარო ბრალმდებელი, ანუ გენერალური პროკურორი, რომელთა რიცხვი სააპელაციო სასამართლოთა მიხედვით ხუთია. საჯარო ბრალმდებლებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საქმეში ეხმარებიან გენერალური ადვოკატები და გენერალური პროკურორის მოადგილეები. მათი ქვემდგომი რგოლია პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორი, რომლებიც ინიშნებიან თითოეულ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მათ ეწოდებათ მეფის პროკურორი, რომელთაც ჰყავთ რამდენიმე თანაშემწე.

ბელგიის სასამართლო სისტემა კერძო სამართლებრივ დევნას არ იცნობს. დაზარალებულს ამ ქვეყნის კანონმდებლობით შეუძლია მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა, რაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად განიხილება.

ბელგიის კანონმდებლობით, გამოძიების ხელმძღვანელს წარმოადგენს საჯარო ბრალმდებელი (პროკურორი). ის წყვეტს საკითხს, თუ რა მოქმედებები უნდა ჩატარდეს პოლიციიდან დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ. მას შეუძლია ნებისმიერ სტადიაზე შეწყვიტოს საქმე.

პროკურორი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო პოლიციის მოხელეს, აღჭურვილია დანაშაულის გამოძიების ზოგადი უფლებამოსილებით. მას აქვს იგივე საგამოძიებო უფლებამოსილება, რაც პოლიციას. პროკურორს შეუძლია ჩაატაროს ყოველგვარი საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში საგამოძიებო მოქმედებას ახორციელებს პოლიცია საჯარო ბრალმდებლის ინსტრუქციით.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა უმრავლესობის გამოძიება ამ წესით ხდება, ის მოწესრიგებული არ არის ბელგიის სისხლის საპროცესო კოდექსით. საჯარო ბრალმდებელს (პროკურორს) შეუძლია გასცეს ბრძანება ყველა აუცილებელი მოქმედების ჩასატარებლად იმ შეზღუდვით, რომ დაიცვას კანონი. მას არ შეუძლია გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებანი (ჩხრეკა, ამოღება, ყადაღა), რომლითაც შეიზღუდება ბრალდებულის ან მხარის ფუნდამენტური უფლებები. ამგვარი მოქმედებების ჩატარება შეუძლია მხოლოდ მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში გამოძიებას წარმართავს სპეციალური — გამოძიების მოსამართლე და გამოძიებას ეწოდება წინასწარი სასამართლო გამოძიება.

დანიაში სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები რეგულირებულია კანონში „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“, რადგან დანიას არ აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება აქვს ადგილობრივი პოლიციის უფროსს, რომელსაც გააჩნია ასევე ყოველგვარი საქმის გამოძიების უფლებამოსილება. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში შეკრებილი მტკიცებულებებისა და მათი შეფასების საფუძველზე, პოლიციის უფროსი ან მისი მოადგილე წყვეტს საკითხს დევნის შესაძლებლობის შესახებ. დანიის კანონმდებლობით, პოლიციის უფროსს და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეს კვალიფიციური სამართლებრივი განათლება, რათა ობიექტურად გადაწყვიტონ დევნის ფუნქცია.

სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებულია კარგად აწონ-დაწონოს საკითხი — არის თუ არა საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების დასადგენად და უარყოფით შემთხვევაში უარი თქვას დევნის განხორციელებაზე, დევნის მოტივების და ბრალდების მოხსნის გზით. როგორც დანიის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, დევნის საკითხისადმი ასეთი მიდგომით, ნაკლებია

წინააღმდეგობრივი სასამართლო პროცესები და იშვიათია გამამართლებელი განაჩენები.

ნიდერლანდებში ყოველი სისხლის სამართლის საქმე იწყება პოლიციის მიერ დანაშაულებრივი ფაქტების მოკვლევით, რაც ხდება პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ. ამას საფუძვლად უდევს პოლიციაში შესული შეტყობინება, დაზარალებულის საჩივარი ან თვით პოლიციის მიერ იმ ფაქტების უშუალოდ გამოვლენა, რომლებიც წარმოშობენ გონივრულ ეჭვს ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, პროკურორს საქმის გამოძიებისას შეუძლია გამოძიების მოხელეს მოსთხოვოს წინასწარი სასამართლო გამოძიების დაწყება. როგორც წესი, პროკურორი ასეთ მოთხოვნას აკეთებს იმის გამო, რომ საჭიროა ზოგიერთი საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სატელეფონო მოსმენა, მოწმეების იძულებით მოყვანა და დაკითხვა, ან ბრალდებულის გონებრივი მდგომარეობის შემოწმება.

წინასწარ სასამართლო გამოძიებას წარმართავს გამოძიების მოხელე. წინასწარი სასამართლო გამოძიება ძირითადად მიზნად ისახავს საქმე გამოიკვლიოს იმ დონემდე, რომლითაც პროკურორს მიეცემა სათანადო შესაძლებლობა გადაწყვიტოს დევნის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხი. ნიდერლანდებში კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ წინასწარი საპოლიციო გამოძიება უნდა ჩატარდეს პროკურორის ხელმძღვანელობით.

ნიდერლანდებში პროკურატურას, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას, სხვადასხვა ამოცანა აკისრია. კერძოდ, დანაშაულის გამოძიების წარმართვა, დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, განვიხილეთ სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი – პროკურორის საქმიანობა გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნისს და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმები და მეთოდები.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა პროკურორის უფლებამოსილებანი, რაც განსაკუთრებულად შეინიშნება გამოძიების სტადიაზე. თანამედროვე რეალობაში პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა.

განსაკუთრებულია პროკურორის როლი და საქმიანობა გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა.

სწორედ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს მიეძღვნა ჩვენი ნაშრომი.

წარმოდგენილი თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც განაპირობა ამ საკითხისადმი ჩვენი სამეცნიერო დაინტერესება და საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნული საკითხის მეცნიერული დამუშავება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და

მნიშვნელობა, პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, დისკრეციული დევნის პრინციპები, პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნება, ამოცანები, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი).

ნაშრომში შევეხეთ აღნიშნულ თემაზე მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებს და შეხედულებებს. ნაშრომში მოყვანილია როგორც მათი, ასევე ჩვენი მოსაზრებები საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით

გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობას, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პრობლემას იურიდიულ-საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთა მიერ არაერთი შრომა მიეძღვნა, სადაც გადმოცემულია შესაბამისი მეცნიერული დებულებები და გამოთქმულია ავტორთა შეხედულებები ამ კუთხით, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის, მოყვანილია იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებები ამ საკითხზე, მათი მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები, შედეგები, მოსაზრებები და წინადადებები შეიძლება გამოყენებული იქნას კანონშემოქმედებით საქმიანობაში, გათვალისწინებული იქნას როგორც სისხლის სამართალწარმოების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის, ასევე მთლიანად სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში, პრაქტიკული ხასიათის დასკვნები და წინადადებები შესაძლებელია კონკრეტული სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული იქნას მათ პრაქტიკულ, ხოლო თეორიული დებულებები და რეკომენდაციები შესაბამისი იურიდიული სასწავლებლების მიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში.

ამასთან, როგორც ცნობილია, 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. ამ ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა, მათ შორის, დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ასევე, ამავე კოდექსით ახლებურადაა მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები და გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა.

უდავოა, რომ უკანასკნელ პერიოდში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით მკვეთრად გაიზარდა პროკურორის როლი, მისი საპროცესო სტატუსი, განსაკუთრებით კი გამოძიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით. პროკურორს სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტებს შორის უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და გააჩნია ფართო უფლებამოსილება.

გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა საკმაოდ აქტუალური და საპრობლემო საკითხია. მითუმეტეს ახლა, როცა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა რეგულირებულია სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპე-

ბის ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულონ სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება, აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე, მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის, განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან, ხელს შეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდი და სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი კომპონენტია. თავის მხრივ, პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება მეტად რთული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პროკურორის უფლება-მოვალეობათა ნუსხის გაფართოებამ კიდევ უფრო ეფექტიანი და მნიშვნელოვანი გახადა მისი საქმიანობა სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით, რაც წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორის ყოველდღიური საქმიანობით მიღწეულ დადებით შედეგებში აისახა.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. პროკურორს გამოძიების სტადიაზე განმსაზღვრელი ადგილი უკავია. საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორს აქვს საკმაოდ ფართო და საპასუხისმგებლო უფლება-მოვალეობანი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში ეყრდნობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, ე. ი. პროკურორის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი საპროცესო მდგომარეობა. ამ სტადიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკურორის საპროცესო ფუნქციები, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა.

2. პროკურორის როლი სისხლის სამართალწარმოების საქმეში ორმაგია, რადგან, ჯერ ერთი, ის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფოს სახელით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და მეორეც, სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

3. პროკურორს სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტებს შორის უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და გააჩნია ფართო უფლებამოსილება, ამასთან, გარკვეული ვალდებულებები, რათა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა.

4. განსაკუთრებული და არსებითია პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებაში. სწორედ პროკურორი ახდენს ორგანიზებას და უშუალოდ წარმართავს სისხლისსამართლებრივი დევნას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. იგი გვევლინება ამ საქმიანობის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ სრულიად საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

5. პროკურორის უფლებამოსილების, მისი საპროცესო მდგომარეობის ანალიზი გამოძიების სტადიაზე გვარწმუნებს,

რომ პროკურორის საპროცესო სტატუსის, მისი უფლებამოსილების გამოყენება წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამოძიების ობიექტური ჩატარება, გამოძიების მწარმოებელი ორგანოს და კონკრეტული პირის მხრიდან კანონიერების სრული დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ეფექტური განხორციელება.

6. წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ ქმედითი სისხლისსამართლებრივი დევნის და ყოველდღიური საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების პირობებში შესაძლებელია სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, პირის დანაშაულში მხილება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და საქმეზე საბოლოო კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

7. გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით, პროკურორის საქმიანობა უნდა შეფასდეს, როგორც კანონიერების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

8. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამართლებრივი მნიშვნელობა და პროკურორის როლი მის განხორციელებაში ერთხელ კიდევ მიანიშნებს პროკურორის საპროცესო უფლებების, მისი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შემდგომი სრულყოფის, საპროცესო გარანტიების გაძლიერების აუცილებლობაზე, კანონიერების, სამართლიანობის და ობიექტურობის დაცვის ეფექტურობაზე.

9. პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის საკითხს აქვს არა მარტო მეცნიერული ინტერესი, არამედ ის უკიდურესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

10. ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები, შედეგები, მოსაზრებები და წინადადებები შეიძლება გამოყენებული იქნას კანონშემოქმედებით საქმიანობაში, გათვალისწინებული იქნას როგორც სისხლის სამართალწარმოების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის, ასევე მთლიანად სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკული ხასიათის დასკვნები და წინადადებები შესაძლებელია კონკრეტული სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული იქნას მათ პრაქტიკულ, ხოლო თეორიული დებულებები და რეკომენდაციები შესაბამისი იურიდიული სასწავლებლების მიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში.

ამრიგად, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, გამოძიების ეტაპზე პროკურორის საქმიანობის როლი და მნიშვნელობა ის არის, რომ სამართალწარმოების ამ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით და გამოძიების მწარმოებელ ცალკეულ ორგანოთა და გამომძიებელთა საქმიანობაზე პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობით მიღწეულია დანაშაულის გახსნა, დამნაშავე პირის დადგენა, მისი პასუხისგებაში მიცემა, კანონის დარღვევის აღკვეთა და როგორც ზოგადად კანონიერების, ასევე პროცესის მონაწილე პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამას, პროკურორი აღწევს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებით. გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის და საპროცესო ხელმძღვანელობის როლი და მნიშვნელობა დადასტურებული და განმტკიცებულია საქართველოში საპროკურორო საქმიანობის მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზით.

რეზიუმე

სისხლის სამართალწარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროკურორის საქმიანობას გამოძიების სტადიაზე, რასაც საფუძვლად უდევს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პროკურორისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები და მისი საპროცესო მდგომარეობა.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა პროკურორის უფლებამოსილებანი, რაც განსაკუთრებულად შეინიშნება გამოძიების სტადიაზე. თანამედროვე რეალობაში პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში, განსაკუთრებით კი — გამოძიების სტადიაზე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამ ეტაპზე საკმაოდ აქტუალურია მისი როლი,

განსაკუთრებულია პროკურორის როლი და საქმიანობა გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა.

სწორედ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას, მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს ეხება ჩვენი ნაშრომი.

ეს თემა, განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხისადმი ჩვენი სამეცნიერო დაინტერესება. 2010 წლის პირველ ოქტომბერს, ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ახლებურად მოწესრიგება, დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ასევე

ამავე კოდექსით ახლებურადაა მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები და გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა.

ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა რეგულირებული იქნება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას დროული და კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ყოველმხრივი და კონკრეტული გამოძიება, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, იმ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას.

პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, განსაზღვრავს მისი მოქმედებების საბოლოო მიზანს — უზრუნველყოს სისხლის სამართლის წარმოება, დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი პირი, მისცეს იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიება სასჯელის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

გამოძიებასა და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც გამოძიების სტადიაზე, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას. იგი ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია. საპ-

როცესო ფუნქციის განხოციელების დროს, პროკურორის საქმიანობას საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით, თავისი საკმაოდ დადებითი, ეფექტური შედეგები მოსდევს.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის პროკურორის საპროცესო ფუნქციის რეალიზაციის მეთოდი, ფორმა. პროკურატურის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა თანაბრად და ერთიან სამართლებრივ ფორმებში ვრცელდება გამოძიების ყველა ორგანოზე და არ არის დამოკიდებული მათ უწყებრივ კუთვნილებაზე.

გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთადერთი ეფექტური საშუალება არის პროკურორის მიერ გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების სტადიაზე საჭირო და აუცილებელია პროკურორის საპროცესო უფლებამოსილების გაზრდა და გაფართოება.

ნაშრომში, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას - პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელებას გამოძიების სტადიაზე, შეძლებისდაგვარად განხილული და გაანალიზებულია პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, გადმოცემულია მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, ჩვენი შეხედულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

პროკურორის საქმიანობა გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით, უნდა შეფასდეს როგორც კანონიერების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

ნაშრომში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, შოტლანდიის, ნიდერლანდების, ესპანეთის, ბელგიის და დანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.

SUMMARY

In Criminal proceedings main importance is set on procurator's work during investigations, based on special rights and authority and his proceeding status granted to procurator according to legislation of criminal law proceedings.

New Criminal Procedure Code of Georgia gives even more power and authority to procurator which is especially perceptible during investigations. In modern reality procurator is important figure in criminal proceedings and especially on investigation phase his role is quite active.

Procurators role is also important in criminal prosecution and in case of a management of investigation process ; Criminal prosecution and a management of investigation process is one of his priority function.

Our dissertational and scientific research work is dedicated to criminal prosecution and a management of investigation process as one of the most important problem of criminal proceeding theory, its theoretical and practical importance.

This subject is very active nowadays, which is the cause of our interest in this research. On October 1st 2010 Criminal Procedure Code of Georgia entered into force. This new normative act brought many legislative innovations including new way of solving criminal prosecution issue, legalization of discretion principal in present Georgian criminal proceeding legislation. Also the same code on the modern is ordered and generated principles of criminal prosecution and management of investigation process.

But abovementioned discretion is not unlimited. Initiation, execution and termination of prosecution against the person should be regulated according to mandatory indications – criminal politics.

In order to ensure the abovementioned, according to the order 8/10/2010 of Ministry of Justice "about verification of general principals of criminal politic guideline" those general directions where defined according to which prosecution bodies should perform State function in accordance with criminal politics in order to execute high quality

criminal prosecution.

The aim of criminal prosecution during investigations is to ensure timely and legal initiation of criminal prosecution, overall and certain investigation, quick and complete opening of crime, reveal of circumstances which encourage commission of crime and defense rights of procedure members.

The aim of criminal prosecution is to not let the criminals to avoid criminal responsibilities.

Execution of criminal prosecution by procurators during investigation is the final aim of his activities – ensure criminal proceeding, determination of person committing crime, set him a criminal responsibilities and to use measures in accordance with legislations for ensuring sentence which is the main aim of criminal prosecution on this stage.

The remedial management of investigation and activity of bodies of investigation is carried out by the public prosecutor, which at the stage of investigation as the remedial head of investigation, within the powers of law directs it all activity on investigation. At this stage it is the guarantor of observance of legality. During realization of remedial functions activity of the public prosecutor from the point of view of a remedial management, cause enough positive, effective results.

The remedial management of investigation is the form, a method of realization of remedial function of the public prosecutor. The remedial management which is carried out by Office of Public Prosecutor at a stage of investigation is equal and in uniform legal forms extends on all bodies of investigation and does not depend on their departmental accessory.

Unique effective remedy of maintenance of observance of legality at an investigation stage is realization by the public prosecutor of a perfect remedial management by investigation that once again specifies in that circumstance that at an investigation stage expansion and increase remedial power of the public prosecutor are necessary and obligatory.

In the work, concerning one of the major problems of the theory of criminal trial realization and criminal legislative prosecutions by the public prosecutor of a remedial management by investigation at an

investigation stage, but possibilities are considered, conceptual bases of legal institute of a remedial management of investigation are analyzed by the public prosecutor, the opinions of scientifics-lawyers are given and also our opinions on these questions.

The activities of procurator during investigation according to criminal prosecution and a management of investigation process should be estimated as important guarantee of protection of law.

Based on comparative analysis, scientific work discusses criminal prosecution and a management of investigation process of foreign countries particularly according with criminal proceeding legislation of England, France, USA, Germany, Greece, Netherlands, Ireland, Belgium and Denmark.

РЕЗЮМЕ

В уголовном судопроизводстве особое значение придается деятельности прокурора на стадии следствия и это основывается на процессуальном положении и особых правах прокурора, которые даются ему уголовно-процессуальным законодательством.

Новый кодекс уголовного процесса Грузии увеличил и усилил полномочия прокурора, что особенно заметно на стадии следствия. В современной реальности в уголовном правопроизводстве, особенно на стадии следствия, прокурор достаточно значимая фигура и его роль на этим этапе особенно актуальна.

Именно уголовного преследования и процессуального руководства следствием, как важнейших проблем теории уголовного процесса, ых теоретического и практического значения, осуществления прокурором функций уголовного преследования и процессуального руководства следствием, вопросов ых правового регулирования на стадии следствия, касается данная научная работа.

Ета тема особенно актуальна в современных условиях, что и вызвало нашу научную заинтересованность данным вопросом. 1 октября 2010 года в законную силу вступил уголовно-процессуальный кодекс Грузии. этот новый нормативный акт внес много новшеств, в том числе по новому упорядочен вопрос уголовно-правового преследования , появился принцип дискреции в современном грузинском уголовно-процессуальном законодательстве. этим же кодексом определено,что уголовно-процессуальное преследование может быть только публичным,его начало и осуществление является исключительно прокурорским дискреционным правомочием.

Вместе с тем указанная дискреция не является неограниченной. Производстство и прекращение преследования в отношении конкретного лица регулируются обязательными указаниями - политикой уголовного права.

В целях обеспечения вышеуказанного,приказом министра юстиции Грузии от 8 октября 2010 года "Об утверждении общей части руководящих принципов политики уголовного права" определены те основные направления, по которым органы прокуратуры в

соответствии с политикой уголовного права, должны исполнить государственную функцию в целях осуществления высококачественного уголовного преследования. задачей уголовно-правового преследования на стадии следствия является обеспечение его своевременного начала и проведение конкретного, законного и всестороннего следствия, незамедлительного и полного раскрытия преступления, выявление тех обстоятельств, которые способствовали совершению преступления,также защита прав участников процесса.

Целью уголовного преследования является достижение неотвратимости наказания чтобы ни одно лицо, совершившее преступление не ушло от уголовной ответственности.

Значение уголовного преследования заключается в том,что является основным средством защиты публичных интересов в уголовном процессе.

Осуществление прокурором уголовного преследования на стадии следствия определяет конечную цель его действий - обеспечить уголовноправовое производство, установить лицо, совершившее преступление и привлечь его к уголовной ответственности.

Применить к нему предусмотренные законом мероприятия для обеспечения назначения наказания, что является основной целью уголовного преследования на этом этапе.

Деятельность прокурора на стадии следствия по уголовному преследованию должна быть оценена как значительная гарантия охраны законности.

Роль и деятельность прокурора важны с точки зрения процессуального руководства следствием. Процессуальное руководство расследованием - достаточно актуальный и проблемный вопрос в уголовном процессе. Оно является одной из приоритетных функций прокурора.

Процессуальное руководство следствием и деятельностью следствввенных органов осуществляет прокурор, который на стадии следствия, как процессуальный руководитель следствия, в пределах данных ему законом полномочий направляет всю деятельность по следствию. На этой стадии он является гарантом соблюдения законности. Во время осуществления процессуальных функций

деятельность прокурора с точки зрения процессуального руководства, вызывает достсточно положительные, эффективные результаты.

Процессуальное руководство следствием есть форма, метод реализации процессуальной функции прокурора. Процессуальное руководство, осуществляемое прокуратурой на стадии расследования равно и в единых правовых формах распространяется на все органы следствия и не зависит от их ведомственной принадлежности.

Единственным эффективным средством обеспечения соблюдения законности на стадии следствия является осуществление прокурором совершенного процессуального руководства следствием, что еще раз указывает на то обстоятельство, что на стадии следствия необходимы и обязательны расширение и возрастание процессуальных полномочии прокурора.

Исходя из актуальности данного труда, мы последовательно рассмотрели историю создания и развития прокуратуры, принципы, функции и задачи ее деятельности; сущность и значение следствия, как одного из основных стадий осуществления уголовного судопроизводства, исходя из существующей реальности – деятельность прокурора и процессуальное положение на стадии следствия; понятие, задачи, значение уголовного преследования и процессуального руководства следствием.

В работе, касающейся одной из важнейших проблем теории уголовного процесса – осуществления прокурором уголовного преследования и процессуального руководства расследованием на стадии следствия, по возможности рассмотрены и проанализированы концептуальные основы правового института уголовного преследования и процессуального руководства следствия прокурором, даны взгляды ученых – юристов и также наше мнение по этим вопросам.

В данном труде, на основе сравнительного анализа рассмотрены вопросы уголовного преследования и процессуального руководство следствием в зарубежных странах, в частности, в соответствии с уголовно-процессуальным законодателтством Англии, Франции, Германии, США, Италии, Бельгии, Люксембурга, Нидерландов, Шотландии, Ирландии, Испании, Данииа Греции.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა (კოდექსები, კანონები, საცნობარო ენციკლოპედიები) :

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი. 1995 წ.

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2010 წ.

3. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, თბილისი. 2008 წელი.

4. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, თბილისი. 1999 წ.

5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი, 2010 წლის 8 ოქტომბერი.

6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. 1984 წ. მე-8 ტომი.

7. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головко. М., 2000 г.

სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, თემატური კრებულები, დისერტაციები და დისერტაციის ავტორეფერატები:

1. ი. გაბისონია. „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. ქ. თბილისი. 1999 წ .

2. Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. Издателство « Наука ». Москва 1975 год.

3. ა. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა საბჭოთა კავშირში (სახელმძღვანელო), თბ. 1970 წ.

4. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი და კერძო კერძო ნაწილი, თბილისი 2008 წ.

5. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. Под. Ред. И. Л. Петрухина. М. 2006 г.

6. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. ა.ფალიაშვილის და ლ. თალაკვაძის რედაქციით. თბილისი. 1988 წელი.

7. Жогин Р. В. Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. Юридическая литература. 1968 г.

8. Яковенко В. В Уголовное преследование и роль прокурора в его осуществлений . Дис.канд. юрид. наук. М. 2006 г.

9. Божев В. П. Уголовно-процессуальные правоотношения. М. 1975.

10. Строгович М. С. Курс советского Уголовного процесса. М. 1968 г. Т.1.

11. Строгович М.С. Уголовное преследование в советском уголовном процессе. - М., 1951 г.

12. Фаткуллин Ф. Н. Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе. Автореферат кандидатской диссертации. М. 1959 г.

13. Коврига З. Ф. Процессуальные проблемы Уголовного преследования и зашиты. Правовая конфликтология. Воронеж. 2000 г.

14. Соловьев А. Б. Функция Уголовного преследования в досудебных стадиях процесса. Прокуратура и правосудие в условиях судебно- правовой реформы. М. 1997 г.

15. Настольная книга Прокурора. Под. ред. С. И. Герасимова. М. 2002 г.

16. Лобанов А.П. Функции уголовного преследования и защиты в российском судопроизводстве: Автореф. дис. : докт. юрид. наук. - М., 1996.

17. Гаврилов В.В. Слово государственному обвинителю. Поддержание государственного обвинения в суде. - Саратов, 1998.

18. Гулиева Н. И. Проблемы реализации принципа дискреционного уголовного преследования в российском и зарубежном уголовном судопроизводстве. Дис.канд. юрид. наук. Ростов- на-Дону. 2004 г.

19. Коленцова В. В. Реализация принципа обеспечения законных интересов личности в досудебном производстве. Дис.канд. юрид. наук.Челябинск. 2002 г.

20. Тишковец Е. И. Следователь как субьект Уголовного преследования. Дис.канд. юрид. наук. Воронеж. 2003 г.

21. Лифанова Л. Г. Прекращение уголовного преследования за непричастностью подозреваемого или обвиняемого к совершению преступления. Дис.канд. юрид. наук. М. 2005 г.

22. Болтошев Е.Д. Функции прокурора в досудебных стадиях уголовного процесса. - М., 2002.

23. Кокорев Л.Д. Участники правосудия по уголовным делам. - Воронеж, 1971.

24. Уголовнныи процесс России. Учеб. пособие. Под. ред. З. Ф. Ковриги и Н. П. Кузнецова. Воронеж. 2003 г.

25. Баев О. Я. Прокурор как субьект Уголовного преследования. Научно- практическое пособие. М. 2006 г.

26. Сухарева. Н. Д Прекрашение уголовного преследования в стадии предварительного расследования. Автореф. дис. канд. юрид. наук. Иркутск. 2002 г.

27. Ларин А. М. Расследование по уголовному делу. процессуальные Функции. М. 1986 г.

28. Зеленецкий В. С. Функциональная структура прокурорской деятельности. Харьков. 1978 г.

29. შ. ფაფიაშვილი, ა. თევზაძე. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა. თბ. 2002 წ.

30. Уголовный процесс России. Учебник. Под.Науч. ред.В. Т. Томина. М. 2003

31. Основы оперативно-розыскной деятельности. Учебник для юридических вузов. Под. ред. В. Б. Рушаило. 2002 г.

32. Федулов А. В. Реализация принципа публичности в современном уголовном судопроизводстве . Дис.канд. юрид. наук. Нижний Новгород., 2002 г.

33. Еникеев З. Д. уголовное преследование. Уфа. 2000 г.

34. Тушев А. А. Прокурор в уголовном процессе Россиискоой федерации. Санкт-Петербург.2005.

35. Михайловская И. Б Цели, функции и принципы Уголовного судопроизводства. М. 2003 г.

36. Лобанов А.П. Теория уголовного преследования и защиты в Россиискоом Уголовном судопроизводстве. Тверь. 1999 г.

37. Строгович М. С. Курс советского Уголовного процесса. М. 1970 г. Т.1.

38. Халиулин А. Г. уголовное преследование как Функция прокуратуры Р. Ф. Дис. д-ра. юрид. наук. М. 1997.

39. Александров А.С., Гущев В.Е. Народное обвинение в уголовном суде. - Н.Новгород: НЮИ МВД РФ, 1998.

40. Фойницкий И.Я. Курс уголовного судопроизводства. - Спб., 1912. - Т. 2.

41. Якубович Н. А. Процессуальные функции следователя. Проблемы предварительного следствия в уголовном судопроизводстве. М. 1980 г.

42. Никитин Е.Л. Актуальные проблемы прокурорской деятельности при осуществлении уголовного преследования: Дис. : канд. юрид. наук. - СПб., 2000.

43. Халиулин А.Г. Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. - Кемерово, 1997.

44. Сухарев А. Я. Российская прокуратура: история и реальности преобразования. Проблемы совершенствования прокурорского надзора.

45. Чельцов М. А. Уголовный процесс. М. 1948 г.

46. Гродзинский М. Начало целесообразности в обвинении. „ВСЮ“. 1925 г. №6.

47. Строгович М. С. Уголовный процесс. М. 1946 г.

48. Рахунов Р. Д. Предварительное расследование в советском уголовном процессе. Автореферат докторской диссертации М. 1953 г.

49. Законы о прокуратуре стран СНГ и Балтии. М. 1995 г.

50. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბილისი 2004 წ.

51. შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 1999 წ.

52. Елкинд П. С. Сущность советского Уголовно-процессуального права. Л.1963 г.

53. Рахунов Р. Д. Участники уголовно-процессуальной деятельности. М. 1961 г.

54. Безлебкин Б. Т. Уголовный процесс России. Учебник. М. 2004 г.

55. ი. აბაშიძე. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ბათუმი, 2008

56. “Rechtswoerterbuch”, begruendet von Dr. Carl Creifelds; herausgegeben von Dr. Klaus Weber; Ver;ag C. H. Muenchen. 2007.

57. Володина Л. М. Механизм обеспечения прав личности в российском уголовном процессе. Дис.канд. юрид. наук. Екатеринбург. 1999 г.

58. Масленикова Л. Н. Судебный контроль за законностью процессуальной деятельности органов дознания и предварительного следствия. М. 1994.

59. Колоколов Н. А. Судебный контроль на стадии предварительного расследования. Курск, 2000 г.

60. Ковтун Н. Н. Судебный контроль в уголовном судопроизводстве России: понятие, сущность, формы: Дис.канд. юрид. наук. Н. Новгород, 2002 г.

61. Петрухин И.Л. Теоретические основы реформы уголовного процесса в России. Часть 1. М., 2004.

62. Дубина И. А. Задачи досудебного уголовного судопроизводства и роль прокурора в их достижении . Дис.канд. юрид. наук. М. 2006 г.

63. Тарасова – Родионова П. Н. Предварительное следствие. Госюриздат. 1955 г.

64. Тадевосян В. С. Прокурорский надзор в СССР. Госюриздат. 1956 г.

65. Лебединский В. Г. Каленов Ю. А. Прокурорский надзор в СССР. Госюриздат. 1957 г.

66. Мирошниченко И. Я. Прокурор в стадии предварительного расследования уголовных дел. «Вестник МГУ». Серия «Право». 1973 г. №2.

67. Емельянов И. В. Организационные и процессуальные отношения в деятельности прокурора, надзирающего за расследованием. М. 1985 г.

68. Ларин А. М. Расследование по уголовному делу: процессуальные функции. М. 1986 г.

69. Чувилев А. А. Прокурорский надзор в РФ. М. 1999 г.

70. Зеленский В.Д. Организация расследования преступлений. Ростов Н/Д, 1989 г.

71. Скаредов Г. Н. Участие прокурора в следственных действях. М. 1987 г.

72. Уголовный процесс. Под. ред. Н. С. Алексева, В. В. Лукашевича, П. С. Елькинд. 1972 г

73. Галькин Б. А. Уголовно-процессуальный закон. Госюриздат. 1962 г.

74. Иванов В. А. Прокурорский надзор в борьбе с преступностью. изд-во ЛГУ, 1964

75. Перов Д. Н. Актуальные проблемы предварительного расследования. Изд-во Воронежского ун-та, 1963 г, стр. 18-19.

76. Видря М. М. Прокурор и его полномочия при надзоре за исполнением законов в деятельности органов предварительного расследованя – в книге: Участники предварительного расследованя. Волгоград, 1972 г.

77. Михаилов В. А. Прокурорский надзор за прекращением уголовных дел на предварительном следствии в уголовном процессе. Автореф. канд.дис. Воронеж,1968 г.

78. Калмыков Ю. Н. Стремовский В. А. Обвинительное заключение в уголовном процессе. Ростов- на-Дону, 1970 г, стр. 144.

79. Басков В. Н. Прокурорский надзор. М. 1995 г, стр. 244.

80. Мельников Н. В. Прокурорская власть и личность: правовые средства обеспечения прав и свобод граждан России. М. 2003 г, стр. 166.

81. Гусев Л. Н. Процессуальное положение следователя в уголовном процессе. Госюриздат. 1959 г.

82. Каминская В. Н. Уголовно-процессуальный закон – в кн: Демократические основы советского социалистического правосудия. под. ред. М. С. Строговича.

83. Елкинд П. С. Талкование и применение норм уголовно-процессуального права. Юридическая литература. 1967 г.

84. Добровольская Т. Н. Принципы уголовного процесса. Юридическая литература. 1971 г.

85. გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბილისი, 2007 წელი.

86. ნ. გვენეტაძე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ევროპული კონვენცია, VII ოქმი და საპროცესო შეთანხმება. ბროშურა. სამართლიანი სასამართლო უფლება. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. თბ. 2005 წ.

87. ნ. გვენეტაძე, მ. ტურავა. სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია. თბილისი, 2005 წ.

88. Уолкер Р. Английская судебная система. М. 1980 г .

89. Уолкер Р. Правовые системы стран Мира. М. 2000 г.

90. Report of the Royal Comission on Criminal Procedure. Cmnd 8092, 1979 (the Philips Commission).

91. Edwards J. L. L. The Anorneu Ceneral, Politiks and Public Interests.1984.

92. კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ. 2002 წ.

93. К.Ф. Гуценко, А.В. Головко, Б.А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г.

94. Code for Crown Prosecutors par. 4.

95. hanzard. House of Commons deb. vol 483. col 681. Januaru, 29. 1951 (statement bu the Attorneu General Sir Hartleu Shawctoss).

96. Головко Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головко. М., 2000.

97. Blankemburg et al. Die Staatsanwaltschaft im Prozer strafrechlicher sozialkontrole, 1978, p.257 et seq.

98. Gerard e. Lynch. American law and lawer information. T. 3. Chicago: American Bar Asociaition. 1998. P.10.

99. Kelly G. Shaver, Marcia A. Gilbert, and Marylie C. Williams. Personality and Social Psychology Bulletin, 6 1975: vol.1: pp. 471-484;

100. Jeff T. Ulmer, Megan C. Kurlichek, and John H. Karmer. Journal of Research in Crime and Delinquency, 11 2007: vol.44: pp.427-458;

101. Todd R. Clear, John D. Hewitt, and Robert M. Regoli. Crime and Delinquency, 1, 1978: vol.24: pp.428-445;

102. Keith A. Wilmot and Cassia Spohn. Criminal Justice Police Review, 9 2004; vol. 15: pp.324-343;

103. Yue Ma. International Criminal Justice Review, 5 2002; vol.12: pp.22-52;

104. Donald M. Barry and Alexsander Greer. Journal of Researchin Crime and Delinquency, 7 1981; vol.18: pp.254-271.

105. Artur Hartmann, Rolf Schmidt: Strafprozessrecht/ Grundzuege des Strafverfahrens; 1. Auflage; Grasberg bei Bremen; 2007. S. 71.

106. Rechtswoerterbuch", begruendet von Dr. Carl Creifelds; herausgegeben von Dr. Klaus Weber; Ver;ag C. H. Muenchen. 2007. S. 20.

107. Markus Horstmann, Ueber Zwaeckmaessigkeitsprinzip, Praezisieren und Kontrolle im Strafprozessrecht:. Berlin, 2002. S. 51-55.

108. Klaus Roxin. Streafprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998.

109. Perkins R. Criminal law. 2d ed. Mineola N. Y. 1969. P.1P.

110. Уайнреб Л. Отказ в провосудии. Уголовный процесс в США. М. 1985 г.

111. Fricke Ch. 5000 Criminal Detinitions. Terms and Phrases. los Angeles, Calit, 1968, P. 55.

112. Smith v. H. M. Advocate, 1952, JC. 66.

113. The united Europian countries criminal process systems. 1993

სამეცნიერო სტატიები, ლექციები, პუბლიკაციები და მიმოხილვები პერიოდულ გამოცემებში:

1. ი. გაბისონია. პროკურატურის თეორიის მეთოდოლოგიური, ტერმინოლოგიურ-ცნებითი და კლასიფიკაციის პრობლემები. ჟურნალი „სამართალი", 1-2, 1998 წ.

2. რ. გოგშელიძე. პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „ სამართალი" 9-10. 2002წ.

3. გ. მეფარიშვილი. „სისხლის სამართლებრივი დევნა ციტნოტში". გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1997 წლის 31 ოქტომბერი.

4. Александров А.С. Субсидиарное обвинение // Государство и пра-во.-2000.-№ 3.

5. ი. აბაშიძე. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი თუ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველი. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 3, 2007 წელი.

6. Ковтун Н. Н. Кузнецов А. П. Сущность и содержание Функций Уголовного преследования в Уголовном процессе России . Российский Судья. 2004 г. № 6.

7. Жук О. Д. О понятии и содержании Функции уголовного преследования. Законодательство. 2004 г. №2.

8. Савицкий В.М. Стержневая функция прокуратуры – осуществле-ние уголовного преследования // Российская юстиция. - 1994. - № 10.

9. Голунский С. О возбуждении уголовного преследования. `Социалистическая законность~ . 1936. №26.

10. გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“. 1. 1996 წელი.

11. გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

12. გ. ქარქაშაძე. ასეთი გამომძიებელი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, 1997 წ., 11 ნოემბერი, 282.

13. ი. გაბისონია. „სისხლისსამართალწარმოების გამარტივების თანამედროვე პრობლემები” (კომპაქტური სქემატური ფორმატი), სტატია წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები”, თსუ, 2003 წ.

14. ვ. იოსავა, მ. მამნიაშვილი. უფლებები ჩამოგვართვეს, მაინც ჩვენ გვედავებიან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, 1997, 282.

15. რ. გოგშელიძე. როგორი უნდა იყოს გამომძიებლის ხვალინდელი დღე? სტატია წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები”, თსუ, 2003 წ.

16. კ. კერესელიძე. საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. სტატია წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები”. თსუ. 2003 წ.

17. თ. მამნიაშვილი, გამომძიებლის სტატუსის სრულყოფის ცალკეული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული ,,მარჯი”, 2008 წ, 2.

18. მ. მამნიაშვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ჟურნ. „მარჯი”, 2008, 1.

19. მ. მამნიაშვილი. გამომძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 1, 2007.

20. Петрухин И. Л. Судебная власть и расследование преступлений. Государство и право. 1993 г. №7.

21. Соловьев А. Б . Токарева М. К. К вопросу о статусе прокурора в досудебных стадиях уголовного процесса по УПК РФ. Уголовное право. 2002 г. №3.

22. Лейст О. Е. О природе и путях преобразования санкции права. Советское государство и право. 1963 г, №1.

23. გ. მეფარიშვილი. სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუტები და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 16 მაისი, 116

24. გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, 3.

25. ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, 3.

26. ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2, 2004 წ.

27. ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება: განვითარება, პერსპექტივები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 30 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 20011 წელი.

28. ი. გაბისონია. საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალურ-ინსტიტუციური საკითხები. ჟურნალი „სამართალი“, 5, 2001.

29. ი. გაბისონია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები. ჟურნალი „სამართალი“, 5, 2001 წ.

ინტერნეტის მასალები:

1. http://www.pog.gov.ge
2. http://www.parliament.ge
3. http://www.justice.gov.ge/
4. http://www.google.com
5. http://pravo.eup.ru
6. http://www.allpravo.ru
7. http://ru.wikipedia.org
8.http://www. umus. ru
9. http://www. study-law. ru
10.http://www. Bestreferat. ru
11. http://www. e-college. ru
12. http:// referat. ru
13. http://www. rsl.ru /ru/
14. http://elibrary. rsl. ru/
15. http://old. rsl. ru
16. http://referats. allbest. ru/ law/
17. http://5ka. su/ref/ugolovnoe/
18. http://works. tarefer. ru
19. http://www. lawmix.ru/comm/
20. http://referat2000. bizforum. ru/
21. http://www. law. edu. ru/article/
22. http://uzlawyer. com/news.
23. http://bibliotekar. ru/biografii/

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

გივი აბაშიძე

დაიბადა 1954 წელს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1975 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა ხულოს რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, 1982 წლის თებერვლიდან აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორად,

1983 წლის სექტემბრიდან ქედის, 1991 წლის ოქტომბრიდან ხელვაჩაურის რაიონის პროკურორად, 1994 წლის ნოემბერიდან აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსად. 1996 წლის აგვისტოში დაინიშნა ქალაქ ბათუმის პროკურორად, 1999 წლის ივნისში აჭარის ა.რ. პროკურორის მოადგილედ. ორჯერ, 1999 წლის სექტემბრიდან 2001 წლის იანვრამდე და 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის ივნისამდე ასრულებდა აჭარის ა.რ. პროკურორის მოვალეობას. 2003 წლის ნოემბრიდან დაინიშნა აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ. ამ პერიოდიდან, 2005 წლის ნოემბრამდე, აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს ლიკვიდაციამდე, ასრულებდა ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარის მოვალეობას.

გივი აბაშიძე დაჯილდოებულია ღირსების მედლით, აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით. პროკურატურის ორგანოებში მუშაობის პერიოდში არაერთხელ დაჯილდოებულია მედლით, სამკერდე ნიშნით და ფასიანი საჩუქრებით. მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩეველის საკლასო ჩინი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდები. ამჟამად არის რეზერვი მოსამართლე.

გივი აბაშიძე სამართლის დოქტორია. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. კითხულობს ლექციებს სისხლის სამართლის მიმართულებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდათხუთმეტამდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის ცხრა მონოგრაფია (წიგნი), აქედან ოთხი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებისათვის (ორი თანაავტორობით), საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ორმოცდახუთამდე სამეცნიერო სტატია, რესპუბლიკურ და ადგილობრივ პერიოდულ პრესაში და გამოცემებში სამოცამდე საგაზეთო სტატია, შენიშვნა-მოსაზრება და ინტერვიუ იურიდიული კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფის საკითხებზე.

არის საგამომცემლო სახლის „ტექნიკური უნივერსიტეტი“-ის მიერ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით 2012 წელში გამოცემული სისხლის სამართლის პროცესის პირველი სახელმძღვანელოს თანაავტორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

ISBN 978-9941-17-784-2